ПОЛ в ВВ в силу присущей им способности влиять на тонус сосудов [3] может приводить к вазодилатации (в том числе и ресничного тела), а следовательно, к увеличению продукции ВВ и тем самым ВГД. К возможным причинам повышения ВГД можно отнести также свободнорадикальную деполимеризацию мукополисахаридов сосудистой стенки — гиалуроновой кислоты [4], что неминуемо ведет к увеличению выхода плазмы из кровяного русла в экстравазальное пространство, а в глазу, в частности, из сосудов ресничного тела в переднюю камеру глаза.

По нашему мнению, в обнаруживаемом нами прогрессирующем увеличении минутного объема ВВ немаловажную роль играет патологическая активация процесса ПОЛ (вследствие снижения содержания аскорбата в ВВ), вызывающего интенсификацию продукции ВВ вышеотмеченными механизмами.

В определенной степени созвучными нашим данным являются исследования ряда авторов, отмечающих влияние уровня аскорбиновой кислоты на ВГД. Так, в [5] обнаружено, что пилокарпин вызывает статистически достоверное увеличение концентрации аскорбата в ВВ у кроликов, что рассматривается авторами как один из возможных механизмов его гипотензивного эффекта. В [6] показано, что у больных с развитой и далеко зашедшей стадиями глаукомы глазные капли сложного состава, в котором основными компонентами были аскорбат и бикарбонат калия, при инстилляции вызывают достоверное снижение ВГД. Небезынтересными являются и данные работы [7], в которой в патогенезе стероидной глаукомы немаловажная роль ставится значительному снижению аскорбиновой кислоты в ВВ и рекомендуется применение кортикостероидов в комплексе с витамином А, нейтрализующим их угнетающее действие на аскорбат.

Таким образом, результаты проведенных нами исследований показали, что в патомеханизме повышения ВГД при продолжительной хронической электростимуляции СЯГ участвует активация процесса ПОЛ, вероятно, вследствие уменьшения содержания аскорбиновой кислоты в ВВ, являющейся одним из важнейших компонентов антиокислительной системы глаза. Дальнейшие исследования в этой области должны показать степень участия описанных изменений в механизме дистрофического процесса в дренажной системе глаз при первичной глаукоме.

Тбилисский государственный
 медицинский институт

(Поступило 12.9.1986)

მაკაბრიმენტული მედიცინა

ა. ალექსიძე

საკანის ნამის ასკორბინის მჟავის მოქმედება თვალში ლიპიდების ზემოთხეობით შენახვაზე თვალის მაკაბრიმენტული ჰიპერტენზიის დროს

რეზიუმე

დადგენილ იქნა, რომ ჰიპოთალამუსის სუპრაოპტიკური ბირთვის ხანგრძლივი ქრონიკული ელექტროსტიმულაციისას თვალში და წნევის ზრდის პათოგენეზის მონაწილეობს თვალში ლიპიდების ზემოთხეობითი ქანგის პროცესის ვაქტივება თვალის ანტიოქსიდანტური სისტემის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტის — საკანის ნამში ასკორბინის მჟავის შემცველობის შემცირების გამო.

A. T. ALEKSIDZE

 THE INFLUENCE OF AQUEOUS HUMOR ASCORBIC ACID ON
 LIPID PEROXIDATION IN THE EYE DURING EXPERIMENTAL
 EYE HYPERTENSION

Summary

It is found that the pathomechanism of intraocular pressure elevation during hypothalamic supraoptic nucleus chronic electrostimulation involves the activation of lipid peroxidation process in the eye due to a decrease in the content of ascorbic acid in the aqueous humor, which is one of the principle components of the eye antioxidant system.

ლიტერატურა — ЛИТЕРАТУРА — REFERENCES

1. А. П. Нестеров, А. Я. Бувиц, Л. А. Кацнельсон. Внутриглазное давление. Физиология и патология. М., 1974, 82.
2. Т. В. Довченко. Витамины. Киев, 1975, 43—60.
3. М. В. Биленко, Т. И. Чурасова. Бюлл. экп. биол. и мед., 7, 1982, 22—24.
4. О. Н. Воскресенский, В. Н. Гобырев, В. В. Малик. Врачебное дело, 8, 1984, 3—7.
5. Ballaso—Gabrielli, S. Salamanna, M. Latorre. Boll. Soc. Ital. Biol. Sper. 58, 1—2, 1982, 22—26.
6. I. Romano. Bull. Med. Soc. Franc. Ophthal., 86, 1973, 144—147.
7. K. S. Mehra, A. Kumar, S. S. Dubey. Ann. Ophthalmol., 10, 11, 1982, 1013—1015.



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში В АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა

საქართველოში იმყოფებოდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გ. ი. მარჩუკი. იგი გაეცნო რესპუბლიკის მეცნიერულ ცხოვრებას, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებათა საქმიანობას, ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებში მიმდინარე აქტუალურ გამოკვლევებს, მეცნიერთა შემოქმედებითი ძიების დონის ამაღლების პრობლემებს. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი გ. ი. მარჩუკი ეწვია აკადემიის კ. ს. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტს, კიბერნეტიკის ინსტიტუტს, ა. მ. რაზმაძის სახ. თბილისის მათემატიკის ინსტიტუტს და ნ. ი. მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტს, იყო აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ერთ-ერთ ექსპერიმენტულ ბაზაზე.

РАСШИРЕННОЕ ЗАСЕДАНИЕ ПРЕЗИДИУМА АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

В Грузии находился президент Академии наук СССР, академик Г. И. Марчук. Он ознакомился с научной жизнью республики, деятельностью учреждений Академии наук Грузинской ССР, актуальными исследованиями, ведущимися в институтах и лабораториях, проблемами повышения уровня творческого поиска ученых. Президент Академии наук СССР, академик Г. И. Марчук посетил Институт рукописей им. К. С. Кекелидзе, Институт кибернетики, Тбилисский математический институт им. А. М. Размадзе и Институт вычислительной математики им. Н. И. Мухелишвили АН ГССР, а также побывал на ВДНХ республики, на одной из экспериментальных баз ГПИ им. В. И. Ленина.



8 მაისს გაიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა ქართული მეცნიერების შემდგომი განვითარების პრობლემები, მეცნიერული გამოკვლევებისა და მიმართულებების გარდაქმნის გზები სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის შუქზე.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. გილაშვილი, რესპუბლი-

კის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ო. ე. ჩერქეზია, საქართველოს კვ ტბი-
 ლისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. ალავიძე, საქართველოს
 კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების გან-
 ყოფილების გამგე გ. გ. ჩოგოვაძე.

მოსხენება გააკეთა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენ-
 ტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, რესპუბ-
 ლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ნ. თავხელიძემ.

სხდომაზე გამოვიდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი
 აკადემიკოსი გ. ი. მარჩუკი.



8 мая состоялось расширенное заседание президиума Академии наук Грузинской ССР, обсудившее проблемы дальнейшего развития грузинской науки, пути перестройки научных исследований и направлений в свете решений XXVII съезда КПСС и январского (1987 г.) Пленума ЦК КПСС.

В работе заседания приняли участие первый секретарь ЦК КП Грузии Д. И. Патиашвили, председатель Президиума Верховного Совета Грузинской ССР П. Г. Гиладшвили, председатель Совета Министров республики О. Е. Черкезия, первый секретарь Тбилисского горкома КП Грузии В. И. Алавидзе, заведующий отделом науки и учебных заведений ЦК КП Грузии Г. Г. Чоговадзе.

Доклад сделал президент Академии наук республики, член-корреспондент АН СССР, академик АН ГССР А. Н. Тавхелидзе.

На заседании выступил президент Академии наук СССР, академик Г. И. Марчук.



ბ. ი. მარჩუშკის გამოსვლა
(სტენოგრაფიული ჩანაწერი)

ამხანაგებო, მოგესალმებით სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის სახელით. ნება მომეცით დიდი კმაყოფილება გამოვთქვა ამ შეხვედრის გამო, სადაც ჩვენ ერთმანეთს ვეთათბირებით იმის შესახებ, თუ როგორ ვიმუშაოთ იმ პერიოდში, როცა მთელი ქვეყანა გარდაქმნას აწარმოებს. მეცნიერება კიდევ უფრო სწრაფად უნდა გარდაიქმნას, რადგან ეს აუცილებელია ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

ნება მომეცით გულითადი მადლობა მოვახსენო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ჯუმბერ ილიას ძე პატიაშვილს და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ალბერტ ნიციფორეს ძე თავხელიძეს, რომლებმაც მომიწვიეს, და, აი, მე უკვე ორი დღეა თქვენთან ერთად ვცხოვრობ რესპუბლიკის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცხოვრებით. მართალია, დროის მიხედვით ეს არც ისე ბევრია, მაგრამ კონტაქტებმა ჯუმბერ ილიას ძესთან, მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს ხელმძღვანელებთან საშუალება მომცეს უფრო ღრმად, ახლო გამეცნო თქვენი რესპუბლიკის მიზნები და საზრუნავი ჩვენი ქვეყნის განვითარების საერთო ასპექტში.

ვსარგებლობ რა შესაძლებლობით გამოვიდე თქვენს წინაშე, მსურს ვაგიზიაროთ ზოგიერთი მოსაზრება იმ პრობლემებზე, რომლითაც ცხოვრობენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიები.

ჩვენ ყველანი ახლა ვმსჯელობთ ეკონომიკის განვითარების ინტენსიური ფაქტორების შესახებ და სწორედ ეკონომიკის ინტენსიური ფაქტორები წარმოადგენს გარდაქმნის ღერძს. გარდაქმნა საერთოდ მოითხოვს უარი ეთქვათ ჩვენთვის ჩვეულ ექსტენსიურ მიდგომაზე, საჭიროა ახალი გზების ძებნა, რათა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება დაადგეს ინტენსიფიკაციის გზას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საჭიროა შრომითი რესურსების ზრდის გარეშე, წარმოების, მინერალურ და სხვა სიმდიდრეთა მოპოვების გაფართოების გარეშე, ძირითადად ეკონომიის ხარჯზე, საშუალებათა რაციონალური გამოყენების ხარჯზე, მეცნიერების განვითარების შედეგად მიღებული უახლესი ტექნოლოგიების, უახლესი და ახალი მასალების ხარჯზე მივიღოთ გაცილებით მეტი რაოდენობისა და გაცილებით უფრო ხარისხოვანი პროდუქცია. და ყოველივე ეს მეცნიერების გარეშე შეუძლებელია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის შემდეგ დიდი მნიშვნელობის მოვლენები მოხდა. უპირველეს ყოვლისა, ესაა სკკპ XXVII ყრილობა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია, რომელთაც დასახეს ხუთწლიანი პროგრამა. ესაა — თათბირი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებზე და, ბოლოს, ღირსშესანიშნავი მოვლენა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმი. ყველა ეს ღონისძიება მიმართულია ერთი მიზნისაკენ — გარდაქმნისაკენ, ექსტენსიური ეკონომიკიდან ინტენსიურზე გადასვლისაკენ. როგორ უნდა გარდაიქმნას მეცნიერებათა აკადემია?

მსურს, რომ კარგად და ბოლომდე გავებულ იქნეს ზოგელი თეზისი. გარდაქმნა მეცნიერებათა აკადემიაში, მისი მთავარი მიზანი — ესაა უმალესი მსოფლიო მიჯნების მიღწევა მეცნიერებისა და ტექნიკის ყველა პრიორიტეტული მიმართულების მიხედვით. რაც შეეხება ტექნიკას, მისი განვითარების მიზნები უნდა დაისახოს სახალხო მეურნეობის დარგებთან ერთად. მეცნიერების ძირითადი საზრუნავია აკადემიური, უმალესი სასწავლებლების, დარგობრივი დაწესებულებების საქმიანობის კოორდინაცია და მსოფლიო მიჯნებზე გასვლა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისათვის მზადებისას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში შევაჯამეთ შედეგები, გამოვიყვანეთ ბალანსი და შევაფასეთ ჩვენი პლუსები და მინუსები, ვიმსჯელებთ თუ როგორ მივალწით იმ უმალეს მიზნებს, რომლებიც დასახა სკკპ XXVII ყრილობამ მეცნიერების წინაშე. გამოირკვა, რომ ფუნდამენტური კვლევების დაახლოებით 20%-ში ჩვენ ლიდერების როლში ვყოფილვართ. ისეთი მაღალგანვითარებული ქვეყნები, როგორცაა აშშ, საფრანგეთი და იაპონია, ჩვენს შემდეგ მოდიან. ესაა, უპირველეს ყოვლისა, მათემატიკა, თეორიული ფიზიკა, ასტრონომია ასტროფიზიკის ჩათვლით; ესაა — ბიოტექნოლოგიის, კომპოზიციური მასალების ცალკეული პრობლემები და სხვა პრობლემები. ყოველივე ეს ძირითადად დაკავშირებულია თეორიულ სამუშაოებთან. თეორიულ მუშაობას ჩვენს ქვეყანაში ისტორიულად კარგი საფუძველი ჰქონდა და ჩვენ აქ მაღალ მიჯნებს მივალწით. ავიღოთ მათემატიკა. ამ დარგში ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის იყო მაღალი დონე, რომელსაც ჩვენ ვინარჩუნებთ. ამას მოწმობს, კერძოდ, ის ფაქტიც, რომ ამას წინათ ბერკლიში სერთაშორისო მათემატიკური კონგრესის პრეზიდენტად არჩიეს ჩვენი ლენინგრადელი მათემატიკოსი აკადემიკოსი ლ. დ. ფადეევი, და ეს მოხდა იმ მძიმე პერიოდში, როდესაც რეიგანის ადმინისტრაციამ ეპის ქვეშ აყენებს თანამშრომლობას ჩვენს ქვეყნებს შორის.

ამრიგად, წარმოებულ კვლევათა 20%-ში ჩვენ ლიდერები ვართ, კვლევათა დაახლოებით 30%-ში ჩვენ მსოფლიო მიღწევათა დონეზე ვართ. ხოლო მიმართულებათა დანარჩენ ნახევარში — ჩამოვრჩებით. ეს ჩვენ უნდა შევიგნოთ.

ახლა დადგა დრო ძალზე ფხიზლად შევაფასოთ ყოველივე, რასაც ვაკეთებთ, და გავაკეთოთ სწორი დასკვნები, რათა სწრაფად გადავლახოთ ჩამორჩენა. ელექტრონიკის, ბიოლოგიის უახლესი მიმართულებების, გენეტიკის შეუფასებლობა ძვირად დაგვიჯდა და ისე უნდა მოვიქცეთ, რომ ეს არ განმეორდეს.

შემდეგი პრობლემა, რომელიც ყველას გვაღალავებს, ყველა ჩვენთაგანის პრობლემა — ეს არის კომპიუტერიზაციის პრობლემა. მე მსურდა მეტი მომესმინა გამომსვლელთაგან კომპიუტერების, მათი ახალი არქიტექტურებისა და დაპროგრამების ახალი ენების შესაქმნელად რესპუბლიკაში წარმოებულ კვლევების შესახებ, იმ იმპაციური კომპლექსებისა და მათემატიკური მოდელების შექმნის შესახებ, რომლებიც თან უნდა სდევდნენ კვლევებს. ხელსაწყოები — ეს კარგია. მაგრამ ექსპერიმენტის სწორად და წიგნიერად დაყენებისათვის საჭიროა მოდელი. და აი, ის მეორე პრობლემა, რომელზეც მე მსურს საუბარი — ეს არის გამოთვლითი ტექნიკის ფუნდამენტური პრობლემებისაკენ მკვეთრი შემობრუნების აუცილებლობა.

მათემატიკა საქართველოში კარგადაა დაყენებული, თქვენ შეგიძლიათ იამაყოთ თქვენი წინამორბედებით: აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილით, აკადემიკოს ი. ნ. ვეკუათი და სხვებით. მაგრამ გამოთვლითი ტექნიკის მიმართულება რატომღაც თქვენი აკადემიის მხედველობის არეს გარეშე დარჩა. ვფიქრობ, ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. ამისათვის აუცილებელია კოოპერაცია მრეწველობასთან, რადგან მრეწველობას აკლია მეცნიერებათა აკადემიის ინტელექტი, ხოლო ჩვენი, აკადემიის მხრივ არ იგრძნობა სათანადო მოძრაობა, რათა ეს ინტელექტი საჭირო მიჯნებზე გავიდეს.

დიახ, ჩვენ ამ დარგში ჩამოვრჩით და ახლა აუცილებელია დავუწიოთ. თქვენ, რასაკვირველია, მიაქციეთ ყურადღება, რომ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი თითქმის ყველა თავის გამოსვლაში, როცა ეხება მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, განსაკუთრებით გამოყოფს გამოთვლით ტექნიკას, რადგან გამოთვლითი ტექნიკა — ეს არის ჩვენი ქვეყნის პოტენციალი, პოტენციალი თავდაცვითი, პოტენციალი ეკონომიკური, პოტენციალი მეცნიერული. ვფიქრობ, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში ამ მხრივ კარგი საფუძველია შექმნილი. კიბერნეტიკის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა გამოთვლითი ტექნიკის ახალი მიმართულება, დაკავშირებული ობტოელექტრონულ სისტემებთან, მაგრამ მისი განვითარება შეფერხდა. მთელი მეცნიერება, მათ შორის საბჭოთა კავშირიც, წაიღია თავის გზით, აქ კი დარჩა მხოლოდ მცირე უბანი, რომელიც თანდათან სუსტდება, მაშინ როცა, ამ საკითხისადმი სწორი მიდგომის შემთხვევაში, ეს მიმართულება უნდა ყოფილიყო მთავარი „მწვერვალი“, რომელსაც უნდა მიშენებოდა ყველა დამატებითი ორნამენტი, მიგვეცა მისთვის მათემატიკური უზრუნველყოფა, ხელსაწყო ტექნიკა და ა. შ. ამის შედეგად ჩვენ დავკარგეთ 18—20 წელი იმ აღმოჩენის შემდეგ, რომელიც ქართულ მეცნიერებას ეკუთვნის. ახლა ჩვენ ვქმნით მომავლის ოპტიკურ მანქანებთან დაკავშირებულ სამუშაოთა სისტემას. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა ამ სამუშაოთა კოორდინაცია მე დამავალა და ჩვენ შევეცდებით ხელახლა გამოვიყენოთ ეს იდეები, რომელთაც ახალ პროგრამაში მშვენივრად შეუძლიათ წარმოაჩინონ თავი.

ახლა მეცნიერულ კვლევათა საერთო დონის შესახებ. თქვენი რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად მე დიდი კმაყოფილებით დავათვალიერე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა და პავილიონი, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქმიანობასთან. მე ასე ვიტყვი: გამოფენა საინტერესოა და მიუთითებს აკადემიის მუშაობის მრავალფეროვნებაზე, მრავალმხრივობაზე და დიდ პოტენციურ შესაძლებლობებზე. მაგრამ პირუთვნელად რომ ვთქვათ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის როლი, ისევე როგორც მრავალი სხვა რესპუბლიკური აკადემიისა, თანდათანობით დაბლდება. ალბათ, არ იყო სათანადო პოტენციალი, არ იყო განსაზღვრული საჭირო მიზნები, რომლისკენაც უნდა მიისწრაფოდეს რესპუბლიკა და მისი მთავარი მეცნიერული რაზმი — მეცნიერებათა აკადემია. საქმე იმაშია, რომ, როგორც მე ეს ვიგარძენი, მოკავშირე რესპუბლიკების ზოგიერთ აკადემიაში თანდათან ჩამოყალიბდა აზრი — დიდი მეცნიერება ეს დიდი აკადემიის საქმეა. ჩვენი აზროვნების გარდაქმნა ამ თვალსაზრისით მდგომარეობს შემდეგში: ჩვენში არ არის „დიდი“ საკავშირო აკადემიური მეცნიერება და „მცირე“ რესპუბლიკური. ახლა ყველასთვის იქნება ერთი საზომი—მიღწეულია მსოფლიო დონე თუ არა, ხოლო შემდეგ იქნება ინსტიტუტი ციმბირის განყოფილებისა, მოსკოვის, თბილისის ან სოხუმისა, სულერთია — საზომი ერთნაირია. ჩვენ დავსახავთ ამოცანებს და მოვითხოვთ, რომ მეცნიერება და მეცნიერული შედეგები ფასდებოდეს ქუშმარიტად ერთი საზომით.

აი ამ პოზიციიდან მე თქვენ გირჩევდით ჩაატაროთ ექსპერიმენტი. თქვენ ახლა, როგორც შეკუმშულ ზამბარას, გაქვთ უდიდესი პოტენციალი. საჭიროა მისი რეალიზაცია. რით დავიწყეთ? მე მივმართავ ისევ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენას. გარდაქმენით იგი. დაე ყოველმა ინსტიტუტმა დაყოს თავისი ექსპონატები: აი, წარმოდგენილია უმაღლესი მსოფლიო მიღწევები, აი სამუშაოები, რომლებიც აღემატებიან მსოფლიო დონეს, ხოლო აქ ჩვენ ჩამოვრჩებით. თუ ასეთ მუშაობას ჩავატარებდით, ეს იქნებოდა სერიო-

ზული, კრიტიკული, სწორი, ობიექტური ანალიზი იმისა, რაც სინამდვილეში გვაქვს, მაშინ დინახავდით, თუ როგორ გამოიყურება რეალურად მეცნიერებათა აკადემია, მთელი რესპუბლიკური მეცნიერება, რა უნდა განვამტკიცოთ და მხარი დავუჭიროთ, ხოლო რას ესაჭიროება ძალის მოკრეფა. ეს საჭიროა იმისათვის, რათა სწორად შევაფასოთ საკუთარი თავი. თუ თქვენ კეთილმო-სურნეობით ჩაატარებდით ასეთ ანალიზს, ეს იქნებოდა პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი მსოფლიო მეცნიერებაში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის როლის სწორი შეფასებისაკენ. ამიტომ მე მესახება, რომ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გეგმები, რომლებიც საჭიროებენ გარდაქმნას, უნდა დავუმორჩილოთ ერთადერთ მიზანს: როგორ, როდის და რომელ დარგში გავი-დეთ მოწინავე პოზიციებზე. ეს არის ჩემი გამოცვლის მესამე თეზისი. და თუ ჩვენ ასე ვიმოქმედებთ, მაშინ ყოველ მეცნიერებათა აკადემიას, დიდი იქნება ის თუ რესპუბლიკური, მოვუძებნით ადგილს ფუნდამენტური ამოცანების გა-დაწყვეტაში.

იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში, უკვე ილაპარაკა ალბერტ ნიკფორეს ძე თავხელიძემ თავის მოხსენებაში. ჩვენთან, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაშიც, არ არის აზრთა ერთგვაროვნობა, ჩვენ არაერთხელ გვქონდა მსჯელობა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო დონეზე გაყვანის შესახებ, განვიხილეთ ეს საკითხი პრეზიდენტის, პრეზიდენტის საბჭოზე და შევთანხმდით როგორ მივალწიოთ ამ მთავარ მიზანს. მივიღეთ გადაწყვეტილება შეგვედგინა მეცნიერების განვითარების პროგნოზები ყველა მიმართულების მიხედვით. თუმცა სხვადასხვა განყოფილების მრავალი მეცნიერი სკეპტიკურად შეხვდა ამ წინადადებას. მაგრამ როდესაც მათ ხელი მოჰკიდეს პროგნოზების შედგენას, მიიღეს საესეებით უჩვეულო ეფექტი. თითოეულმა მათგანმა, გააანალიზა რა ყოველივე, რაც ხდება მსოფლიოში სათანადო სამეცნიერო სფეროში, საესეებით ნათლად, სისტემურად წარმოიდგინა როგორ უნდა ვითარდებოდეს ესა თუ ის მეცნიერება და როგორი შუალედური და შორეული მიზნები უნდა იყოს დასახული. ამ ინტელექტუალური „შენადენის“ ხუთი ათასი გვერდი, რომლის დამუშავებაში მონაწილეობა მიიღეს მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებმა, საფუძვლად დაედო აკადემიკოს ვ. ა. კოტელნიკოვის მოხსენებას, რომელშიც მან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის სახელით ჩამოაყალიბა მეცნიერების მომავალი განვითარების ძირითადი ნიშნები 2000 წლამდე პერიოდისათვის. ასეთი დოკუმენტი ესაჭიროება ყველა მოკავშირე რესპუბლიკას. ახლა, როცა ჩვენ ვხედავთ მიზნებსა და პროგნოზებს, მათგან გამოიკვეთა დაახლოებით 40 პრიორიტეტული მიმართულება. ეს ნიშნავს იმას, რომ მთელი ფუნდამენტური მეცნიერება კოორდინირებული იქნება დაახლოებით 40 პრიორიტეტული მიმართულების მიხედვით. ესაა თერმობირთვული სინთეზი, ლაზერები, მიონური კატალიზი, ბიოტექნოლოგია და ზოგიერთი სხვა მიმართულება. მაგრამ იმისათვის, რომ ეს პრიორიტეტული მიმართულებანი გახდეს მოქმედების პროგრამა, ჩვენ, მეცნიერებათა აკადემიაში და პრეზიდენტის საბჭოზე შევთანხმდით, რომ შევქმნათ მათ საფუძველზე წლის ბოლოსათვის შევიმუშაოთ ფუნდამენტური სამუშაოების ვრცელი პროგრამები.

ჩვენი მთავარი პასუხისმგებლობა ქვეყნის წინაშე — ფუნდამენტური კვლევების განვითარებაა. თვით მნიშვნელოვან გამოყენებითს ამოცანებსაც კი, რომლებსაც ასრულებს მეცნიერებათა აკადემია, არ შეუძლიათ ჩვენი ყურადღების მოცილება მთავარი მოვალეობისაგან — ფუნდამენტური მეცნიერების განვითარებისაგან, თუმცა ყველაზე მეტად მსხვილი გამოყენებითი ამოცანების გადაჭრა სწორედ ამ ფუნდამენტურ კვლევათა შედეგი იქნება. ამიტომ მე ვფიქ-

რომ, რომ ჩვენ ფუნდამენტურ მეცნიერებას უნდა განვიხილავდეთ არა მარტო გორც კომერციულ ამოცანას, რაც დამახასიათებელია დარგობრივი მეცნიერებისთვის, რამდენადაც იქ დანახარჯების 1 მანეთზე უნდა იყოს რამდენიდაც მანეთის უკუგება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ვაფასებდეთ მსოფლიო დონეზე გასვლის მიხედვით. აქ შეიძლება ადგილი ჰქონდეს სუბიექტივიზმს, მაგრამ მეცნიერები იმიტომაც არიან მეცნიერები, რომ გაერკვენ ამ საკითხში და მისცენ ობიექტური შეფასება ყველა თავის მიმართულებას. ეს უნდა ყოველთვის გვახსოვდეს! ჩვენ სრულიად საკავშირო პროგრამაში თავის ადგილს მივუჩინეთ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ყოველ ინსტიტუტს, რესპუბლიკური მეცნიერებათა აკადემიების ყოველ ინსტიტუტს, უმაღლეს სასწავლებლებს და წამყვან დარგობრივ ინსტიტუტებს. და თუ რომელიმე ინსტიტუტი ვერ ჰპოვებს ადგილს ამ პროგრამაში, მაშინ უნდა შევხედოთ, გვეპირდება თუ არა ასეთი ინსტიტუტი. ჩვენ ვალიარეთ მიზნის ერთიანობა, დონის შეფასების ერთიანობა, ჩვენ არა გვაქვს პირველხარისხოვანი და მეორეხარისხოვანი მეცნიერული კვლევები, არამედ გვაქვს მოწინავე მსოფლიო დონე. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა გვექონდეს საერთო პროგრამები და თუ ვინმე არ ხვდება ამ პროგრამაში, მაშინ ის ღირსი არაა ამისა, ე. ი. საჭიროა ინსტიტუტის რეორგანიზაცია.

ახლა მიზნის მისაღწევი საშუალებების შესახებ, როგორ მივალწვიოთ ამ მიზანს. ორგანიზაციული ფორმით ჩვენი აკადემია მოძველდა, თუმცა მას ყავს მეცნიერთა ბრწყინვალე რაზმი, რომელსაც შეუძლია ძალზე სწრაფად გავიდეს კვლევათა მსოფლიო დონეზე, და ენთუზიასტები, მსოფლიო კლასის მეცნიერები, რომლებიც ინარჩუნებენ ამ დონეს, მათ შორის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასაც. ყველაფერი ეს ასეა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსებობს ბორკილებიც, რომლებიც გვაბრკოლებენ ჩვენ. უპირველეს ყოვლისა, ესაა მეცნიერების მართვის მეთისმეტი ცენტრალიზაცია. ჩვენ ვამბობთ, რომ მთელი ქვეყანა დაადგა დემოკრატიზაციის, გულახდილობის, საჯაროობის გზას, ხოლო მეცნიერებათა აკადემიაში ეს პროცესი მტკივნეულად მიმდინარეობს. რატომ? იმიტომ, რომ ჩამოყალიბდნენ ჯგუფები, დაჯგუფებები, სკოლები, რომლებიც არაიშვიათად ერთმანეთში კინკლაობენ, იმის ნაცვლად, რომ მხარი დაუჭიროონ ერთმანეთს და მაღლა ასწიონ კვლევათა საერთო დონე. ამის შედეგად ჩვენ სამეცნიერო პოტენციალს ვფლანგავთ უსარგებლო დისკუსიებზე. მეცნიერული დისკუსია უთუოდ მნიშვნელოვანია, მაგრამ კინკლაობა და სხვა ნეგატიური პროცესები, სამწუხაროდ, ის არაა, რაც ჩვენ გვესაჭიროება. ტაქტიკური კეთილმოსურნეობა, კრიტიკული მომთხოვნელობა, პარტნიორის აზრის გაგების უნარი — აი, რაც უნდა ადვადგინოთ ჩვენ დღეს. მთელი დატვირთვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში, ისევე როგორც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში, კონცენტრირებულია პრეზიდენტზე, ვიცე-პრეზიდენტებზე, მაგრამ რომელ პრეზიდენტს ან ვიცე-პრეზიდენტს შეუძლია უხელმძღვანელოს ორგანიზაციას, რომელშიც 250 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტია, როგორც ამას აქვს ადგილი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში? არავის. ეს ნიშნავს იმას, რომ ხელმძღვანელობა ფორმალურია, რის შედეგადაც ვითარდება შემთხვევითი პროცესები, პრიორიტეტი ეძლევა ზოგიერთ მიმართულებას, სხვა მიმართულება კი იჩაგრება. ვანა ეს საქმეა? მაგრამ რა წარმოადგენს ნებისმიერი მეცნიერებათა აკადემიის მთავარ მიმართველ ბირთვს? ესაა მეცნიერებათა აკადემიის განყოფილება, სწორედ ის აერთიანებს მეცნიერებს, დაკავშირებულთ ერთმანეთთან მეცნიერების სათანადო დარგით. მაგრამ მეცნიერულ კვლევათა სისტემა დღეს გაიზარდა და ბევრი განშტოება აქვს. განყოფილებას შეუძლია შექმნას სამეცნიერო საბჭო, მას შეუძლია გაარკვიოს იმ

მეცნიერთა აზრი, რომელთაც ენდობა და ამიტომ ეს მექანიზმი გადაწყვეტი
 ხდება. ერთ-ერთი აკადემიკოსის გამოსვლაში დღეს სწორი მოსაზრებანი იყო
 გამოთქმული. მართვის დეცენტრალიზაციის დროს წინა პლანზე დგება მეც-
 ნიერების ქუშმარტი რეორგანიზაციის პრობლემები. რა არის ამისათვის სა-
 ჭირო? ცენტრალურ აპარატს შეუძლია მუშაობდეს იმავე სახით, როგორც
 ჩამოყალიბდა, მაგრამ ყოველმა განყოფილებამ უნდა იცოდეს, რომ ინსტიტუ-
 ტების საქმიანობასთან დაკავშირებული რესურსების ნაწილი მთლიანად მის
 განკარგულებაშია: საშტატო ერთეულების რაოდენობა, ფინანსები, ხელსაწყო-
 ები და მოწყობილობა, განსაკუთრებით უნიკალური, დეფიციტური, საზღვარ-
 გარეთთან კავშირები — ყოველივე ეს უნდა მიჰყავდეს განყოფილებას. მაგ-
 რომ როგორ? ცენტრალურ აპარატში უნდა იყოს ჯგუფები, რომლებიც ემსა-
 ხურებიან განყოფილებას და აკადემიკოს-მდივნის ვიზის გარეშე არც ერთი კა-
 პიკი არ უნდა დაიხარჯოს. თუ განყოფილებამ გადაწყვიტა, რომ საზღვარგარეთ
 მივლინებაში უნდა გაიგზავნოს ესა თუ ის პირი და არა სხვა, ყველა მკაცრად
 უნდა დაემორჩილოს ამ გადაწყვეტილებას. ერთი სიტყვით, აპარატის თანა-
 მშრომელთა რაოდენობის შეუცვლელად, მხოლოდ მისი ფუნქციების შეცვლით,
 უკანასკნელ ხელმოწერას მრავალ ფინანსურ და სხვა საღირებეტივო დოკუმენ-
 ტზე უნდა იძლეოდეს არა პრეზიდენტი, არა ვიცე-პრეზიდენტი, არამედ განყოფი-
 ლეების აკადემიკოს-მდივანი. ხოლო განყოფილებათშორისო პრობლემებს გან-
 ხიბილვენ პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტები. თუ ასეთი სტრუქტურა იქ-
 ნება გამოყენებული, მაშინ დამატებითი შტატები არ იქნება საჭირო, ხოლო
 ბერკეტები თქვენ ხელთ იქნება — ეს კი პასუხისმგებლობაცაა მეცნიერების
 განვითარებაზე.

შემდეგი, რაც ჩვენ წამოვიწყეთ, ესაა ინსტიტუტების გარდაქმნის ღონის-
 ძიებათა დასახვა. მეცნიერება იქმნება ინსტიტუტში, ამიტომ ფუნდამენტურ
 რგოლს წარმოადგენს ინსტიტუტი და არა პრეზიდიუმი, არა განყოფილება —
 ეს ზედნაშენია. მეცნიერებათა აკადემიის იმ ინსტიტუტების მუშაობის ანალიზი,
 რომელთაც მე კარგად ვიცნობ, გვიჩვენებს, რომ მათში, მრავალი წლის მუ-
 შაობის შედეგად ჩამოყალიბდნენ მეცნიერული სკოლები, ჩამოყალიბდნენ კო-
 ლექტივები. მრავალი მათგანი თავიდან აქტიურად მუშაობდა, შემდეგ ეს მუ-
 შობა წავიდა ინერციით და, ბოლოს, ზოგიერთმა მათგანმა თავი დაანება მუ-
 შაობას და სხვასაც არ აძლევს ამის საშუალებას. ესე იგი ისეთი ძლიერი აღ-
 მოჩნდა ამგვარი „საუფლისწულოების“ სქემა, რომ თანამშრომლის გადასვლაც
 კი ერთი განყოფილებიდან მეორეში, ეს უკვე ისეთი პრობლემაა, რომელიც
 ზოგჯერ ჩხუბის მიზეზი ხდება. განა ასე შეიძლება? განა შეიძლება ასეთი მუ-
 შობა? შეუძლებელია. ჩვენ, გარდაქმენით რა ჩვენი აზროვნება, ასე გადავ-
 წყვიტეთ: მეცნიერებათა აკადემიაში მთავარია მეცნიერული სკოლა. მეორე —
 ესაა ახალგაზრდული შემოქმედებითი ძალები. ისინი უნდა შეადგენდნენ სა-
 ფუძველს დროებითი შემოქმედებითი კოლექტივებისა, რომლებიც იქმნება 3-
 5 წლის ვადით. სამეცნიერო საბჭო ასეთ კოლექტივებს, თუ მათ აქვთ კარ-
 გი იდეები, ანდობს კვლევათა მიმართულებას და 3—5 წლის შემდეგ აჯამებს
 მათ მუშაობას. თუ ყველაფერი კარგად მიდის, თუ მიმართულება სწორადაა
 არჩეული, მათ მხარი უნდა დავუჭიროთ. რაღაც დროის შემდეგ შეიძლება წარ-
 მოიშვას ახალი მეცნიერული სკოლა, დამოუკიდებელი სერიოზული კოლექტი-
 ვი. თუ საქმე არადაამაყყოფილებლად წავა, კოლექტივი იშლება და მას ეძლე-
 ვა ახალი მიმართულება. ახალგაზრდა შემოქმედებითი ძალებისა და პრიორი-
 ტეტული მიმართულებების ზრდის უზრუნველსაყოფად სამეცნიერო კოლექ-
 ტივების რაოდენობის დაახლოებით მესამედი დროებითი უნდა იყოს. ამასთან-
 ნვე აუცილებელია დირექციის, სამეცნიერო საბჭოს და ყველა დონის მსოვლა-

ნი მეცნიერის სრული მხარდაჭერით ადამიანების მოწვევა სხვა ცენტრებიდან, სხვა სამეცნიერო სკოლებიდან, რათა ახალგაზრდა ტალანტებს ჩაუფერგოთ ყველაზე პროგრესული და ახალი მეცნიერული იდეები. ეს მეტად მნიშვნელოვანია.

ამხანაგებო, ჩვენ ზოგჯერ არ ვუდგენთ საკუთარ თავს ანგარიშს იმის შესახებ, რომ მოვხვდით მეცნიერების გაბიუროკრატების მახეში, რის შედეგად მივიღეთ სისტემა, რომელმაც მოშალა განვითარების დინამიზმი, მაშინ როდესაც ყოველგვარი დინამიზმი დაკავშირებულია ახალგაზრდებთან. მე არა ვარ უფროსი თაობის ადამიანების წინააღმდეგი. მე ვემხრობი უფროსი თაობის გამოცდილების უნარიან შეხამებას ახალგაზრდულ ენთუზიაზმთან. მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა თავის სიტყვაში ლენინური კომკავშირის ყრილობაზე აღნიშნა, რომ ნოვოსიბირსკში შეიქმნა ახალგაზრდული კოლექტივი, რომელიც ქმნის სუბერმინი გამომთვლელ ელექტრონულ მანქანებს. ეს ახალი ფურცელია სამამულო გამოთვლითი ტექნიკის ისტორიაში. როგორ ჩამოყალიბდა ეს კოლექტივი? მათ ამ კოლექტივის შექმნაში დაეხმარა სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი. უფროსი თაობის წარმომადგენლებს ძალა არ ეყოთ ხელი მოეკიდათ ამ პრობლემისათვის; ეს იცისრეს ახალგაზრდებმა, რომელთაც ახალი დამთავრებული ჰქონდათ ასპირანტურა, V—VI კურსის სტუდენტებმა, რომლებიც ახლა პირველი და მეორე წლის სწავლების ასპირანტებია. ამ ახალგაზრდა თანამშრომლებმა უკუაგდეს გაკვალული გზები გამოთვლით ტექნიკაში, შექმნეს საკუთარი კონცეფცია და ახალი სავსებით ორიგინალური მიმართულება. მხოლოდ ახლა ზოგიერთები დასავლეთში — ამერიკასა და ინგლისში იწყებენ ამ გზაზე დადგომის ცდებს. აი, რატომ დაუჭირა მხარი მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა ამ იდეას. აი, სად არის საჭირო ახალგაზრდობა.

ჩვენ თქვენთან ერთად, ამხანაგებო, ცხოვრების დიდი გზა განვვლეთ. ხალხმა ყველაფერი მოგვცა, მეცნიერთა აზრი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკური ლიდერებისთვისაც და ხალხისთვისაც. მაგრამ მოვიხვდით უკან, წარსულისაკენ, როცა ჩვენ დავაგროვეთ ცოდნის მარაგი. ეს იყო მაშინ, როდესაც ჩვენ 30—40 წლისა ვიყავით. შემდგომში, უმრავლესობა ჩვენს შორის, ავითარებდა მას, რაც დაგროვილი ჰქონდა ამ წლებში. თუ ვინმე იტყვის, რომ ეს ასე არაა, მაშინ მე ვტიქრობ, რომ იგი გამოინაკლისია. სწორედ ამიტომაც საჭირო გამოცდილ მეცნიერთა და ახალგაზრდების შეხამება. რევოლუციას ყოველთვის ახალგაზრდები ახდენდნენ — რევოლუციას პოლიტიკურს, რევოლუციას ტექნიკურს, რევოლუციას მეცნიერულს. მამ მივცეთ საშუალება ჩვენს ახალგაზრდებს ჩვენი ნაცადი ხელმძღვანელობით მოახდინოს ეს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია.

ახლა მე მსურს სხვა საკითხზე ვისაუბრო. აქ ბევრი ითქვა მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხების შესახებ. მე ძალიან მომეწონა პრეზიდენტის მოხსენება, აწონ-დაწონილი და ღრმა, საჭირო და მწვავე აქცენტებით. ამავე დროს მე ვადარებდი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მდგომარეობას სხვა რესპუბლიკების — აზერბაიჯანისა და სომხეთის აკადემიების მდგომარეობასთან. ამ რესპუბლიკებში არ დაუყენებიათ მატერიალურ ბაზასთან დაკავშირებული ამდენი საკითხი, როგორც აქ. მაგრამ, მე მგონია, მიზეზი ცხადია. სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიაში ყოფნისას მე ვეკითხებოდი ინსტიტუტებში — ვისთან ერთად მუშაობთ? პროხოროვთან, ბასოვთან, ვლადიმეროვთან, ენიოლოპოვთან და სხვებთან — მიპასუხებდნენ მე. იქ მე ვაგეცანი ექვს ინსტიტუტს და აღმოჩნდა, რომ ყველა ისინი მუშაობენ უმჭიდროეს კოოპერაციაში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამოჩენილ

კოლექტივებთან. ხელსაწყოს ტექნიკა ისეთივეა, როგორც მოსკოვში. რაშია საქმე? იქნებ სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის თანამშრომლები უკეთ ამყარებენ კავშირებს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველოსთან? არაფერი ამის მსგავსი! ისინი კოოპერაციაში არიან წამყვან ინსტიტუტებთან, რომლებიც მუშაობენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მთავრობის დადგენილებების მიხედვით, შეაქვთ ამ სამუშაოთა პროგრამებში თავიანთი ნაწილი და ითვალისწინებენ ხელსაწყობით უზრუნველყოფას და საქმეც მიდის. სომხეთში ლაპარაკი იყო საკონსტრუქტორო ბიუროს შექმნის საჭიროებაზე, რომელიც მათ დაეხმარებათ გამოთვლითი ტექნიკის საქმის დაყენების გაუმჯობესებაში და შექმნეს მთელი პროგრამა ამ ჩამორჩენის გადასალახავად. ხელსაწყობებზე სიტყვაც არ იყო ნათქვამი. რატომ? საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში კი შეიმჩნევა დიდი „მოწყვეტა“ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ანალოგიური ინსტიტუტებისაგან, რომლებიც თითქმის ყველა მუშაობს მთავრობის დადგენილების მიხედვით, და მათ, სინამდვილეში, უზრუნველყოფს არა მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სამმართველო, არამედ სახელმწიფო.

თქვენ შესანიშნავი ახალი პრეზიდენტი გყავთ და ჩვენ ვამაყობთ, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ალიზარდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში. ის კარგად გრძნობს ფუნდამენტურ გამოკვლევათა თანამედროვე მიმართულებებს და არის მეცნიერების დიდი ორგანიზატორი. დაეხმარეთ ერთმანეთს იმისათვის, რომ იმუშაოთ პრიორიტეტულ პროგრამებზე, გააერთიანეთ თქვენი მიმართულებანი ქვეყნის წამყვანი ინსტიტუტების მიმართულებებთან. ესაა ერთადერთი სწორი გზა.

მე აქ ჩავიწერე მეცნიერული ინფორმაციის, ყურნალების და სხვა საკითხების შესახებ. პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის დახმარებით, მე დარწმუნებული ვარ, ამ საკითხებს მოვაგვარებთ. ევგენი კირილეს ძე ხარაძემ კარგად იცის ყოველივე ეს, მას ძალიან ძნელ პერიოდში მოუხდა თქვენი აკადემიის ხელმძღვანელობა. მან სწორად გაუსვა ხაზი, რომ ინფორმაცია, ინფორმაციული უზრუნველყოფა — ეს მთავარია. ჩვენ ყოველმხრივ დაუპყვრით მხარს ამას.

თუ ვაწვინილავთ შემდგომ ორგანიზაციულ დონეს, დავინახავთ, რომ საჭიროა ინსტიტუტებში მაქსიმალურად განვავითაროთ შიგასაინსტიტუტო და ინსტიტუტთშორისი კავშირები. ჩვენ მივიღეთ უფლება შევქმნათ დროებითი კოლექტივები. შეიძლება შეიქმნას ლაბორატორიათშორისი და ინსტიტუტთშორისი კოლექტივები ერთ აკადემიაში, ამისათვის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და სსრ კავშირის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თანხმობა არ არის საჭირო. თვითონ გადაწყვიტეთ, გააერთიანეთ და თვითონ შექმენით ისინი. თუ წარმოიშვა ახალი მეცნიერული მიმართულება, საჭიროა გარდღევა — გააერთიანეთ ამ მიმართულებით 10—15, 20—40—100 გონიერი კაცი. დაე, მათ წაიმუშაონ 2—3 წელი, ხოლო შემდეგ ნახოთ თუ რა გააკეთეს. შემდგომში ეს კოლექტივი შეიძლება იქცეს სამეცნიერო დაწესებულებად, ან შეუერთდეს რომელიმე ინსტიტუტს.

თუ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას ესაჭიროება სამრწველო სამინისტროებთან ერთობლივი დროებითი კოლექტივები, ამის უფლებაც გაქვთ. შექმენით დროებითი კოლექტივები, რადგან ამის შესაძლებლობაც მოგვეცა.

არის კიდევ ორი პრობლემა, რომელიც ჩვენი გადასაწყვეტია. პირველი პრობლემა — ეს ყურნალებია. ჩვენმა შეფასებამ გვიჩვენა, რომ ყველა ყურნალი ერთნაირი არაა, ხოლო მრავალი მათგანი ბეჭდავს სუსტ მასალებს და ფაქტობრივად არაა საკავშირო ყურნალი. მაგრამ თუ ჩვენ მივედით იმ დასკვნამდე,

რომ მეცნიერება ერთიანია და მეცნიერებათა ყველა აკადემია აგრეთვე, მოდით ყველა ჟურნალიც საკავშირო გაგხადოთ. თუ კვალიფიციური კადრები დაგაკლდათ, დაამატეთ ისინი მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, სხვა ქალაქებიდან და მოეზადეთ, რომ ჟურნალი საკავშირო გახადოთ, რომ ის იყოს მთელი ინფორმაციის მიზიდულობის ცენტრი. ეს იქნება არა ქართული ჟურნალი, არამედ საკავშირო ჟურნალი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დროშით. მაშინ გვექნება ახალი, უფრო მაღალი დონე ურადლებისაც და პასუხისმგებლობისაც. ცუდი ჟურნალები დაბურეთ, ხოლო კარგი გახსენით. ესეც აგრეთვე გარდაქმნაა.

დაბოლოს, ძალზე დიდი მნიშვნელობისაა სამეცნიერო საბჭოები. მეცნიერებათა აკადემიის ყველაზე მთავარი ორგანოა სამეცნიერო საბჭო. მე ვთქვი, რომ არა მარტო პრეზიდენტს და ვიცე-პრეზიდენტებს, აკადემიკოს-მდივანსაც კი, განყოფილების ბიუროსთან ერთად არ შეუძლიათ მიმოიხილონ ყველა ის დეტალი და ტენდენცია, რომელიც ვლინდება თანამედროვე მეცნიერებაში. როგორ ვიქცევით ამ შემთხვევაში? ვქმნით ან სამუშაო ჯგუფებს, ან კომისიებს, ან სამეცნიერო საბჭოებს, რომელთაც ვანდობთ იმოქმედონ განყოფილებათა სახელით. როდესაც ჩვენ შევეუდგებით საბჭოებისა და კომისიების საქმიანობის ანალიზს, აღმოჩნდა, რომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საბჭოების 70% არსებობს ქალაღზე და არაფერს არ აკეთებს. ფაქტობრივად, როდესაც წყდება რაიმე საკითხი და ჩვენ ამ საკითხს განსახილველად ვუგზავნით ამა თუ იმ საბჭოს, ხშირად ირყევა, რომ ეს საბჭო არ მუშაობს და, მაშასადამე, არ ასრულებს მეცნიერებათა აკადემიის მკოორდინირებელ ფუნქციას. რა გადაწყვიტეთ მაშინ? გადაწყვიტეთ, რომ წლის ბოლომდე გადავხედოთ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოების მთელ სისტემას. მე ვიმედოვნებ, რომ თქვენც ჩაატარებთ ასეთ მუშაობას, ალბერტ ნიკიფორეს ძევიერიკავკასიის რესპუბლიკებში ჩემი გამოგზავრების წინ ბორის ევგენის ძე პატონი მოვიდა ჩემთან და აი რა მიაბო: წარმოიდგინეთ, — მითხრა მან, — როგორც კი შევეუდგე საბჭოების საქმეების განხილვას, გამოირკვა, რომ არაფრის ხელის ხლება არ შეიძლება. თუმცა საბჭო არ მუშაობდა, მისი თავმჯდომარე აცხადებს: მე ვიმუშავებ, ასევე მეთრეც. და მაშინ აკადემიის პრეზიდენტმა გადაწყვიტა დაეხურა ყველა საბჭო და გაეხსნა მხოლოდ საჭირო საბჭოები. ყოველივე ეს გარდაქმნაა. ახლა დადგა მომენტი, როდესაც შეიძლება და საჭიროა ყველაფერს გადავხედოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში დავერჩება მხოლოდ სიტყვები და მოწოდებანი. გარდაქმნა — ეს არის კონკრეტულ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელთა გატარებას შეუძლია უზრუნველყოს ძვრა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიები მთლიანად ახალ დონემდე აიყვანოს. და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია წავა ამ გზით.

შემდეგ — კადრები. ალბერტ ნიკიფორეს ძემ სწორად განაცხადა ამის შესახებ, თუმცა მთელი ჩემი სიტყვაც კადრებს მიეძღვნა — საკითხებს, რომელთა შესახებ ჩვენმა მთავრობამ მიიღო შორსმჭვრეტელობით უბრეცენდენტო გადაწყვეტილება. იმის შესახებ, რომ საჭიროა ახალგაზრდობის მოზიდვა, უკვე ვთქვით იმის შესახებ, რომ უნდა მივცეთ ახალგაზრდობას თანამდებობათა დაკავების საშუალება — აგრეთვე ვილაპარაკეთ. რისთვის კეთდება ყოველივე ეს? მე აქ ვხედავ მრავალ ცნობილ და სახელოვან მეცნიერს, რომელთაც შექმნეს მეცნიერებათა აკადემიის, საბჭოთა კავშირის მეცნიერების დიდება. მაგრამ რითი არიან დაკავებული ეს მეცნიერები? ისინი დაკავებული არიან იმით, თუ სად ეშვონ ხელსაწყო, სად — ბინა თანამშრომლისათვის, ფინანსები, ვილაც უნდა შეარიგონ ვილაცასთან. და თითქმის მთელ ჩვენს აქ-

ტიურ საქმიანობას იმ პერიოდში, როდესაც ჩვენ დავაგროვეთ უდიდესი ცოდნის მარაგი, ჩვენ, აკადემიის წევრები მთელ ჩვენ ძალებს წარემართათ ამ ქალაქებსა და საორგანიზაციო საკითხებზე და არ ვაძლევთ სახელმწიფოს იმ მეცნიერულ უწყებებს, რომელიც ჩვენ მოგვეთხოვება. ეს არის გარდაქმნის ერთ-ერთი მთავარი მომენტი. და ყველაზე საოცრად შეიძლება მოგვეჩვენოს ის, რომ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში მრჩევლის თანამდებობა მოისურვეს ყველაზე ახალგაზრდა, 66—67 წლის აკადემიკოსებმა და წევრ-კორესპონდენტებმა. მე ეს გამიკვირდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ისინი შემოქმედებითი ადამიანები არიან, რომლებიც აცხადებენ: აი, მე თვით ვიმუშავებ, მყავს 5—10-კაციანი კოლექტივი, სტუდენტები, ვიმუშავებ შემოქმედებითად.

სხვა ტენდენცია, აგრეთვე, მეტად მნიშვნელოვანი. წინათ ჩვენ მეცნიერებათა აკადემიაში ხშირად ვაწყდებოდით ასეთ პრობლემას: რა ვუყოთ დირექტორს, რომელიც მხარს არ უჭერს თავის ახალგაზრდა კონკურენტს, პარტნიორს. ხოლო ახლახან კადრების საკითხზე სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების გამოქვეყნებიდან მცირე ხნის შემდეგ მე მომპართა ორმა აკადემიკოსმა. ორივე მათგანმა განაცხადა, რომ სურს წასვლა დირექტორის თანამდებობიდან და ამავე დროს რეკომენდაციას უწევს ახალგაზრდა მეცნიერს, კისრულობს მისდამი დახმარებას. ეს უკვე ახალი ღირსებაა. მართლაც, აღნიშნული დადგენილებით გადაიჭრება პრობლემა, რომელიც უკვე ბუნებრივადაა გადაწყვეტილი მთელს მსოფლიოში. საყოველთაოდ მიღებულია, რომ 60 წლის მუშაკი პენსიაზე უნდა გავიდეს. ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა — იმუშავე შემოქმედებითად, მოსწყდის ბიუროკრატიულ მუშაობას, რომელიც დროს გართმევს, ამრავლე საბჭოთა მეცნიერების მიღწევები. როდესაც ეს საკითხი განიხილებოდა, მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა განაცხადა: ამხანაგებო, ყოველივე სხვის გარდა, ჩვენ ვწყვეტთ კიდევ ერთ პრობლემასაც — ვტოვებთ რა დიდ მეცნიერს მრჩევლად, ამით ვტოვებთ შემოქმედებითს მუშაკს თავის კოლექტივში, ე. ი. ყველა თავისი კავშირით, თავისი სიცოცხლის კრედითი, რომელიც მას ჰქონდა და დარჩება თავისი ცხოვრების ბოლომდე. თუ ამ თვალთახედვით განვიხილავთ დადგენილებას, მაშინ, მე ვფიქრობ, გულითადი მადლობა უნდა ვუძღვნათ პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და მთავრობას იმისათვის, რომ მათ ჩვენ მეცნიერებს, რომლებიც თავს ანებებენ აქტიურ ადმინისტრაციულ მუშაობას, შეუქმნეს მსოფლიოში არსებული პირობები შემოქმედებითი შრომისათვის.

დაბოლოს, საზოგადოებათმცოდნეობის შესახებ. საზოგადოებათმცოდნეობა დაჩაგრული აღმოჩნდა. აი, ახლა ჩვენთან, აკადემიაში განზრახულია არჩევნების ჩატარება და ჩვენ რაც შეიძლება მეტი ვაკანსია წევრ-კორესპონდენტებისა უნდა გამოვუყოთ საზოგადოებათმცოდნეობას. სწორედ ახალგაზრდები უნდა მოვიზიდოთ აკადემიაში, რათა ისინი მოემზადონ საჭირო პოსტების დასაკავებლად. მალე ჩატარდება არჩევნები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაშიც. ჩვენ მოვითხოვთ და მე ასე ვფიქრობ: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში საერთო კრების პარტიული ჯგუფის სხდომაზე, როცა განიხილებოდა გარდაქმნის საკითხი, შევთანხმდით, რომ ძირითადად ვეცდებით წევრ-კორესპონდენტებად ავირჩიოთ 30-დან 50 წლამდე ასაკის ადამიანები, ხოლო აკადემიკოსებად — 40-დან 60 წლამდე. რა თქმა უნდა, ცალკეულ შემთხვევებში ჩვენ დავუშვებთ გამოჩაყლისებს კონკრეტული პროცენტებისათვის, მაგრამ მაინც გამოიკვეთა ასეთი მიდგომა. და თქვენც როგორღაც უნდა განსაზღვროთ თქვენი შეხედულება. ჩვენ ნორმებს არ ვადგენთ და ეს არასწორად მიგვაჩნია, იმიტომ, რომ აკადემიკოსად არჩევა ინდივიდუალურად გადა-

საწყვეტი საქმეა, მაგრამ მაინც საჭიროა კონცეფციის გამოუმუშავება და მე გირჩევდით, რომ პრეზიდენტზე სერიოზულად მოიფიქროთ ეს საკითხი.

ახალი ინსტიტუტების შესახებ. ახლა ახალი ინსტიტუტები არ შეიქმნება. მიღებულია გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ძველი ინსტიტუტები ავამოქმედოთ კარგად. ესაა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის გადაწყვეტილება. ამიტომ აქ გამოწვევები არ იქნება. იქ, სადაც ამის საჭიროებაა, უნდა განვავითაროთ მეცნიერება ცალკეულ მოქმედ ინსტიტუტებში კოლექტივების შექმნის გზით, მივიყვანოთ ეს კოლექტივები ისეთ მდგომარეობამდე, რომ ინსტიტუტის ორგანიზაცია მხოლოდ ფორმალური აქტი იყოს. ეს უნდა გვახსოვდეს.

ამასთან, როგორ და რისთვის შევქმნათ ახალი ინსტიტუტები? თქვენ თქვით, რომ ახლა მეცნიერებათა აკადემიაში არაა თანამედროვე მოწყობილობა, ხელსაწყოები და ა. შ. ასეთივე მდგომარეობაა მრავალ სხვა რესპუბლიკაში. მოდით ჭერ სთანადო წესრიგში მოვიყვანოთ ის, რაც უკვე გვაქვს.

როგორ უნდა ვიმოქმედოთ? მე მინდა გირჩიოთ თქვენ შემდეგ. ჩვენ უნდა შევადგინოთ უმაღლესი დონის სირთულის ხელსაწყოთმშენებლობის ერთიანი დიდი პროგრამა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებში, ისეთი, რომ მეცნიერთა და კოლექტივების ხელიდან გამოვლიოდეს იდეები, რომელთა რეალიზაცია ძალზე სწრაფად მოხდება. რა უნდა გაკეთდეს ამისათვის? უნდა განვამტკიცოთ და კარგად აღვჭურვოთ სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროები და საცდელი წარმოებანი. ჩვენ თქვენ ხელმძღვანელობასთან ერთად მოვამზადებთ სათანადო წინადადებებს. იმ დარგში, სადაც თქვენ ძლიერები ხართ, შექმნით და მიაწოდებთ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიას და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიებს ორიგინალურ ხელსაწყოებს, მოწყობილობას, ხოლო ისინი, ვინც შექმნიან უმაღლესი სირთულის დონის ხელსაწყოებს — მოგაწოდებენ თქვენ. ასეთი კოოპერაცია შექმნის შესაძლებლობას 1992—1993 წლებისათვის გავიდეთ სუპერხელსაწყოებით უზრუნველყოფის საჭირო დონეზე. 1990 წლისათვის მეცნიერებათა აკადემია უკვე გამოუშვებს 200 მილიონი მანეთის უმაღლესი სირთულის დონის ხელსაწყოებს, ისეთებს, რომელთა დონე უფრო მაღალი იქნება, ვიდრე საზღვარგარეთული დონე.

1995 წლისათვის ქვეყანაში საერთოდ, არსებული დადგენილებების შესაბამისად, დაახლოებით 5-ჯერ გაიზრდება ხელსაწყოებით ნაჭერობა ერთ მეცნიერ მუშაზე როგორც მეცნიერებათა აკადემიაში, ისე სახალხო მეურნეობის დარგებში. 1995 წლისათვის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია გამოუშვებს 500 მილიონი მანეთის ასეთ ხელსაწყოებს. სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობაზე გამოყოფილია რამდენიმე მილიარდი მანეთი. მოდით, წამოაყენეთ იდეები, უზრუნველყავით სირთულის ეს უმაღლესი დონე, ინსტიტუტებში, ლაბორატორიებში ჩამოაყალიბეთ კოლექტივები და ჩვენ ამას გვაკეთებთ მეცნიერებათა აკადემიის მრეწველობასთან კოოპერაციის ჩარჩოებში.

ამხანაგებო! ვამთავრებ რა ჩემს გამოსვლას, მე მსურს გითხრათ, რომ საჭიროა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის განვითარების კომპლექსური პროგრამა. ის, რომ ჩვენ დღეს ერთმანეთს გავუზიარეთ მოსაზრებანი თქვენი აკადემიის, მისი შესაძლებლობებისა და რეალური იმედების შესახებ — ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, მოითხოვს მრავალი საკითხის ორგანიზაციულ გადაწყვეტას. და მე ვფიქრობ რომ, თუ თქვენ ამას ვაკეთებთ, მაშინ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და სხვა რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების განვითარების კომპლექსური პროგრამა მოგვეცემს შესაძლებლობას ნამდვილად შევუდგეთ იმ მთავარი მიზნის მიღწევას, რისთვისაც აქ შევიკრიბეთ — ჩვენი საქმიანობის გარდაქმნის პრობლემების გადაწყვეტას.

ВЫСТУПЛЕНИЕ Г. И. МАРЧУКА (Стенографическая запись)

Товарищи, приветствую вас от имени президиума Академии наук СССР. Позвольте выразить большое удовлетворение тем, что мы с вами встретились и откровенно советуемся друг с другом, как нам работать в тот период, когда вся страна ведет перестройку. Наука должна перестраиваться еще быстрее, что так необходимо для социально-экономического развития нашей страны.

Позвольте мне выразить сердечную благодарность первому секретарю Центрального Комитета Компартии Грузии Джумберу Ильичу Патиашвили и президенту Грузинской академии наук Альберту Никифоровичу Тавхелидзе, которые пригласили меня приехать, и я вот уже два дня живу с вами жизнью республики, жизнью Академии наук Грузии. Хотя по времени это не так уж много, но контакты с Джумбером Ильичем и руководителями правительства, Верховного Совета позволили мне более глубоко, ближе понять цели и заботы вашей республики в общем плане развития нашей страны.

Пользуясь возможностью выступить перед вами, хотел бы поделиться некоторыми наблюдениями и проблемами, которыми живут Академия наук СССР и академии наук союзных республик.

Все мы сейчас говорим об интенсивных факторах экономики, и именно интенсивные факторы экономики являются стержнем перестройки. Перестройка вообще требует отказа от привычных нам экстенсивных подходов, нужен поиск новых путей, чтобы социально-экономическое развитие страны шло по пути интенсификации. Другими словами, не увеличивая трудовые ресурсы, не расширяя производство и добычу минеральных и других богатств, в основном за счет экономии, за счет рационального использования средств, за счет введения новейших технологий, новейших и новых материалов, получаемых в результате развития науки, должны получить продукцию в значительно большем количестве и значительно более качественную. И без науки здесь обойтись нельзя.

После апрельского Пленума ЦК КПСС произошли знаменательные события. Это прежде всего XXVII съезд КПСС и сессия Верховного Совета СССР, которые наметили пятилетнюю программу. Это совещание в Центральном Комитете КПСС по вопросам ускорения научно-технического прогресса, и, наконец, выдающееся событие — январский Пленум Центрального Комитета. Все эти мероприятия направлены к одной цели — перестройке, переходу от экстенсивной экономики к интенсивной. Как же Академия наук должна перестраиваться?

Хотелось бы, чтобы был хорошо и до конца понят первый тезис. Перестройка в Академии наук, главная ее цель — это достижение высших мировых рубежей на всех приоритетных направлениях науки и техники. Что касается техники, цели ее развития должны намечаться сообща с отраслями народного хозяйства. Основная забота науки — сконцентрировать, скоординировать деятельность академических, вузовских, отраслевых учреждений и выйти на мировые рубежи.

Готовясь к январскому Пленуму ЦК, в Академии наук СССР подвели итоги, баланс, оценили где у нас плюсы, а где минусы, и как мы будем достигать тех высших целей, которые поставил XXVII съезд КПСС перед наукой. Оказалось, что примерно в 20% наших фундаментальных исследований мы находимся в роли лидеров. Такие высокоразвитые страны, как США, Франция и Япония, идут за нами. Это прежде всего математика, теоретическая физика, астрономия, включая астрофизику; это отдельные проблемы биотехнологии, композиционных материалов и другие проблемы. Все они связаны в основном с теоретическими разработками. Теоретическая работа в нашей стране исторически имела хорошую основу, и фактически здесь мы достигли высоких рубежей. Возьмите математику. В этой области науки в нашей стране всегда был высокий уровень, который мы поддерживаем. Свидетельством тому является, в частности, и тот факт, что совсем недавно в Беркли президентом Международного математического конгресса выбрали нашего ленинградского математика, академика Фаддеева, и это в тот тяжелый период, когда администрация Рейгана ставит под сомнение сотрудничество между нашими странами.

Итак, в 20% проводимых исследований мы лидируем, примерно в 30% исследований мы — на уровне мировых достижений, а по остальной половине направлений отстаем. Это мы должны понимать.

Сейчас настало время очень трезвой оценки всего того, что мы делаем, и надо делать правильные выводы, чтобы быстро преодолеть то отставание, которое сложилось. Недооценка электроники, новейших направлений биологии, генетики дорого нам обошлась, и нужно сделать так, чтобы это не повторилось.

Следующая проблема, которая нас всех волнует, проблема для всех нас — это проблема компьютеризации. Я хотел бы услышать от выступающих больше об исследованиях в республике по созданию новых компьютеров, новых архитектур и новых языков программирования, о возможности создания имитационных комплексов и математических моделей, которые должны сопутствовать исследованиям. Приборы — это хорошо. Но для того, чтобы правильно и грамотно поставить эксперимент, нужна модель. И вот это — та вторая проблема, о которой я хотел говорить, о том, что надо взять резкий крен на фундаментальные проблемы вычислительной техники.

Математика в Грузии неплохо поставлена, вы можете гордиться вашими предшественниками: академиками Мухелишвили, Векуа и др. Но почему-то направление вычислительной техники осталось вне поля зрения вашей академии. Думаю, что положение нужно поправить. Для этого необходима кооперация с промышленностью, потому что промышленности не хватает интеллекта академии наук, а с нашей стороны, с академической, нет достаточного движения, чтобы этот интеллект мог выйти на нужные рубежи.

Да, мы отстали в этой области и нам нужно догонять. Вы, конечно, обратили внимание, что Михаил Сергеевич Горбачев почти во всех своих выступлениях, касаясь научно-технического прогресса, выделяет особо вычислительную технику, потому что вычислительная техника — это потенциал нашей страны, потенциал оборонный, потен-

циал экономический, потенциал научный. Мне думается, задел в Академии наук Грузии хороший. В Институте кибернетики родилось новое направление вычислительной техники, связанное с оптоэлектронными системами, но его развитие застопорилось. Вся наука, в том числе в Советском Союзе, пошла своим путем, а здесь остался островок, который тихо хиреет, хотя если бы было правильное отношение, то это направление должно было бы быть главным «пиком», к которому следовало бы подстроить все дополнительные орнаменты, дать математическое обеспечение, приборную технику и т. д. В результате мы потеряли 18—20 лет со дня открытия, которое принадлежит грузинской науке. Сейчас мы будем создавать систему работ, связанную с оптическими машинами будущего. Президиум АН СССР поручил мне координировать эти работы, и мы попытаемся вновь использовать эти идеи, которые в новой программе могут прекрасно показать себя.

Теперь об общем уровне научных исследований. Вместе с руководителями партии и правительства вашей республики я с большим удовлетворением посетил ВДНХ ГССР и тот павильон, который связан с деятельностью Академии наук Грузии. Я скажу так: выставка интересная и говорит о многогранности, многоплановости и больших потенциальных возможностях академии. Но если сказать честно, то роль Академии наук Грузии постепенно, как и многих других республиканских академий, снижалась. Наверное не было нужного потенциала, не были определены нужные цели, к которым должны стремиться республика и ее главный научный отряд — Академия наук. Дело в том, что я почувствовал, что в некоторых академиях союзных республик как-то исподволь стало формироваться мнение, что большая наука — это большая академия. Перестройка нашего мышления в этом плане состоит в следующем: у нас нет академической науки «большой», союзной и «малой», республиканской. Сейчас для всех будет одна мерка: имеешь мировой уровень или не имеешь, а дальше, институт Сибирского ли отделения, московский, тбилисский или сухумский, все равно — мерка единая. Мы будем ставить задачи и требовать, чтобы наука и научные результаты оценивались действительно единым образом.

И вот с этих позиций я бы Вам посоветовал провести эксперимент. Вы сейчас, как сжатая пружина, имеете огромный потенциал. Его сейчас надо реализовать. С чего начать? Я обращаюсь к той же выставке достижений. Перестройте ее. Пусть каждый институт разделит экспонаты: вот представлены высшие мировые достижения, вот представлены работы, даже превышающие мировые достижения, а вот здесь мы отстаем. Если такую работу провести, это был бы серьезный критический, правильный, объективный анализ того, что есть на самом деле, тогда бы вы выдели, как выглядит реально Академия наук, вся республиканская наука, что нужно закрепить и поддержать и что надо «подтянуть». Это нужно для того, чтобы правильно оценить самих себя. Если вы доброжелательно сделали бы такой анализ, это был бы первый крупный шаг к правильной оценке роли Академии наук Грузии в мировой науке. Поэтому мне думается, что все планы Академии наук республики, которые требуют сейчас перестройки,

должны быть полностью подчинены единственному положению: как, когда и в какой области выйти на лидирующие позиции. Это третий тезис моего выступления, и если мы так поступим, то найдем место каждой академии наук, и «большой», и республиканским, в решении фундаментальных задач.

О том, что сделала Академия наук ГССР, Альберт Никифорович Тавхелидзе в своем докладе уже говорил. У нас в Академии наук СССР тоже нет однородности мнений, но мы неоднократно обсуждали между собой вопрос о выходе АН СССР на мировой уровень, обсуждали на президиуме, на президентском совете и договорились, как нам добиваться этой главной цели. Было решено сделать прогнозы развития науки во всех направлениях. Однако многие ученые различных отделений поначалу скептически отнеслись к этому предложению. Но когда они взялись за прогнозы, получился совершенно необыкновенный эффект. Каждый, проанализировав то, что происходит в мире в соответствующей научной области, совершенно ясно системно понял, как сегодня нужно развивать ту или иную науку и какие цели — промежуточные и дальние — нужно ставить. Пять тысяч страниц этого «интеллектуального сгустка», в разработке которого приняли участие и академии наук союзных республик, послужили основой доклада академика Котельникова, который от имени президиума Академии наук сформулировал в главных чертах будущее развитие науки на период до 2000 года. Такой документ нужен каждой союзной республике. Теперь, когда мы видим цели и прогнозы, из них вырисовывается примерно 40 приоритетных направлений. Это означает, что вся фундаментальная наука будет координироваться примерно по 40 приоритетным направлениям. Это термоядерный синтез, лазерные дела, мюонный катализ, биотехнология и некоторые другие направления. Но для того, чтобы эти приоритетные направления стали программой действий, мы в Академии наук и на президентском совете договорились о том, что сможем на их основе до конца года сделать развернутые программы фундаментальных работ.

Главная наша ответственность перед страной — развитие фундаментальных исследований. Даже важные прикладные задачи, которые делает Академия наук, не могут ее отвлечь от самой главной обязанности — развития фундаментальных исследований, хотя наиболее крупные прикладные задачи и будут результатом этих фундаментальных исследований. Поэтому я думаю, что мы должны смотреть на фундаментальную науку не как на коммерческую задачу, которая свойственна отраслевой науке, поскольку там на 1 рубль затрат должно быть столько-то рублей отдачи, а должны ее прежде всего оценивать по выходу на мировой уровень. Тут много может быть субъективизма, но ученые для того и являются учеными, чтобы разобраться и дать объективную оценку всем своим направлениям. Это надо всегда помнить! Мы в общесоюзной программе дадим свое место каждому институту АН СССР, каждому институту республиканских академий, вузам и ведущим отраслевым институтам. И если какие-то институты не найдут себе места в этой программе, то тогда нужно посмотреть, нужны ли они нам. Мы провозгласили единство цели, единство оцен-

ки уровня, у нас нет первостепенных и второстепенных научных исследований, а есть мировой уровень, лидирующий. Значит, у нас должны быть общие программы, и если кого-нибудь не включают в эту программу, значит он не достоин этого, значит надо реформировать институт.

Теперь о средствах достижения цели, как ее достичь. Наша Академия наук устарела по организационной форме, хотя в ней имеется блестящий отряд ученых, которые способны очень быстро выйти в исследованиях на мировой уровень, и энтузиасты, ученые мирового класса, которые поддерживают этот уровень, в том числе и Академия наук Грузии. Все это так. Но, тем не менее, есть пути, которые нас связывают. Во-первых, чрезмерная централизация управления наукой. Мы говорили, что вся страна идет по пути демократизации, открытости, гласности, а в Академии наук этот процесс идет болезненно. Почему? Потому что сложились свои группы, группочки, школы, которые нередко между собой ссорятся, вместо того, чтобы поддерживать и поднимать общий уровень исследований. В результате мы растрчиваем свой потенциал на ненужные дискуссии. Научная дискуссия — это, безусловно, важно, но ссоры и другие негативные процессы, которые, к сожалению, еще у нас имеются, это не то, что нам нужно. Такт, доброжелательность, критическая взыскательность, способность понять точку зрения партнера — вот то, что сегодня мы должны восстановить. Вся нагрузка в Академии наук СССР, как и в Академии наук Грузии, сосредоточена на президенте, вице-президентах, но какой президент или вице-президент может руководить такой организацией, в которой 250 НИИ, как в «большой» академии? Никто! Значит, это формальное руководство, в результате развиваются случайные процессы, дается приоритет одним направлениям, угнетаются другие. Разве это дело? А что является главным управляющим ядром любой академии наук? Это отделения академий наук, именно они объединяют ученых, которые ближе всего связаны с соответствующей отраслью науки. Но система научных исследований сегодня разрослась и имеет много ответвлений. Отделение может организовать научный совет, оно может узнать мнение специалистов, которым оно доверяет, и поэтому этот механизм становится решающим. В выступлении одного из академиков сегодня были высказаны правильные соображения. При децентрализации управления выдвигаются на первый план проблемы подлинной реорганизации науки. Что нужно для этого сделать? Центральный аппарат может работать в том виде, в каком он сложился, но каждое отделение должно знать, что часть ресурсов, связанная с деятельностью институтов, полностью находится в его распоряжении: штатная численность, финансы, приборы и оборудование, особенно уникальное, которое является дефицитным, зарубежные связи — все это должно вести отделение. Но как? Должны быть группы в центральном аппарате, которые должны обслуживать отделения, и без визы академика-секретаря ни одна копейка не должна уйти. Если отделение решило, что нужно посылать в зарубежную командировку таких-то людей, а не других, все должно строго придерживаться этого решения. Одним словом, не меняя численности аппарата, а

изменив его функции, должны последнюю подпись на многих финансовых и других директивных документах ставить не президент, не вице-президент, а академик-секретарь отделения. А межотделенческими проблемами будут заниматься президент и вице-президенты. Если применить такую структуру, тогда не нужны дополнительные штаты, но рычаги вы получаете, а это и ответственность за развитие науки.

Следующее, что мы предприняли — мы наметили меры по перестройке институтов. Наука делается в институте, поэтому фундаментальным звеном является институт, а не президиум, а не отделение — это надстройка. Анализ работы тех институтов Академии наук, которые я хорошо знаю, показывает, что в них за многие годы сложились научные школы, сложились коллективы, многие из них работали сначала активно, потом работа пошла по инерции, и, наконец, ряд из них вообще перестали работать и другим не дают. То есть настолько сильна оказалась схема таких «удельных княжеств», что даже переход сотрудника из одного отдела в другой — это уже такая проблема, которая доходит подчас до ссоры. Да разве так можно? Разве можно так работать? Невозможно! Мы перестраиваем свое мышление и решили так: главное в Академии наук — научные школы. Второе — это молодежные творческие силы. Они должны составить основу временных творческих коллективов, создаваемых на 3—5 лет. Ученый совет доверяет этим коллективам направление исследований, если у них имеются хорошие идеи, и через 3—5 лет подводятся итоги. Если все идет хорошо, если направление выбрано правильно, давайте их поддержим. Через некоторое время, может быть, возникнет новая научная школа, самостоятельный, серьезный коллектив. Если дело пойдет неудовлетворительно, то коллектив расформируется и ему дается новое направление. Примерно треть всех научных коллективов должна быть временная для обеспечения роста молодых творческих сил и приоритетных направлений, при этом необходимо приглашать людей из других центров, из других научных школ при полной поддержке дирекции, ученого совета и маститых руководителей на всех уровнях, чтобы дать возможность привить молодым талантам самые прогрессивные и новые научные идеи. Это очень важно.

Товарищи, мы иногда не отдаем себе отчета в том, что мы попались в ловушку бюрократизации науки, получив в результате такую систему, которая подорвала динамизм развития. Между тем, всякий динамизм связан с молодыми. Я не против людей старшего поколения. Я за то, чтобы уметь сочетать опыт старшего поколения с молодым энтузиазмом. Михаил Сергеевич Горбачев на съезде Ленинского комсомола, выступая с речью, упомянул, что в Новосибирске возник коллектив молодежи, который создает супер мини-ЭВМ. Это новая страница в истории отечественной вычислительной техники. Как формировался этот коллектив? Помогал в создании этого коллектива Государственный комитет СССР по науке и технике. Представителям старшего поколения не хватило сил взяться за эту проблему; взялись за нее молодые люди, только что закончившие аспирантуру, и студенты V—VI курсов, те, которые сейчас аспиранты первого, второго года обучения. Эти молодые сотрудники отбросили проторенные

пути в вычислительной технике, создали собственную концепцию и создали совершенно оригинальное направление. Только сейчас кое-кто на Западе, в Америке, в Англии начинает пытаться идти по этому пути. Вот почему Михаил Сергеевич поддержал эту идею. Вот где нужна молодежь.

Мы с вами, товарищи, прошли большой жизненный путь. Народ дал нам все, мнение ученых исключительно важно и для политических лидеров, и для народа. Но давайте оглянемся назад, в прошлое, когда мы все накопили знания? Это было тогда, когда нам было по 30—40 лет. В дальнейшем большинство из нас развивало то, что было накоплено в эти годы. Если кто-нибудь скажет, что это не так, то я полагаю бы, что это исключение. Именно поэтому и нужно сочетание опытных ученых и молодежи. Революцию делали всегда молодые — революцию политическую, революцию техническую, революцию научную, так давайте же дадим нашим молодым под опытным руководством возможность делать эту научно-техническую революцию.

Теперь я хочу сказать о другом. Здесь много говорилось о вопросах материально-технического обеспечения. Мне очень понравился доклад президента, взвешенный и глубокий, с нужными и острыми акцентами. В то же время я сравнивал положение и Академии наук Грузии с другими республиками, Азербайджаном, Арменией. В этих республиках не поднимали так много вопросов, связанных с материальной базой, как здесь. Но мне кажется, что причина этого ясна. Будучи в Академии наук Армении — это одна из хороших академий в стране, я спрашивал в институтах: с кем работаете? Мне отвечали: с Прохоровым, Басовым, Владимировым, Ениколоповым и другими. Я ознакомился с шестью институтами и оказалось, что все они работают в теснейшей кооперации с выдающимися коллективами АН СССР. Приборная техника такая же, как в Москве, в чем же дело? Может быть, сотрудники АН Армении более подвижны и лучше взаимодействуют с Управлением материально-технического снабжения? Ничего подобного! Они входят в кооперацию с теми ведущими институтами, которые работают по постановлениям ЦК и правительства, включают в программы этих работ свою часть и приборное обеспечение, и дело идет. В Армении говорили о том, что им нужно КБ, чтобы поднимать вычислительную технику, и создали целую программу преодоления этого отставания. О приборах не было речи. Почему? А в Академии наук Грузии наблюдается большой «отрыв» от аналогичных институтов АН СССР, которые почти все работают по постановлениям правительства. И обеспечивает их, в сущности, не УМТС, а государство.

У вас прекрасный президент, и мы гордимся, что президент Академии наук Грузинской ССР вырос в Академии наук СССР. Он хорошо чувствует современные направления фундаментальных исследований и является крупным организатором науки. Помогите друг другу, чтобы работать по приоритетным программам, объедините ваши направления с направлениями других ведущих институтов страны. Это единственно правильный путь.

Я тут записал вопросы о научной информации, журналах и т. д. С помощью ЦК и правительства, я уверен, эти вопросы мы решим. Евгений Кириллович Харадзе хорошо знает все это, ему пришлось в очень трудный период возглавлять вашу академию, но он правильно подчеркивал, что главное — это информация, информационное обеспечение. Мы всячески будем поддерживать это.

Если посмотреть на следующий организационный уровень, то видно, что в институтах нужно максимально развивать внутринститутские и межинститутские связи. Мы получили право создавать временные коллективы. Можно создавать межлабораторные и межинститутские коллективы в одной академии, не надо об этом просить АН СССР и ГКНТ. Сами решайте, объединяйте и сами создавайте их. Если возникает новое научное направление, нужен прорыв — направляйте на это направление 10, 15, 20, 40, 100 толковых человек. Пусть они работают 2—3 года, а потом можно посмотреть. В дальнейшем этот коллектив может стать научным учреждением, а может присоединиться к какому-то институту.

Если АН Грузии нужны совместные временные коллективы с промышленными министерствами, есть права и на это. Создавайте временные коллективы, так как нам дана и такая возможность.

Есть еще две проблемы, которые мы должны решать. Первая проблема — это журналы. Наша оценка показала, не все журналы однородны, а многие из них печатают слабые материалы и фактически не являются всесоюзными. Но если мы пришли к выводу о том, что наука одна и все академии наук тоже, давайте все журналы делать всесоюзными. Если не хватает квалифицированных кадров, добавьте их из Москвы, Ленинграда, и других городов и подготовьтесь сделать журнал всесоюзным, чтобы он был центром притяжения всей информации. Это будет не грузинский журнал, а всесоюзный журнал под флагом Академии наук Грузинской ССР. Тогда будет новый, более высокий уровень и внимания, и ответственности. Плохие журналы закрывайте, а хорошие журналы откроем. Это тоже перестройка.

Наконец, очень важны научные советы. Самыми главными органами АН являются научные советы. Я сказал, что не только президент и вице-президенты, даже академик-секретарь вместе с бюро отделения не могут обозреть все тонкости и тенденции, которые сейчас проявляются в науке. Как мы поступаем? Мы создаем или рабочие группы, или комиссии, или научные советы, которым доверим действовать от имени отделений. Когда мы начали анализировать деятельность советов и комиссий, то оказалось, что в Академии наук СССР 70% советов на бумаге и ничего не делают. Фактически, когда решается какой-то вопрос и мы направляем его на рассмотрение в тот или иной совет, зачастую оказывается, что он не работает и, следовательно, не осуществляет координирующей функции нашей Академии наук. Что мы тогда решили? Мы решили к концу года пересмотреть всю систему научных советов Академии наук СССР. Я очень хотел бы надеяться, что и вы проведете у себя такую работу, Альберт Никифорович. И потом, буквально перед поездкой в академию наук Закавказских республик Борис Евгеньевич Патон пришел ко мне и рассказал

следующее. Вы знаете, — сказал он, — когда я начал заниматься советами, оказалось, что ничего нельзя тронуть. Хотя совет не работал, его председатель говорит: я буду работать, и другой тоже. И тогда президиум академии решил закрыть все советы и открыть те, которые нужны. Все это перестройка. Сейчас тот момент, когда можно и нужно все это пересмотреть, а иначе, остаются только слова и призывы. Перестройка — это комплекс конкретных мер, которые могут обеспечить сдвиг и поднять Академию наук СССР и академии наук союзных республик в целом на новый уровень. И Академия наук СССР пойдет этим путем.

Далее, кадры. Альберт Никифорович правильно об этом сказал, да и вся моя речь была посвящена кадрам — вопросам, по которым нашим правительством принято беспрецедентное по дальновидности решение. О том, что нужно вовлекать молодежь, мы говорили; о том, что нужно давать молодежи замещать должности, тоже говорили. А для чего это сделано? Здесь я вижу многих известных и знаменитых ученых, они создали славу Академии наук, науки Советского Союза, мировой науки. Но чем эти ученые занимаются? Они занимаются тем, где достать прибор, а где — квартиру сотруднику, финансы, где-то надо помирить кого-то. И почти всю нашу активную деятельность, все свои силы в тот период, когда мы накопили огромные знания, мы, члены академий, направляем на эти бумажные и организационные дела и не даем отдачи государству, той научной отдаче, которая требуется от нас. Это один из главных моментов перестройки. И удивительным может показаться то, что первыми в Академии наук СССР попросились на должность советников самые молодые академики и члены-корреспонденты 66—67 лет. Я был удивлен, но, оказывается, это творческие люди, которые говорят: вот я буду работать сам, у меня есть коллектив в 5—10 человек, студенты, я буду творчески работать.

Другая тенденция, тоже очень важная. Раньше мы в Академии наук нередко сталкивались с такой проблемой: что делать с директором, который отказывает в поддержке своему молодому конкуренту, партнеру. А недавно, по прошествии совсем непродолжительного времени после опубликования постановления ЦК КПСС и СМ СССР по кадрам, ко мне обратились два академика. Каждый из них заявил о том, что он хочет уйти с директорского поста и при этом рекомендует молодого ученого, обещая ему помогать. Это уже новое качество. На самом деле, упомянутым мной постановлением решается для нас проблема, которая уже нашла естественное решение во всем мире. Повсеместно принято, что в 60 лет работник должен идти на пенсию. Центральный Комитет решил: создать все условия — твори, отвлекись от бюрократической ненужной работы, которая отнимает время, умножай результаты советской науки. Когда было обсуждение этого вопроса, Михаил Сергеевич Горбачев сказал так: товарищи, кроме всего прочего, мы решаем еще одну проблему: оставляя советником крупного ученого, мы оставляем творческого работника в своем коллективе, значит, со всеми связями, со своим жизненным кредо, которое он имел, и он остается до конца дней своих, пока сможет работать. Если под этим углом зрения посмотреть на постановление, то я

думаю, что мы все должны от всего сердца поблагодарить Центральный Комитет партии и правительство, за то что нашим ученым, уходящим от активной административной работы, создали такие условия, которых нет нигде в мире.

И, наконец, обществоведение. Оно оказалось в загоне. Вот и сейчас у нас в академии намечаются выборы и надо дать побольше вакансий членов-корреспондентов на обществоведение. Именно молодежь нужно вовлекать в академию, чтобы она могло подготовиться и занять нужные посты. Скоро выборы в Академию наук Грузии. Мы советовались, и я думаю так: в Академии наук СССР мы договорились на партийной группе общего собрания, когда рассматривался вопрос о перестройке, что в основном будем стремиться выбирать в члены-корреспонденты людей от 30 до 50 лет, а в академики — от 40 до 60 лет. Конечно, в отдельных случаях мы будем делать исключения для конкретного человека, но все-таки вырисовывается такой подход, и нам тоже нужно как-то определиться. Мы норм не устанавливаем и считаем это неправильным, потому что выборы в академики — это дело индивидуальное, но все-таки нужно выработать концепцию, и я советовал бы вам тоже на президиуме серьезно продумать этот вопрос.

О новых институтах. Сейчас новых институтов создаваться не будет. Принято решение о том, чтобы старые институты превратить в хорошо действующие. Это решение Центрального Комитета и правительства. Поэтому здесь исключений не будет. Там, где есть необходимость, надо развивать науку, создавая коллективы при каких-то действующих институтах, доводить их до такого состояния, чтобы организация института была лишь формальным актом. Об этом мы должны помнить.

Кстати, как и зачем создавать новые институты? Вы говорили, что сейчас в Академии наук нет современного оборудования, приборов и т. д. Такое же положение во многих других республиках. Давайте сначала приведем в должный порядок то, что уже имеется.

Как надо действовать? Я вам тоже хочу посоветовать следующее. Мы будем делать единую крупную программу развития приборостроения высшего уровня сложности в Академии наук СССР и АН союзных республик, так чтобы из-под пера ученых и коллективов выходили такие идеи, которые будут реализовываться очень быстро. Что для этого нужно делать? Для этого надо хорошо укрепить и оснастить СКБ и опытные производства. Мы с вашим руководством будем готовить соответствующие предложения. Там, где вы сильны, будете давать оригинальные приборы, оборудование Академии наук СССР и АН союзных республик, а там, где другие сделают высшего уровня сложности приборы, будут давать вам. Такая кооперация даст возможность выйти к 92—93 году на уровень нужной обеспеченности по суперприборам. К 90 году Академия наук будет выпускать уже на 200 млн. рублей приборов высшего уровня сложности, такого, который превышал бы зарубежный уровень.

К 1995 году вообще по стране, в соответствии с имеющимися постановлениями, примерно в 5 раз увеличится насыщенность прибора-

მი в расчете на каждого научного работника, и АН, и отраслей народного хозяйства. АН СССР к 1996 году будет производить таких приборов на 500 млн. рублей. На научное приборостроение выделено несколько миллиардов рублей. Давайте идеи, давайте обеспечивать этот высший уровень сложности, формировать коллективы в лабораториях, институтах, и мы сделаем это в рамках кооперации АН с промышленностью.

Товарищи! Заканчивая свое выступление, я хотел бы сказать, что нужна комплексная программа развития Академии наук Грузии. То, что вы сегодня откровенно поделились своими мыслями о вашей академии, возможностями и реальными надеждами — все это, конечно, требует организационного решения многих вопросов. И я думаю, что если вы это сделаете, то комплексная программа развития Академии наук Грузии и АН других союзных республик даст возможность действительно подойти к решению тех главных целей, ради которых мы с вами собрались — проблем перестройки нашей деятельности.

★ ★ ★

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

14 მაისს შედგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წლიური საერთო კრების სესია.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. ნ. თავხელიძემ.

საანგარიშო პერიოდში მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებათა მუშაობისა და სამეცნიერო გამოკვლევების პერსპექტივების შესახებ მოხსენებები გააკეთეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა ს. ვ. დურმიშიძემ, გ. ნ. ჯიბლაძემ, ი. ვ. ფრანგიშვილმა.

აკადემიის 1986 წლის სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის შესახებ ანგარიში გააკეთა აკადემიის აკადემიკოს-მდივანმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ე. ა. სეხნიაშვილმა.

კრებაზე გამოვიდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები — ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი ლ. კ. ვაბუნია, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი ა. მ. აფაქიძე, თბილისის ა. რაჭმადის სახ. მათემატიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე პ. ვ. ხვედელიძე, ა. ნათიშვილის სახ. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი ნ. ა. ჯავახიშვილი, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი თ. ნ. ლოლაძე, ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი გ. ა. მელიქიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოტოსინთეზის პრობლემური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის გამგე გ. ა. სანაძე, მ. ასათიანის სახ. ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ა. დ. ზურაბაშვილი, საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე ა. ა. ძიძიგური, აკადემიის პრეზიდენტის წევრი აკადემიკოსი ე. კ. ხარაძე; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ნ. ს. ამაღლობელი, ა. ჯანელიძის სახ. გეოლოგიური ინსტიტუტის განყოფილების გამგე ე. პ. გამყრელიძე, შოთა რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი გ. შ. ციციშვილი, სსრ კავშირის 50 წლისთავის სახ. მეტალურგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე გ. გ. გველესიანი, ქუთაისის კომპლექსური სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი რ. შ. ადამია, სამხრეთ ისეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ისტ. მეცნ. დოქტ. ბ. ბ. ტეხოვი, ნ. მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორი ფიზ.-მათ. მეცნ. დოქტ. ნ. ნ. ვახანია, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ხელმძღვანელი ისტ. მეცნ. დოქტ. თ. დ. ლორთქიფანიძე.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ.



ა. ნ. თავხელიძის გამოსვლა

პარტიის XXVII ყრილობამ განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარების აუცილებელი პირობები — გარდაქმნა და დაჩქარება. დაჩქარების საფუძველია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი და მისი მიღწევების დაუყოვნებელი გამოყენება სახალხო მეურნეობაში. მეცნიერების განვითარება, მეცნიერულ კვლევათა სტრატეგიის განსაზღვრა, ჩვენი სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებებთან ორგანულ კავშირში, უაღრესად პასუხსაგებ სახელმწიფოებრივ ამოცანად იქცა.

მეცნიერების როლზე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და სახალხო მეურნეობის შემდგომ განვითარებაში ხაზგასმით მიგვიითებებს ჩვენი პარტიის გენერალური მდივანი ამხანაგი მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი.

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ბოლო პერიოდში გამართულ პრეზიდენტის სხდომებსა და საერთო კრებებზე განსაკუთრებით აღინიშნა საკავშირო და რესპუბლიკურ აკადემიებს შორის კოორდინაციის შესუსტება, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების განვითარების დონეზე და კადრების აღზრდის საკითხზე.

ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია, რომ იანვრის პლენუმზე გამოსვლაში ამხანაგმა ჯ. ი. პატიავილმა ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო.

ამჟამად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან მჭიდრო კავშირში 2000 წლამდე პერიოდისათვის მუშავდება ფუნდამენტურ გამოკვლევათა ერთობლივი პროგრამა, რომელიც, მეცნიერულ კვლევათა კოორდინაციასა და ინტენსიფიკაციასთან ერთად, ითვალისწინებს პრიორიტეტულ მხარდაჭერას წამყვანი, ორიგინალური სამეცნიერო მიმართულებებისადმი ჩვენს აკადემიაში. გამოიკვეთა მთელი რიგი სამეცნიერო მიმართულებანი საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და ჰუმანიტარულ დარგებში, სადაც პოტენციური შესაძლებლობებით ჩვენი აკადემიის შესაბამის ინსტიტუტებს ერთ-ერთი წამყვანი როლი ეკისრებათ.

მოკლედ შევჩერდები ჩვენი აკადემიის პერსპექტიული ფუნდამენტური გამოკვლევების პროგრამის საწყის ვარიანტზე, რომელიც ძირითადად გათვალისწინებულია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებებში დამუშავებულ პროგნოზულ მოხსენებებში. როგორც მოგხსენებათ, აღნიშნული პროგნოზული მოხსენებები, სათანადო განხილვისა და დამუშავების შემდეგ საფუძვლად დაედება სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფუნდამენტური მეცნიერების განვითარების პროგნოზირებისა და დარგების გრძელვადიან პროგრამას.

დავიწყებ მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილებით.

ცოტა ხნის წინათ ზემდგომმა ორგანოებმა მიიღეს გადაწყვეტილება თეორიულ და გამოყენებით მათემატიკაში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გაძლიერებისა და ამ დარგში მომუშავე მეცნიერთა სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების შესახებ.

გათვალისწინებულა რა საქართველოში მათემატიკის განვითარების მაღალი დონე, თბილისის ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი შეყვანილია იმ დაწესებულებათა ნუსხაში, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ამ დადგენილების შესრულებაზე.

გამოკვლევები თეორიულ და გამოყენებით მათემატიკაში ემყარება, მხრივ, ტრადიციულ მიმართულებებში მიღებულ მნიშვნელოვან შედეგებს, ხოლო მეორე მხრივ, გაპირობებულია თანამედროვე მათემატიკის განვითარების ზოგადი ტენდენციებით. გაგრძელდება ანალიზური ფუნქციებისა და მათემატიკური ფიზიკის სასაზღვრო ამოცანების და სინგულარული ინტეგრალური განტოლებების ახალი კლასების შესწავლა, მათი გამოყენება დრეკადობის თეორიაში. ახალი ამოცანები ისახება ჩვეულებრივი და კერძო წარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებების და პარმონიული ანალიზის აქტუალური საკითხების შესწავლის დარგში.

მნიშვნელოვანი პერსპექტივებია თანამედროვე ალგებრასა და ტოპოლოგიაში, რაც გამოყენებას პოუვებს ჰომოტოპიის, გლობალური ანალიზისა და თეორიული ფიზიკის ამოცანების გადაწყვეტაში (ა. რაზმაძის სახ. მათემატიკის ინსტიტუტი).

ფუნქციონალურ სივრცეებში ალბათურ განაწილებათა კორელაციური თეორიის საფუძველზე შეისწავლება შემთხვევით პროცესთა თეორიის კავშირი სივრცის შინაგან გეომეტრიასთან და ფუნქციონალური ანალიზის საკითხებთან (ნ. მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი).

მათემატიკური უზრუნველყოფის დამუშავება აუცილებელი პირობაა თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის ეფექტური გამოყენებისათვის. აქ იგულისხმება საკითხების მთელი კომპლექსი, რომლის ძირითადი კომპონენტებია — რეალური ამოცანის მათემატიკური მოდელის შექმნა, მოდელის მიახლოებითი ამოხსნის მეთოდების აგება, ალგორითმიზაცია და, ბოლოს, მანქანური პროგრამის შექმნა ამოცანის ამოხსნის კონკრეტული რეალიზაციისათვის (ნ. მუსხელიშვილის სახ. გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი, კიბერნეტიკის ინსტიტუტი, მართვის სისტემების ინსტიტუტი).

ცვლადი სტრუქტურის მქონე დინამიკური სისტემების ოპტიმალური მართვისა და ვექტორული ოპტიმიზაციის საფუძველზე კიბერნეტიკისა და მართვის სისტემების ინსტიტუტებში მუშავდება ოპტიმალური თეორია მრავალი კრიტერიუმის ერთდროული ოპტიმიზაციის და დაგვიანების გათვალისწინებით.

ფიზიკის დარგში ფუნდამენტურ გამოკვლევათა პროგრამაში ფართოდ არის წარმოდგენილი კონდენსირებულ გარემოთა დაბალტემპერატურული თვისებების კვლევა, კერძოდ პელიუმ-3-ის თვისებების თეორიული და ექსპერიმენტული შესწავლა.

ფიზიკის ინსტიტუტში ნეიტრონული დასხივების დაბალტემპერატურულ კომპლექსის საშუალებით გაგრძელდება მუშაობა პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე რადიაციულად მედეგი მასალების შექმნის მიმართულებით.

კონდენსირებულ გარემოთა ფიზიკაში დღეს მოხდა ეპოქალური მნიშვნელობის ძვრები მაღალტემპერატურული ზეგამტარების შექმნის მიმართულებით. როგორც მოგვხსენებათ, ამ ბოლო თვეებში მსოფლიოს სხვადასხვა ლაბორატორიაში მიღებულია ნივთიერებები, რომლებიც ზეგამტარნი არიან თითქმის ოთახის ტემპერატურაზე. ამ გამოკვლევებმა შეიძლება რევოლუციური ზეგავლენა იქონიონ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების სხვადასხვა დარგზე. ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი კოლექტივები (ფიზიკის, კიბერნეტიკის, მეტალურგიის ინსტიტუტები) უკვე ჩაებნენ ამ მეტად მნიშვნელოვანი პრობლემის კვლევაში. ამასთანავე, საქმის უფრო ეფექტური წარმართვის მიზნით მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ სამუშაოების კოორდინაციის გაძლიერება.

საკმაოდ ფართოდ ისახება ბირთვული და ელემენტარული ნაწილაკების ექსპერიმენტული და თეორიული ფიზიკის განვითარება. დუბნისა და სერპუ-

ხოვის ბირთვულ ცენტრებში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერულ ჯგუფებთან ერთად, კვლევებს აწარმოებენ აკადემიის ფიზიკის და მათემატიკის ინსტიტუტების და უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერული კოლექტივები. ამგვარი თანამშრომლობა აგრეთვე საშუალებას იძლევა აღვზარდოთ სპეციალისტები ისეთ თანამედროვე დარგებში, როგორცაა მიკროელექტრონიკა და ინფორმაციის დამუშავება. მრავალკვარკოვანი სისტემების შესწავლის სამუშაოები, რომლებიც ჩაატარა მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტმა, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე დასახელებული იყო როგორც საბჭოთა მეცნიერების ერთ-ერთი თვალსაჩინო მიღწევა.

გათვალისწინებულია პლაზმის ფიზიკის შემდგომი განვითარება. ტურბულენტურ პლაზმაში არაწრფივი მოვლენების კვლევა რელატივისტური ეფექტების გათვალისწინებით გამოყენებული იქნება მართვადი თერმობირთვული რეაქციების შესწავლისა და ასტროფიზიკის ამოცანებისათვის (პულსარების გამოსხივების, აკრეციული დისკების და სხვა კომპაქტური ობიექტების ბუნების კვლევა), ხოლო ფიზიკის ინსტიტუტში დამუშავებული ინფრაწითელი პოლოგრაფიული ინტერფერომეტრიის მეთოდი შეიძლება ფართოდ იქნეს გამოყენებული პლაზმის დიაგნოსტიკისათვის.

უნიკალური დამზერითი მასალის მოპოვებით და მისი ინტერპრეტაციის საშუალებით შესაძლებელი გახდა მთვარის ატლასის შედგენა, რომელიც გამოსაცემად მზადდება საბჭოთა კავშირში როგორც ყველაზე უფრო თანამედროვე და სრული სელენოგრაფიული სინოპსისი (აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია).

კიბერნეტიკის ინსტიტუტში მიმდინარეობს პერსპექტიული სამუშაოები გამოთვლითი მანქანების ელემენტური ბაზის შესაქმნელად. დამუშავებულია ზეთხელი აფსკების მიღების ტექნოლოგია მიკროელექტრონიკასა და ოპტოელექტრონიკაში გამოსაყენებლად. შექმნილია მოცემული სპირალური სტრუქტურის მქონე თხევად კრისტალების მიღების ტექნოლოგია სათანადო სინათლის სივრცული მოდულაციისათვის.

გათვალისწინებულია ბოჭკოვანი ოპტიკისა და პოლოგრაფიის შემდგომი განვითარება. დამუშავდება ახალი ტიპის ბოჭკოების მიღების ტექნოლოგია, რომელთა მგრძობიარობა სცილდება ხილულ არეს. პოლარიზაციული პოლოგრაფიის მეთოდის საფუძველზე გამოკვლეული იქნება ფიზიკური მექანიზმები ფოტოფიზიკის, ფოტოქიმიის, არაწრფივი ოპტიკისა და სხვა დარგებში.

პროგრამა ითვალისწინებს დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა შემდგომ განვითარებას.

ა. ჯანელიძის სახ. გეოლოგიურ და გეოფიზიკის ინსტიტუტებში გაგრძელდება კავკასიის რეგიონის ევოლუციის კვლევა ტრადიციული მეთოდებისა და მათემატიკური მოდელირების საფუძველზე. დედამიწის გეოდინამიკური მოდელის შექმნის შედეგად დამუშავდება მარგი წიაღისეულის პროგნოზირების ახალი საშუალებები.

ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობით მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ახალი ატლასის შესადგენად. ამ სამუშაოს შესრულებაში ჩაებმება რესპუბლიკის სამოცამდე დაწესებულება. ატლასის დამთავრება დაგეგმილია 1993 წლისათვის. მას დაერთება კოლექტიური ნაშრომი — „საქართველოს გეოგრაფია“ ორ ტომად, რომელშიც შეჯამდება ქართული გეოგრაფიული სკოლის უახლესი მიღწევები რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსების შესწავლის, გამოყენებისა და გარემოს დაცვის დარგში.

უკანასკნელ დროს მომხდარმა სტიქიურმა მოვლენებმა დაბეჯითებით გვიჩვენა დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა განყოფილების ინსტიტუტებსა

და სხვა განყოფილებებში შემავალ სამეცნიერო დაწესებულებებს შორის სამუშაოთა კოორდინაციის აუცილებლობა, მეწყერების, ღვარცოფებისა და წყალდიდობების პროგნოზული რუკების შედგენისა და მათი თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავების მიზნით. შემდგომში საჭიროა აკადემიის პრეზიდიუმთან შეიქმნას მუდმივმოქმედი საბჭო, რომელსაც დაეკისრება ამ სამუშაოთა კოორდინატორის ფუნქციები.

პროგრამა ითვალისწინებს მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების შემდგომ განვითარებას.

მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში შექმნილი ადამიანი-ოპერატორის კიბროდაცვის არაწრფივი თეორიის საფუძველზე გათვალისწინებულია მძლავრი ვიბრაციული მანქანის შექმნა.

მართვის სისტემების ინსტიტუტში გაგრძელდება სამუშაოები ადამიანსა და გამომთვლელ მანქანას შორის დიალოგური სისტემის დასამუშავებლად, ელექტრონული ინდიკაციის ინფორმაციული სისტემების შესაქმნელად და ტექნოლოგიური დანიშნულების თბური ტუმბოების დასაწარმოებლად.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან იუნესკოს ხაზით შეიქმნა სეისმომედეგი მშენებლობის საერთაშორისო ცენტრი, რომლის ძირითადი დანიშნულებაა განვითარებადი ქვეყნებისადმი სეისმომედეგი მშენებლობის ნორმებისა და სტანდარტების შემუშავება და მსოფლიოში მომხდარი მიწისძვრების ბანკის შექმნა. ცენტრს, გამოთვლითი მათემატიკის და სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტებთან ერთად, ევალება აგრეთვე კონსტრუქციების, შენობათა და ნაგებობათა გაანგარიშების მათემატიკურ-ალბათობითი ექსპერიმენტული და თეორიული მეთოდების შემუშავება.

ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების სამეცნიერო დაწესებულებებს წამყვანი როლი აქვს რიათ მანგანუმის პრობლემის შესწავლასა და სამეურნეო გამოყენებაში. მეტალურგიის, ფიზიკური და ორგანული ქიმიის, არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის და სამთო მექანიკის ინსტიტუტებში ჩატარებული გამოკვლევების საფუძველზე შესაძლებელი გახდა, პირველად საბჭოთა კავშირში, მანგანუმის მადნების მოპოვების სელექციური მეთოდების შემუშავება, კარბონატული მადნების გამოყენების ფართოდ დანერგვა ფეროშენადნობების წარმოებაში, ლითონური ელექტროლიზური მანგანუმისა და კალიუმ-პერმანგანატის წარმოების შექმნა.

აკადემიის მეთაურობით შედგენილია მიზნობრივი პროგრამა „მანგანუმი“. პროგრამა ითვალისწინებს მანგანუმის მოპოვებისა და გადამამუშავების მაღალეფექტური მეთოდების შემუშავებასა და დანერგვას, რაც განაპირობებს ჰიათურის საბადოს არსებობის ვადის გაზრდას და მადნების რაციონალურ გამოყენებას.

მეტალურგიის ინსტიტუტში შემუშავებულია ახალი უქანგავი მანგანუმ-შემკველი ფოლადების მიღების ტექნოლოგია. შეისწავლება ლითონების და კომპოზიციური მასალების ფხვნილების მიღების კანონზომიერებანი, რომელთა გამოყენება განაპირობებს დეტალების ხარისხის გაუმჯობესებას.

პ. მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში შეისწავლება ცეოლითებისა და ფერომონების ფიზიკურ-ქიმიური თვისებები. დასახულია მათი სოფლის მეურნეობაში ფართო გამოყენების ამოცანები.

ბიოლოგიის განყოფილების პერსპექტიულ გეგმაში გათვალისწინებულია

მთლევლური ბიოლოგიის, მოლევლური გენეტიკის, ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის შემდგომი განვითარება.

ტრადიციულ პალეობიოლოგიურ მეთოდებთან ერთად, ევოლუციური პროცესების შესწავლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება არქეობაქტერიების გენომების შესწავლას და მათი მოლევლური ორგანიზაციის შედარებას ეუკარიოტთა გენომებთან.

მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტში მცენარულ ღვრედში სატილიტური დნმ-ის აღმოჩენისა და შესწავლის საფუძველზე შესაძლებელი ხდება მცენარეში იზოპრენის წარმოქმნის მექანიზმის დადგენა და სტრესული მდგომარეობის მიმართ მდგრადი მცენარეების ახალი ფორმების შექმნა.

მცენარეში კანცეროგენული ნივთიერების — ბენზპირენის დეტოქსიკაციის მექანიზმის აღმოჩენა სახავს ტოქსიკური და კანცეროგენული ეგზოგენური ნივთიერებების ტრანსფორმაციის მექანიზმების შესწავლის პერსპექტივებს.

უნარჩნო ტექნოლოგიის შექმნისა და ფარმაკოლოგიური პრეპარატების წარმოების მიზნით დასახულია თერმოსტაბილური ფერმენტების და მათი პროდუცენტების ეფექტური გამოყენების გზები.

მოლევლური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტში განვითარდება კვლევები კუნთის შეკუმშვის მოდელის შესაქმნელად, იონთა და დაბალმოლევლურ ნაერთთა მოქმედების ფონზე.

ზოგადბიოლოგიური მნიშვნელობა აქვს ჩვენი ბოტანიკოსების გამოკვლევებს ეკოსისტემების შესწავლის დარგში მაღალმთის პირობებში.

ზოოლოგიის ინსტიტუტმა აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ „წითელი წიგნის“ შედგენაში. ამჟამად ცალკე ტომად მომზადდა „წითელი წიგნის“ მეორე შეცვლებული გამოცემა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის ცხოველთა სამყაროს შენარჩუნებისა და დაცვისათვის.

პერსპექტიულად გვეჩვენება აკადემიის ინსტიტუტებსა და ბოტანიკურ ბაღებში მიმდინარე ეკოლოგიურ-ფიზიოლოგიური გამოკვლევების მეთოდების გამოყენება კოლხეთის დაბლობის ქაობების მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების შესასწავლად. ამ კვლევათა მნიშვნელობა გაპირობებულია იმით, რომ კოლხეთში არსებობს მწვანე მასის უზარმაზარი განახლებადი რეზერვი, რომელიც თანამედროვე ბიოტექნოლოგიის მეთოდების მეშვეობით შეიძლება გამოყენებულ იქნეს საკვები ცილისა და ცელულოზის მისაღებად.

შემდგომ განვითარებას პოვებს გამოკვლევები ფიზიოლოგიისა და ექსპერიმენტული მორფოლოგიის დარგში.

ბ. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტში იდენტიფიცირებულია ექსპერიმენტული ნევროზის ნაადრევი სტადია და აღმოჩენილია თავის ტვინის სტრუქტურათა სისტემა, რომელთა გააქტივებისას შესაძლებელი ხდება ნევროზული პროცესების შეჩერება. მიღებული შედეგების კლინიკაში გამოყენების მიზნით მიმდინარეობს ამ საკითხების ნეიროფარმაკოლოგიური ბუნების დადგენა.

ძილის სტრუქტურის შესწავლით და მისი პარადოქსული ფაზის — დეპრეკაციის ახალი მეთოდის დამუშავებით შესაძლებელი გახდება პარადოქსულ ძილთან მიზეზობრივად დაკავშირებულ დაავადებათა მკურნალობა კლინიკის პირობებში.

თავის ტვინის ბიოლოგიის შესწავლა ერთ-ერთი აქტიური პრობლემაა ფიზიოლოგიის ინსტიტუტის თემატიკაში. თავის ტვინის კაპილარული სისტემის ნერვული რეგულაციის აღმოჩენის საფუძველზე ფართო პერსპექტივები ისახება მიკროცირკულაციაში ჩართული სისხლძარღვების ქცევის და მათი სანათურის რეგულაციის მექანიზმების შესწავლისათვის.

თავის ტვინის ჰემისფეროთაშორისი ურთიერთობის დადგენის საფუძველზე შეისწავლება მეხსიერების ორგანიზაციის ზოგერთი ასპექტი.

ა. ნათიშვილის სახ. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში მიღებული შედეგები სახავს გულის კუნთის კვების მოლეკულური მექანიზმების განსაზღვრის პერსპექტივებს.

ფარმაკოქიმიისა და ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტებში გაგრძელდება კვლევები სამკურნალო პრეპარატების დამუშავებისა და მიღების მიზნით.

ი. ქუთათელაძის სახ. ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში შესაძლებელი გახდა ათეროსკლეროზის, ანთების, ურემიის საწინააღმდეგო სამკურნალო პრეპარატების შემუშავება, ისახება სხვა დაავადებათა საწინააღმდეგო საშუალებათა შექმნის პერსპექტივა.

მიგნებულია ინტერფერონის მიღების ახალი წყარო, გამოყოფილია მისი ახალი სახეობა — პლაფერონი, რომელსაც ფართო მოქმედების სპექტრი აქვს. დაწყებულია პლაფერონის ბუნების კვლევა მოლეკულურ დონეზე.

სოფლის მეურნეობის მეცნიერების პრობლემათა განყოფილების ოფმატიკამ ვერ პოვა პროგრამაში სათანადო ასახვა. ამის ერთ-ერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მას არ გააჩნია საბაზო ინსტიტუტები, ხოლო უნიკალური ბოტანიკური ბაღები, როგორც წესი, ვითარდება ბიოლოგიის განყოფილებაში.

პროგრამაში ფართოდ არის წარმოდგენილი ჰუმანიტარული ჯარგების პრობლემატიკა, რაც ბუნებრივად ასახავს მათი განვითარების ფართო პერსპექტივას ჩვენს აკადემიაში.

იბერიულ-კავკასიური, სემიტური და ინდოევროპული ენების შესწავლის ტრადიცია შესაძლებელს ხდის ამ დარგში მოპოვებული ცოდნის შემდგომ ინტენსიურ განვითარებას. აღსანიშნავია ამ ჯგუფების თეორიული პრობლემების ისტორიულ-შედარებითი კვლევა, განსაკუთრებით ინდოევროპული ენებისა და კულტურის შედარებითი შესწავლის პრობლემატიკა. რაც შეეხება იბერიულ-კავკასიურ ენებს, თბილისი ითვლება ამ მეცნიერული დარგის შესწავლის ცენტრად.

გაღრმავდება ქართული ლიტერატურული პროცესის, ქართველი საბჭოთა მწერლების შემოქმედებისა და ახალი ქართული ლიტერატურის კვლევა. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ისეთ მრავალტომიან ფუნდამენტურ გამოკვლევებს, როგორცაა „ქართული ლიტერატურის ისტორია“ და „ქართული ხალხური პროზა“. კვლავ გაგრძელდება მუშაობა ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის თხზულებათა სრული კრებულების აკადემიურ გამოცემაზე. გაფართოვდება მოქმე რესპუბლიკებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებთან საქართველოს ლიტერატურული კავშირების კვლევა.

კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაიკვლია V საუკუნიდან მოყოლებული ხელნაწერების დიდმნიშვნელოვანი ფონდი, რომელიც შეიცავს როგორც ორიგინალებს, ისე თარგმანებს ბერძნული, არაბული, სირიული, კოპტური, სომხური ენებიდან, რომელთა ორიგინალები უმეტეს შემთხვევაში დაკარგულია. ამის გამო ქართულ ტექსტებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო ქართული დამწერლობის ისტორიისათვის, არამედ ბიზანტიისა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიისათვისაც.

მნიშვნელოვანი მიღწევები და პერსპექტივებია ქართული ხელოვნების ისტორიის შესწავლაში. გაღრმავდება გამოკვლევები აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის ისტორიის, კულტურის, ლიტერატურის, ენისა და ხელოვნების შესწავლის მიმართულებით.

ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში გაგრძელდება სსრ კავშირის ხალხთა ისტორიის, საქართველოს ისტორიის, კავკასიის ხალხთა ისტორიის, კავკასიის ცივილიზაციის პრობლემების კვლევა და სხვა. უახლესი ქართული საისტორიო მეცნიერების წინაშე დგას დოგმატიზმისა და სუბიექტივიზმის გავლენისაგან განთავისუფლებისა და ჩვენი საზოგადოების დემოკრატიული განვითარების გზებისა და ღონის მეცნიერულად გამოკვლევის ამოცანები.

არქეოლოგიური მეცნიერების განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ექნება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ერთობლივ დადგენილებას რესპუბლიკაში არქეოლოგიური კვლევების შემდგომი განვითარებისა და არქეოლოგიური დაწესებულებებისა და ექსპედიციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერების შესახებ.

ადამიანის ფაქტორის კვლევა იყო და რჩება პრიორიტეტულ მიმართულებად ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის დარგებში, მისი შედეგები სულ უფრო მეტ გავლენას უნდა ახდენდეს საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროზე. დიდი ამოცანები დგას ეკონომიკური მეცნიერების წინაშე. გარდაქმნისა და დაჩქარების პირობებში საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის განვითარების სხვადასხვა ასპექტის თეორიული გააზრება სულ უფრო მეტად უნდა გამოიყენებოდეს სამეურნეო პრაქტიკაში.

ამრიგად, ზოგადად მოგახსენეთ ფუნდამენტურ გამოკვლევათა პროგრამის წინასწარი პროექტის შესახებ, რომლის მომზადებაში ძირითადად მონაწილეობდნენ აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებები.

როგორც მოგახსენებთ, მეცნიერებათა აკადემიას ევალება ფუნდამენტურ გამოკვლევათა კოორდინაცია რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში. აქედან გამომდინარე, ჩვენს ძირითად ამოცანას, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან და მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან რესპუბლიკაში წარმოებულ ფუნდამენტურ გამოკვლევათა პროგრამის შექმნა. ასეთი პროგრამის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია მეცნიერული ძალების წამყვან ფუნდამენტურ მიმართულებებზე მაქსიმალური კონცენტრაცია და სამეცნიერო დანადგარ-მოწყობილობის ეფექტურად გამოყენება. რაც მთავარია, აღნიშნული პროგრამა, როგორც შემადგენელი ნაწილი, შევა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფუნდამენტურ მეცნიერებათა განვითარების გრძელვადიან პროგრამაში.

საერთო რესპუბლიკური პროგრამის შემუშავების მიზნით უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან და მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან უკვე დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები, მაგრამ ალბათ საჭირო იქნება გარკვეული ღონისძიებების გატარება აღნიშნული გეგმის დროულად და ხარისხიანად მომზადებისათვის.

საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა გ. მარჩუკმა ჩვენი აკადემიის პრეზიდიუმის ახლახან ჩატარებულ გაფართოებულ სხდომაზე აღნიშნა, რომ დღეს საბჭოთა მეცნიერების წინაშე დგას დიდი ამოცანა: საკავშირო და რესპუბლიკურ აკადემიებში წარმოებულ მეცნიერულ გამოკვლევათა დონე უნდა შეესაბამებოდეს მსოფლიო მეცნიერების მოწინავე დონეს. ამ მხრივ ჩვენი აკადემია, მისი პრეზიდიუმი უარესად საპასუხისმგებლო ამოცანის წინაშე დგანან, რათა გამოიყოს პრიორიტეტული მიმართულებები და შესაბამისი ინსტიტუტები, რომლებიც თავიანთი პოტენციური შესაძლებლობით წამყვან როლს შეასრულებენ მათ გადაწყვეტაში.

ლდება აკადემიის 23 ინსტიტუტის დირექტორსა და ასზე მეტ განყოფილებას გამგეზე.

ძვირფასო მეგობრებო, აქ 21 ვერ შემოვინახავრები სტატისტიკის მშრალი ციფრებით, მით უფრო, როდესაც საქმე ეხება აკადემიის იმ ღვაწლმოსილი მეცნიერების შეცვლას, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს ჩვენი აკადემიის მდიდარი ტრადიციების ჩამოყალიბებაში, მისი განვითარებისა და წინსვლის საქმეში. როგორც მოგეხსენებათ, პრეზიდიუმის წევრები და ინსტიტუტების დირექტორები შეიძლება დარჩნენ პრეზიდიუმის მრჩეველებად და, შესაბამისად, საპატიო დირექტორებად და დირექციის მრჩეველებად. ამრიგად, ჩვენ უდიდესი ყურადღება, სიღინჯე და გულსხმიერება ვემართებ, რათა სამეცნიერო საზოგადოების აზრის მაქსიმალური გათვალისწინებით შევარჩიოთ ჩვენი სასიქადლო მეცნიერების ღირსეული ცვლა.

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიაში მუშაობს 13600 თანამშრომელი, მათ შორის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში 10850. თანამშრომელთა საერთო რაოდენობიდან 5724 მეცნიერი მუშაობს.

აკადემიის 53 აკადემიკოსიდან 43 გადაცილებულია 65 წლის ასაკს. 295 მეცნიერებათა დოქტორიდან (აკადემიის წევრების გამოკლებით) 92 გადაცილებულია 60 წლის ასაკს, ხოლო 155—50-დან 60-წლის ასაკისა. 43 ინსტიტუტის დირექტორიდან 23-ის ასაკი 65 წელს აღემატება. დღეისათვის აკადემიაში მუშაობს 40 წლამდე ასაკის მხოლოდ ხუთი მეცნიერებათა დოქტორი. საგანგაშოა ისიც, რომ ბოლო 5 წლის განმავლობაში 50—60 წლის ასაკის მეცნიერებათა კანდიდატების რაოდენობა ორჯერ გაიზარდა.

ამრიგად, მეცნიერებათა აკადემიაში შექმნილი არაღამაქამყოფილებელი მდგომარეობა მოითხოვს შემდგომ ღრმა ანალიზს და ახალგაზრდა მეცნიერთა პროფესიული და სამეცნიერო-ორგანიზაციული ზრდის ეფექტური გზების გამოძებნას. ერთი კი ცხადია: დღეს ხელმძღვანელ თანამდებობებზე უფრო გაბედულად უნდა დაეაწინაუროთ პერსპექტიული ახალგაზრდობა. კადრების განახლებაში, ექვემდებარება, დიდ როლს შეასრულებს აკადემიის ინსტიტუტების ახალგაზრდა კადრებით ყოველწლიური ხუთპროცენტიანი შევსება, რაც გათვალისწინებულია დადგენილებით.

ჩვენ, სამწუხაროდ, ვერ გამოვიყენეთ ის დიდი შესაძლებლობა, რომელიც მეცნიერ მუშაკთა ატესტაციას უნდა მოეცა, რისთვისაც მეცნიერებათა აკადემია სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმზე (1987 წ.).

მეცნიერებაში სწორი საკადრო პოლიტიკის გატარება მოითხოვს ყოველდღიურ ზრუნვას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებაზე.

დღეისათვის ჩვენი აკადემიის ერთი მეცნიერი თანამშრომლის ფონდალქურვილობა 1,4-ჯერ ნაკლებია, ვიდრე მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიების საშუალო მაჩვენებელი და ორჯერ ჩამორჩება საკავშირო მეცნიერებათა აკადემიისას. სიტუაციის უფრო ცხადად წარმოდგენისათვის მოგახსენებთ, რომ ჩვენი აკადემიის სახელმწიფო ბიუჯეტის დანახარჯებში მხოლოდ 4 მილიონი მანეთია გათვალისწინებული დანადგარ-მოწყობილობათა შესაძენად. მაშინ როცა ერთი თანამედროვე დანადგარის ფასი რამდენიმე მილიონს აღემატება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბოლო დროს ჩვენი აკადემიის განვითარება დამუხრუჭებული იყო.

მოგეხსენებათ, სერიოზული მეცნიერული შედეგების მიღწევა ბევრად არის დამოკიდებული კომპლექსური, თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილობაზე. წარმოუდგენელია კადრების ეფექტიანი მუშაობა მეცნიერული კვლევის ავტომატიზაციის გარეშე. აქ ძირითადად იგულისხმება ორი საკითხი: გა-

მოთვლითი ტექნიკის გამოყენება დაგეგმვისა და შესრულების მართვაში და თვით ექსპერიმენტის ავტომატიზაცია. აკადემიაში მძიმე მდგომარეობაა ორივე ამ მიმართულებით. ამჟამად ჩვენს ინსტიტუტებში მოქმედებს საშუალო სიმძლავრის მხოლოდ რამდენიმე გამოთვლელი მანქანა და 18 პერსონალური კომპიუტერი, რომელთა ჯამური ოპერატიული მეხსიერება დაახლოებით 10 მეგაბაიტს შეადგენს. შედარებისათვის ვიტყვი, რომ გამოთვლითი ტექნიკის საშუალო სიმძლავრე საკავშირო აკადემიის მოწინავე ინსტიტუტებში 50 მეგაბაიტს აღემატება. გამოთვლელი მანქანების მცირე სიმძლავრის მიუხედავად, სამწუხაროდ, არ არის მიღწეული მათი სრული დატვირთვა. ესე იგი, გამოთვლითი ტექნიკის უქონლობასთან ერთად, ჩვენ ვერ დავუფლეთ მასთან მუშაობის ჩვევებსაც.

აკადემიაში ავტომატიზაციას მოითხოვს 700-ზე მეტი ექსპერიმენტი, რომელთაგან დღეისათვის ავტომატიზებულია მხოლოდ 10 პროცენტი. ავტომატიზაციის საშუალებათა შექმნას ემსახურება სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო, მაგრამ ისიც თავისი პროდუქციის ნახევარზე მეტს აწარმოებს არაკადემიური ორგანიზაციებისათვის, რადგან ჩვენი ინსტიტუტები მას სათანადოდ არ ტვირთავენ.

ინსტიტუტების სათანადო ტექნიკითა და გამოთვლითი მანქანებით აღჭურვის და მათი ეფექტური გამოყენების დაგეგმვაში ერთიანი პოლიტიკის გატარების მიზნით შეიქმნა გამოთვლითი ტექნიკის, მათემატიკური მოდელირების, კვლევის ავტომატიზაციისა და სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო. საბჭოს საბაზო ორგანიზაციებად მიჩნეულია გამოთვლითი მათემატიკის, მართვის სისტემების, კიბერნეტიკის ინსტიტუტები და სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო. საბჭოს პირველ მიღწევად შეიძლება ჩაითვალოს საკავშირო აკადემიიდან დამატებითი დაფინანსების გამოყოფა და მძლავრი გამოთვლითი მანქანის შექმნა.

ბოლო ათი წლის განმავლობაში არსებითად არ შეცვლილა აკადემიის პოლიგრაფიული ბაზა, ხოლო საბჭულ ფურცელთა ლიმიტი ამ ხნის მანძილზე გაიზარდა მხოლოდ 200 თაბახით. ეს გარემოებაც უარყოფითად მოქმედებს მეცნიერ თანამშრომელთა მუშაობის ეფექტიანობაზე.

მოხსენების დასაწყისში ჩვენ აღვნიშნეთ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებთან და ქვეყნის სხვა სამეცნიერო ცენტრებთან მეცნიერული კონტაქტების აუცილებლობის მნიშვნელობა. დღეს არანაკლები როლი ენიჭება საერთაშორისო კავშირებს სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების მოწინავე სამეცნიერო ცენტრებთან. ეს კონტაქტები სხვადასხვა მიზეზების გამო ჩვენში სუსტად ხორციელდება და უმეტესად უფრო ეპიზოდურ ხასიათს ატარებს და არ გამოიხატება შედეგადად, გეგმავთმომიერ მიზანდასახულ საერთაშორისო თანამშრომლობაში.

სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა რიტმული მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება კაპიტალური მშენებლობის, მომარაგების და აკადემიის წინაგზებისა და ნაგებობების ექსპლუატაციის სამსახურს. აქ ჩვენ ბევრი მოსაგვარებელი საკითხი გვაქვს.

აკადემიაში განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს კაპიტალური მშენებლობის საკითხები. ჰუმანიტარული პროფილის 14 ინსტიტუტიდან 10 ძველ, ამორტიზებულ შენობაშია განლაგებული. ამჟამად რესპუბლიკის ხელმძღვანელობის აქტიური დახმარებით მუშავდება ჰუმანიტარული დარგის ინსტიტუტების განლაგების გენერალური გეგმა აკადემიალაქის ტერიტორიაზე.

გადაუღებელ გადაწყვეტას მოითხოვს აგრეთვე საბუნებისმეტყველო დარ-

გის ზოგიერთი ინსტიტუტის მშენებლობისა და აკადემიის სხვა სამეცნიერო დაწესებულებების გაფართოებისა და რეკონსტრუქციის საკითხები.

ამრიგად, ჩვენი აკადემიის შემდგომი განვითარება საჭიროებს ძრავალი სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო ღონისძიებების განხორციელებას. ეს კი, თავის მხრივ, მოითხოვს აკადემიის ვიცე-პრეზიდენტების, განყოფილებათა აკადემიკოს-მდივნებისა და ინსტიტუტების დირექტორების როლისა და პასუხისმგებლობის საგრძნობ ამაღლებას. ამ მიზნით აკადემიაში შემუშავებულია სამეცნიერო განყოფილებების დებულებისა და ინსტიტუტის წესდების პროექტები. ეს დოკუმენტები ითვალისწინებენ განყოფილებებისა და ინსტიტუტების მეტ დამოუკიდებლობას, ინიციატივას, კონკრეტულობას სამეცნიერო-საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტაში. ხსენებული პროექტები დღეს განსახილველად წარედგინება აკადემიის საერთო კრებას.

გარდაქმნის პერიოდში აკადემიას დიდ დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. აკადემია მჭიდრო კავშირში მუშაობს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტთან, ამასთანავე საჭიროა გამოიძებნოს ახალი გზები, რათა დამყარდეს უფრო მჭიდრო კავშირი აკადემიის პარტორგანიზაციათა მდივნების საბჭოსა და რაიონულ პარტიულ ორგანიზაციებს შორის.

ამრიგად, აკადემიის წინაშე დგას საპასუხისმგებლო და მასშტაბური ამოცანები. ჩვენ ინსტიტუტებსა და პრეზიდიუმის აპარატში უნდა მივალწიოთ ნამდვილი შემოქმედებითი შრომისა და დემოკრატიზმის ატმოსფეროს, მაღალი დისციპლინის, ორგანიზებულობის, პასუხისმგებლობისა და მომთხოვნელობის ვითარების შექმნას.

ჩვენი პოტენციური შესაძლებლობების, წლობით დაგროვილი გამოცდილებისა და ცოდნის გათვალისწინებით, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას შესწევს უნარი იმ მნიშვნელოვანი და რთული სამეცნიერო და სამეცნიერო-ორგანიზაციული ამოცანების გადაწყვეტისა, რომლებიც დგას მის წინაშე.

★ ★ ★

ს. ზ. ლუბიმოვიძის მოხსენება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭომ არაერთი დადგენილება მიიღეს ქიმიის, ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის შემდგომი განვითარების შესახებ. ქიმიური და ბიოლოგიური მეცნიერების წინაშე საპასუხისმგებლო ამოცანები დაისახა. ქიმიისა და ბიოლოგიის დაეკისრა მნიშვნელოვანი როლი აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარებაში, ჯანმრთელობის დაცვაში, ენერგეტიკაში, მანქანათმშენებლობის, ელექტრონიკის, ნედლეული რესურსების კომპლექსური და ეკონომიური გამოყენების უახლესი მიმართულებების განვითარებაში.

ქიმიის განვითარების გარეშე, როგორც მოგეხსენებათ ვერ გადაწყდება სასურსათო პროგრამის, მანქანათმშენებლობის, ელექტრონული გამოთვლითი ტექნიკის, ახალი მასალების შექმნის ამოცანები. ბიოლოგიურ მეცნიერებათა კომპლექსის წარმატებები — მედიცინის, სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, სხვა დარგების განვითარების აუცილებელი წინაპირობაა. განსაკუთრებით დიდი ამოცანები დგას ბიოლოგიის იმ მიმართულებების წინაშე, რომელთაც ამჟამად ბიოტექნოლოგიას უწოდებენ. შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ბიოტექნოლოგია არის ბიოლოგიური აზროვნების ყველაზე ბოლო მიღწევების პრაქტიკაში დაკრისტალდება. ახალი ბიოტექნოლოგია ეყრდნობა გენურ და უჯრედულ ინჟინერის, მიკრობიოლოგიური სინთეზის უახლეს მიმართულებებს.

ამას წინათ ვიცე-პრეზიდენტი ი. ოვჩინიკოვის მოხსენებამ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე ნათლად გვიჩვენა, თუ რა დიდმნიშვნელოვანი კვლევები სრულდება საბჭოთა კავშირის მასშტაბით ბიოლოგიასა და ბიოტექნოლოგიაში. მხოლოდ ორ ციფრს დავასახელებ: ბიოტექნოლოგიური მეთოდებით საბჭოთა კავშირმა უახლოეს პერიოდში 400-მდე ახალი პრეპარატი უნდა გამოუშვას, ხოლო ბიოლოგიური კვლევებისათვის უნდა დამზადდეს სხვადასხვა დანიშნულების 100-ზე მეტი ხელსაწყო. შეიქმნა ამ ამოცანათა შესაბამისი სამეცნიერო საწარმოო გაერთიანებები. იბადება სამეცნიერო კოლექტივების მუშაობის ახალი ფორმა — სამეცნიერო-ტექნიკური კომპლექსი, რომელიც ორგანიზაციულად აერთიანებს ინსტიტუტსა და ქარხანას.

საბჭოთა კავშირის მოწინავე კოლექტივების ამ მეცნიერულმა მიმართულებებმა და მიდგომებმა მნიშვნელოვანწილად განაპირობა ქართველი ბიოლოგების, მედიცინის, სოფლის მეურნეობის დარგების მეცნიერთა დღევანდელი წარმატებები და მომავალი კვლევის პერსპექტივები.

ნება მიბოძეთ მეტად მოკლედ წარმოგიდგინოთ ზოგიერთი მიღწევა და პერსპექტივა ბიოლოგიის, მედიცინის და სოფლის მეურნეობის პრობლემათა დამუშავებაში.

უწინარეს ყოვლისა, შევეხოთ ბიოლოგიური მეცნიერების ახალ მიმართულებებს: მოლეკულურ ბიოლოგიას, მოლეკულურ გენეტიკას, ბიოლოგიურ ფიზიკას, ბიოტექნოლოგიას. ამ დარგებში წარმატებით მუშაობენ მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოფიზიკის ინსტიტუტი, მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი, ფიზიკის ინსტიტუტის ბიოფიზიკის განყოფილება, მორფოლოგიის ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისის ვაქცინებისა და შრატების ინსტიტუტი. აქ აშკარად გამოიკვეთა იმ სამუშაოთა დიდი მნიშვნელობა, რომელთაც მიზნად აქვთ დასახული მიკროორგანიზმების და უმაღლესი ორ-

განიზმების გენომის ფუნქციონალური უბნების მოლეკულური ორგანიზმის შესწავლა.

არქებაქტერიები, როგორც მოგეხსენებათ, წარმოადგენენ მიკროორგანიზმების იმ ჯგუფს, რომელიც არ განეკუთვნება არც ჩვეულებრივ ბაქტერიებს, არც ეუკარიოტებს. ისინი ქმნიან ცოცხალი სამყაროს მესამე დამოუკიდებელ სამეფოს: არქებაქტერიების მოლეკულური ბიოლოგიის კვლევა სულ უფრო ფართო ვავრცელებას პოპულობს ჩვენს ქვეყანაში. მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოფიზიკის ინსტიტუტი არქებაქტერიების მოლეკულური ორგანიზაციის შესწავლის პიონერად ითვლება.

არქებაქტერიებისადმი გაზრდილი ინტერესი განპირობებულია, ერთი მხრივ, ცოცხალ ორგანიზმებში ბიოქიმიური პროცესების ევოლუციის შესწავლით, მეორე მხრივ, იმით რომ არქებაქტერიების ფიზიოლოგიური თავისებურებანი განსაზღვრავენ ამ ორგანიზმების მაღალ სამრეწველო პოტენციალს. მოლეკულური ბიოლოგიის და ბიოფიზიკის ინსტიტუტში მიღებული შედეგები საშუალებას იძლევა დადგინდეს ევოლუციის ყველაზე ადრეული ეტაპების თავისებურებანი.

გაირკვა, რომ არქებაქტერიების დნმ-პოლიმერაზები ხასიათდებიან ექსტრემალურად მაღალი თერმოსტაბილურობით და შეუძლიათ ფუნქციონირება 100° ტემპერატურაზე. თავისთავად ცხადია, რომ ამ მიკროორგანიზმების ფერმენტების მაღალი ტემპერატურისადმი ეს იშვიათი გამძლეობა და სტაბილურობა განსაზღვრავს მათი შესწავლის მნიშვნელობას ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის პრაქტიკისათვის.

მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული ბიოლოგიური მოძრაობის ბიოფიზიკის დარგში. შეკუმშვადი სისტემის მოდელირება კუნთის ძირითადი და რეგულატორული ცილების საფუძველზე საშუალებას მოგვცემს ნათელი მოგონით კუნთის შეკუმშვის პროცესის მექანიზმს და გადავწყვიტოთ აგრეთვე მედიცინის კონკრეტული ამოცანები.

ფიზიკის ინსტიტუტში ნაჩვენებია, რომ ტემპერატურით დენატურირებული ნორმალური და სიმსივნური უჯრედების ბირთვების მემბრანების ჰიდრატაცია მცირედ განსხვავდება ერთმანეთისაგან და მათი ქცევა ერთნაირია მათში წყლის რაოდენობის ცვლილებებისას. სითბური გაზომვებით დადგენილია რომ მუტაგენური და კანცეროგენული ლითონური იონები აზიანებენ ქრომატინის დნმ-ს ცოცხალი უჯრედის შედგენილობაში.

ცნობილია, რომ გენეტიკური ინფორმაციის მატარებლის დნმ-ის მოლეკულების ორგანიზაცია უჯრედში და ამ მოლეკულების ცალკეული მონაკვეთების გენების ფუნქციონირების საფუძველების გარკვევა თანამედროვე მოლეკულური ბიოლოგიისა და მოლეკულური გენეტიკის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა; მის შესწავლას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს: ცალკეული გენების იდენტიფიცირება და სუფთა სახით გამოყოფა აუცილებელი საფეხურია გენური ინჟინერიის მეთოდით ბაქტერიული, მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების ახალი ფორმების შესაქმნელად.

მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტში უკვე კარგა ხანია წარმატებით შეისწავლება სატელიტური დნმ-ების სტრუქტურული თავისებურებანი და ფუნქციური მნიშვნელობა. მცენარის გენომის ორგანიზაციის შესწავლის დარგში მოსალოდნელია გენების ფუნქციონალურად მნიშვნელოვანი უბნების სრული პირველადი სტრუქტურის დადგენა, დღემდე უცნობი გენების გამოვლენა და ქიმიური ბუნების განსაზღვრა, უჯრედული და გენური ინჟინერიის მეთოდებით ყინვაგამძლე და დაავადებათა მიმართ მდგრადი ფორმების შექმნა.

მცენარეთა ბიოქიმიის, მოლეკულური ბიოლოგიის და ბიოფიზიკის და მორფოლოგიის ინსტიტუტებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და

თბილისის ვაქცინებისა და შრატების ინსტიტუტში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს ბიოტექნოლოგიის დარგში წარმოებულ გამოკვლევებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მიკროორგანიზმებისა და მცენარეების სტრესული ფაქტორების მიმართ მდგრადი და მალალნაყოფიერი ფორმების გამოყვანასა და მიკროორგანიზმების გამოყენებით ახალი ტიპის მცენარეზღვნიანი და უნარჩენო ტექნოლოგიების შექმნას. მეტად მნიშვნელოვანია აზოტის ფიქსაციისა და ასიმილაციის ფერმენტთა მოქმედების რეგულაციის მექანიზმების დადგენა. უნდა აღინიშნოს, რომ მიკროორგანიზმთა ექსტრემალური ფორმების სახალხო მეურნეობაში გამოყენების ბიოტექნოლოგიასთან დაკავშირებული სამუშაოები დიდ თეორიულ ინტერესსაც წარმოადგენს.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბიოშეთავსებადი და თვითგამწოვადი უნიკალური თვისებების მქონე ახალი პოლიმერების სინთეზს, რაც წარმატებით ხორციელდება მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოფიზიკის ინსტიტუტში.

მიკრობიოლოგიის დარგში აღსანიშნავია ბოტანიკის ინსტიტუტში შესრულებული სამუშაო. იგი დაკავშირებულია პროსტაგლანდინების წინამორბედის არაქიდონის მჟავის მიკრობულ სინთეზთან. პირველად იქნა გამოყოფილი ნადავგიდან ამ მჟავის მასინთეზირებელი აქტინომიცეტები.

ფრიალ მნიშვნელოვანი კვლევებია ჩატარებული ინტერფერონის ახალი წყაროების გამოსაგენად. ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში მიღებულია პლაცენტარული ინტერფერონი — პლაფერონი. მას სხვადასხვა ინტერფერონის თვისებები გააჩნია და სავარაუდოა, რომ გარდა ამისა იგი შეიცავს სხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებსაც. პლაფერონის ზემოქმედების შესწავლისას გამოვლინდა მთელი რიგი თვისებები, რომლითაც იგი სხვა ცნობილი ინტერფერონისაგან განსხვავდება. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ჰიპოქსიის საწინააღმდეგო აქტივობა და დეზინოკოსიკაციის თვისებები, დაზიანებული ქსოვილის რეგენერაციის დაჩქარების უნარი.

ამჟამად პლაფერონის გამოცდა მიმდინარეობს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაწესებულებებთან მჭიდრო კავშირში.

შრატებისა და ვაქცინების კომიტეტმა ნება დაართო მორფოლოგიის ინსტიტუტს პრეპარატის ფართო კლინიკური აპრობაციისათვის.

პლაფერონის გამოშვება უკვე სახელმწიფოებრივი პროგრამით არის გათვალისწინებული.

თბილისის ვაქცინებისა და შრატების ინსტიტუტში გენური ინჟინერიის მეთოდებით მიღებულია რეკომბინანტული პლაზმიდა გარემოში არსებულ მუტაგენების სწრაფი გამოვლენისათვის.

ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის შემდგომი განვითარებისათვის საბჭოთა კავშირში შეიქმნა გაერთიანება. ამ გაერთიანების მოვალეობაა გენურ ინჟინერიასა და ბიოტექნოლოგიაში კვლევათა კოორდინაცია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის პროფილის ინსტიტუტები მნიშვნელოვანი პროგრამით წარდგენენ გაერთიანებისათვის დავალებულ პრობლემათა დამუშავებაში მონაწილეობის მისაღებად.

საქართველოს ბუნებრივი ეკოსისტემები ადამიანის ხანგრძლივი სამეურნეო საქმიანობის შედეგად ძლიერ დეგრადირებულია. მათი აღდგენის, დაცვისა და რაციონალურად გამოყენების კონკრეტული ღონისძიებების დასახვა შესაძლებელია მხოლოდ მცენარეული და ცხოველური თანსაზოგადობების სტრუქტურულ-ფუნქციონალური ორგანიზაციის შესწავლის საფუძველზე. ყოველივე ეს განსაზღვრავს ბოტანიკისა და ზოოლოგიის დარგში წარმოებულ გამოკვლევათა ძირითად მიმართულებებს. ბოტანიკოსები წარმატებით იკვლევენ მალალმთის მცენარეულ საფარს, რასაც ხელს უწყობს უნიკალური კომპიუ-

ტერული სისტემების გამოყენება უშუალოდ ბუნებრივ პირობებში. ამ ჩვენს ში ჩვენს სპეციალისტებს მოწინავე პოზიცია უკავიათ და შესაბამისი სამუშაოების მოთავეობა საბჭოთა კავშირში, უთუოდ, მათ დაეკისრებათ.

ეკოლოგიური ხასიათის კვლევებს განეკუთვნება ფართო მასშტაბის გამოკვლევები, რომელიც ტარდება მორფოლოგიის ინსტიტუტში გერონტოლოგიის დარგით. დღეგრძელობის ფენომენის კვლევის საქმეში ინსტიტუტი მოთავეა საბჭოთა კავშირში.

წლების მანძილზე ინტენსიური კვლევა წარმოებს მცენარეულ უჯრედებში ტოქსიკურ და კანცეროგენულ ეგზოგენურ ნაერთთა გარადქმნის მექანიზმების შესასწავლად. სრული საფუძველი ვეაქვს ვიფიქროთ, რომ ქსენობიოქიმის დარგში ჩვენ კვლავაც შევინარჩუნებთ მოწინავე პოზიციას. არ საჭიროებს მტკიცებას ისიც, რომ ჩვენი ღრის ურთულეს ეკოლოგიურ პირობებში უცხო ნაერთების ბიოქიმიის მიზანდასახული კვლევა დიდ პრაქტიკულ მნიშვნელობას იძენს.

საერთოდ, ეკოლოგიური პრობლემათიკის წინ წამოწევა დღევანდლობით არის ნაკარნახევი და მისი მეცნიერების თანამედროვე დონეზე დამუშავება, რა თქმა უნდა, გლობალურ მნიშვნელობას იძენს. ცხადია, ეს პრობლემათიკა მჭიდრო კავშირშია ბიოლოგიური რესურსების შესწავლასა და რაციონალურად გამოყენებასთან. ამ მიმართულებით ბოტანიკისა და ზოოლოგიის ინსტიტუტებში შესრულებული კვლევის შედეგები უკვე გამოიყენება ჩვენი რესპუბლიკის მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს დაცვის საქმეში.

ზოოლოგიის ინსტიტუტში მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადღეობის ბიოლოგიური საფუძველების ლაბორატორიის მიერ დადგენილია, რომ ჰიბრიდიზაციის შედეგად მკვეთრად დიდდება აღწარმოება, დღელამური ნამატი.

საქართველოს საზოგადოებრივ მეურნეობებს რეკომენდაცია მიეცათ, რათა მსხვილი რქოსანი პირუტყვის სარძევე და სახორცე პროდუქტიულობის მკვეთრი აღმავლობისათვის, ფართოდ გამოიყენონ ევროპული პირუტყვის კუბური ზებუთი ჰიბრიდიზაციის მეთოდი.

დღეს სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს გეოლოგიურ წარსულში გლობალური ეკოლოგიური კრიზისების წარმოშობის მიზეზებისა და სახეობათა ამოწყდომის პროცესის კანონზომიერებათა კვლევა. ამ პრობლემას უკვე რამდენიმე კაპიტალური გამოკვლევა უძღვნეს ქართველმა პალეობიოლოგებმა. მათი მთავარი საზრუნავი მაინც ევოლუციური მოძღვრების დამუშავებაა, მოძღვრებისა, რომელსაც, როგორც ცნობილია, უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ბიოლოგიის ყველა მიმართულების განვითარებისათვის. ვფიქრობთ, რომ ყველა ამ მიმართულებით შესრულებულ გამოკვლევათა შედეგად განხორციელდება ახალი ევოლუციური სინთეზი. მას საფუძველად დაედება პალეონტოლოგიის, მოლეკულური ბიოლოგიის, ეკოლოგიის და ემბრიოლოგიის მიღწევები. ევოლუციურ-პალეონტოლოგიურ გამოკვლევებზე დაყრდნობით საბჭოთა კავშირის ტერიტორიისათვის შემუშავდება ასევე უნიფიცირებული გეოლოგიური სკოლა. მისი სულ ზედა ნაწილის (დაახლოებით 55 მლნ წლის ხანგრძლივობის მონაკვეთს რომ შეესაბამება) შედგენაში ჩვენს სპეციალისტებს, უთუოდ, წამყვანი როლი დაეკისრება.

თბილისის, სოხუმისა და ბათუმის ბოტანიკური ბაღების მუშაობა ძირითადად მცენარეთა აკლიმატიზაციისა და ინტროდუქციის საქმეს ემსახურება. ამ მიზნით შესწავლილია მრავალი მერქნიანი და ბალახეული მცენარე. მათი კოლექციები შეივსო ახალი მცენარეებით, გამოვლენილია სახალხო მეურნეობისათვის პერსპექტიული და გადაშენების პირას მისული 100-მდე სახეობა, შესწავლილია მრავალ მცენარეთა სამკურნალო თვისებები. გამოკვლეულია ძველებად გამოცხადებული 380 დიდასაკოვანი ხე.

სოხუმის ბოტანიკურმა ბაღმა შორეული აღმოსავლეთიდან შემოიტანა აფხაზეთის პირობებისათვის პერსპექტიული სახეობები — კორეის ფიჭვი, მონღოლური მუხა, წვრილწვერა ცაცხვი და სხვ.

თბილისის გამწვანების ასორტიმენტის გასამდიდრებლად რეკომენდაცია მიეცა ისეთი ძვირფასი მცენარეების გაშენებას, როგორცაა წაბლფოთოლა მუხა, რკინის ხე და ძელქვა. მათვე გადაეცა ახალი სახეობის ხე-ბუჩქები და დეკორაციული ბალახოვანი მცენარეები.

მიღებულია მიხაკის ახალი განსხვავებული ფორმა, რომელიც დეკორატიულობას თითქმის მთელი წლის მანძილზე ინარჩუნებს.

აჭარაში ინტროდუცირებულია ყვავილოვანი მცენარეთა ახალი ჯიშები.

საბჭოთა კავშირის აგრომრეწვის, საბჭოთა კავშირის საგეგმო კომიტეტის და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კომისიამ, სხვა ორგანიზაციებთან ერთად, ადგილზე შესწავლა რესპუბლიკაში ჩაის პლანტაციების მდგომარეობა, დაადასტურა არსებული ნარგავების დაკინება. იგი დაეთანხმა მოსაზრებას, რომ მიმდინარე წლიდანვე განხორციელდეს აღდგენითი სამუშაოები და პლანტაციებში გატარდეს საჭირო აგროტექნიკური ღონისძიებები: ბუჩქების ნახევრადმძიმე გასხვლა (25 ათ. ჰექ.), მძიმე გასხვლა (12,5 ათ. ჰექ.), გადაბერებული პლანტაციების ამოძირკვა და ახლის გაშენება (7,5 ათ. ჰექ.). აღნიშნული მდგომარეობის შესახებ მოხსენებითი ბარათი წარედგინა საქართველოს მინისტრთა საბჭოს.

მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული აფხაზეთში ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებების გასატარებლად. აფხაზეთის აგრომრეწვაში შექმნილია კომისია, რომელიც ხელმძღვანელობს და აკონტროლებს აღნიშნულ სამუშაოს დაწესებულების მეურნეობის პრობლემათა განყოფილება აქტიურ მონაწილეობას იღებდა კოლხეთის დაბლობის დაშრობა-ათვისების ღონისძიებების დამუშავებაში.

ფიზიოლოგიის ინსტიტუტი საკავშირო პროგრამა „ტვინის“ სამ დიდ განყოფილებას მოთავსებს; კვლევის მთავარი ამოცანაა ადამიანის ტვინის ნერვულფსიკური ფუნქციების დარღვევების სინდრომების და ცალკეული სიმპტომების მოდელირება ცხოველებზე. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ნევროზების და ნევროზისმაგვარ დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის ახალი მეთოდების შესაქმნელად.

უკანასკნელი წლების განმავლობაში წარმოებულმა ფუნდამენტურმა კვლევამ, რომელიც საფუძვლად დაედო უმაღლესი ნერვული მოქმედების ინფორმაციული პათოლოგიის თეორიას, შესაძლებელი გახადა კლინიკისტებთან კომპლექსური გამოკვლევების ჩატარება და კონკრეტული რეკომენდაციები ადამიანის ინფორმაციული ნევროზებისა და ნევროზებისმაგვარ მდგომარეობათა პროფილაქტიკისა და მკურნალობისათვის.

ძილ-ღვიძილის ციკლის ნეირობიოლოგიური პროცესის ფუნდამენტური საფუძვლების შესწავლის შედეგად შემუშავებული და მოწოდებულია პარადოქსალური ძილის შერჩევითი და სრული ეპრივაციის ახალი არაფარმაცოლოგიური მეთოდი. ახალი მეთოდი დღემდე არსებული მეთოდებისაგან იმით განსხვავდება რომ არ იწვევს სტრესს, დეპრივირებული მდგომარეობის მოთხოვნილების დაგროვებას, სხვადასხვა ფიზიოლოგიურ მდგომარეობათა კანონზომიერი მონაცვლეობის დეზორგანიზაციას და თავის ტვინის ინტეგრაციული მოქმედების დარღვევას. აღნიშნულ მეთოდს, როგორც ყველაზე ადეკვატურს, შეიძლება რეკომენდაცია გაეწიოს ზოგიერთი ფსიქონევროლოგიური დაავადების სამკურნალოდ.

თავის ტვინის ქერქის ელემენტური აქტიურობის ნატიფი ექსპერიმენტული.

ლი ანალიზის შედეგად გარკვეულია ეგრეთ წოდებული ნელი უარყოფითი პოტენციალების გენეზი, მათი უჩრდელური და იონური მექანიზმები. ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კლინიკური ელექტროენცეფალოგრაფიისათვის თავის ტვინის სხვადასხვა სახის პათოლოგიური კერების იდენტიფიკაციისათვის და საერთოდ პათოლოგიური პროცესის განვითარების დიაგნოსტიკისათვის.

გამოკვლეულია სხვადასხვა გამოსხივების მავნე მოქმედების მექანიზმები ბიოლოგიური სისტემების ორგანიზაციის სხვადასხვა დონეზე. მიღებული შედეგების საფუძველზე დამუშავდა ნერვული სისტემის რადიაციული დაზიანებისაგან დაცვის ორიგინალური პრინციპები, შეუქმევადი პროცესების აღრეული დიაგნოსტიკის კრიტერიუმები.

ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტში იკვლევენ ისეთ ფუნდამენტურ საკითხებს, როგორცაა გულსისხლძარღვთა სისტემის მორფოლოგია, ავთვისებიანი ზრდის მორფოგენეზი და იმუნური სისტემა.

ყველა ეს საკითხი მწვავედ დგას თეორიული და პრაქტიკული მედიცინის წინაშე, ამ გამოკვლევათა შედეგად გამოვლენილია სისხლის მიკროციკულატორული კალაპოტის შენების ძირითადი კანონზომიერებანი, მისი ლოკალური სპეციფიკურობა.

დასაბუთებულია გულის კუნთის კვების შესაძლებლობა სისხლის უკუღონებით ვენებიდან, რომელიც ასაკთან ერთად სულ უფრო მეტ ხვედრით წონას იძენს და განსაკუთრებით საგულისხმოა გულის იშემიური დაავადების დროს.

ახსნილია ხელოვნური სისხლძარღვების მოგვიანებული თრომბირების მექანიზმი, რომელსაც საფუძვლად უდევს პროთეზის შიგნითა გამოწვევნილი განვითარებული სისხლის კაპილარები.

დადგენილია გულის კუნთის შექცევად და შეუქცევად დაზიანების განსაზღვრის ნატიფი მორფოლოგიური მარკერები. გამოვლენილია პოსტჰიპოქსური სკელოზის მექანიზმი. ნაჩვენებია სხვადასხვა ორგანიზმში ტრანსკაპილარული ცვლის დარღვევის და ამ მოვლენის მიმართ ორგანიზმის გამძლეობის, შეგუებულობის და კომპენსაციის მექანიზმი ყველა ცალკე ქსოვილსა და ორგანოში.

ძაღლის ორთოტროპულად გადანერგილ გულში ნაჩვენებია გულის არტერიების კედლებში გლუვკუნთოვანი უჩრდების სპეციფიკური ცვლილებები, ე. წ. „ციტოლაზმის გამოფიტვა“, რაც დაკავშირებულია ხელოვნურ სისხლის მიმოქცევასთან. რადიოიშენური ავტომატიზირებული ანალიზით დადგენილია პორმონალური ბალანსის ცვლილებები შოკის დროს. ამის საფუძველზე ახსნილია გულ-სისხლძარღვთა სისტემის რეაქციის თავისებურება, რაც მკურნალობის ახალი მეთოდების შემუშავების შესაძლებლობას იძლევა.

კანცეროგენეზის მოლეკულური მექანიზმების შესწავლის საფუძველზე შემუშავებულია ავთვისებიანი სიმსივნეების აღრეული დიაგნოსტიკის და დიფერენციალური დიაგნოსტიკის კრიტერიუმები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის კათედრაზე დაადგინეს გენეტიკური აპარატის წამყვანი როლი დროებითი კავშირების ფორმირების მექანიზმებში. შემუშავებულია ფოსფორორგანული ნაერთებით მოწამლული ცხოველებისა და ადამიანების თავის ტვინის რეაქტივაციის ორიგინალური მეთოდი, რომელსაც გარკვეული სტრატეგიული და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა ენიჭება. კათედრასთან არსებული ბიოტექნოლოგიის ლაბორატორიაში დამუშავდა რამდენიმე უნარჩუნო ტექნოლოგია.

ფოტოსინთეზის პრობლემურ ლაბორატორიაში იზოპრენის ფოტობიოლოგიური სინთეზის მექანიზმების კვლევამ მცენარის ცხოველმოქმედების რამდენიმე ზოგადი ხასიათის ფაქტი გამოავლინა. ასე, მაგალითად, აღმოჩენილია

ფოთლის მეზოფილის უჯრედებში მოქმედი პირველადი კარბოქსილირების სისტემა, რომელიც საბოლოო ჯამში აცტილ კოენზიმ A-ს წარმოშობს. დადგენილია ნახშირბადის ფოტოსინთეზური გარდაქმნის რეგულაციის ახალი გზები. გამოითქვა პიპოთეზა განათებული ფოთლის მეტაბოლიზმის მოლეკულური მექანიზმების შესახებ, რომელიც აფართოვებს ჩვენს წარმოდგენებს მცენარეთა პროდუქციული პროცესის თეორიაში და იძლევა იზოპრენის გამოსავლის გაზრდის ხერხების ძიების საშუალებას. ყოველივე ეს მომავალი გამოკვლევების გაშლის ფართო და კონსტრუქციულ პერსპექტივას სახავს.

აკადემიის სისტემაში სასურსათო პროგრამის მიხედვით მუშავდება 64 თემა, აქედან დაახლოებით ერთი მესამედი არის ბიოლოგიის, მედიცინისა და სოფლის მეურნეობის პრობლემათა განყოფილებების თემატიკა. საანგარიშო პერიოდში სახალხო მეურნეობაში დაინერგა 8 თემის დამუშავების შედეგები. ეკონომიკური ეფექტი დაახლოებით 10 მილიონ მანეთს შეადგენს. ამავე დროს ზოგიერთი ღონისძიების ეკონომიკური შედეგი ჯერ კიდევ არ არის გამოთვლილი.

გასულ წელს ინსტიტუტების მიერ გამოიცა 22 წიგნი და სპეციალურ ჟურნალებში გამოქვეყნდა 300-ზე მეტი სტატია. დაისტამბა 10 მონოგრაფია. მათ შორის მხოლოდ ორს დავასახელებ, რომლებიც ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა: გიორგი მკედლიშვილის „არტერიების ქცევა და სისხლის მიმოქცევა ტენიში“ და თენგიზ ბერიძის მონოგრაფია „სატელიტური დნმ“.

ორიოდე სიტყვა კადრების შესახებ. 1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ბიოლოგიაში, მედიცინისა და სოფლის მეურნეობის პრობლემებზე აკადემიაში მუშაობდა 2 ათასამდე მუშაკი, მათ შორის ათასამდე მეცნიერ თანამშრომელი. აქედან 69 მეცნიერების დოქტორი და 453 მეცნიერების კანდიდატი. სამწუხაროდ, ბიოლოგიაში, მედიცინისა და სოფლის მეურნეობის პრობლემებზე აკადემიის სისტემაში 40 წლის ასაკამდე მხოლოდ სამი დოქტორი მუშაობს.

ამჟამად ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა მეცნიერების დოქტორების მოზადება. ყველა მეცნიერულმა კოლექტივმა ამ მიმართულებით აქტიურად უნდა იმუშაოს.

ასპირანტურაში, 1987 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სწავლობს 64 ასპირანტი, მათ შორის დასწრებულ ასპირანტურაშია 28. უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში ასპირანტურა დაამთავრა 55 კაცმა. სადისერტაციო ნაშრომი კი ვადაში მხოლოდ 6 კაცმა წარმოადგინა.

კვლავ გადაუჭრელ ამოცანად რჩება ასპირანტთა მიერ დისერტაციების ვადაში დაცვა.

1986 წელს დატულია 6 სადოქტორო და 31 საკანდიდატო დისერტაცია. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ჩვენი ინსტიტუტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საკითხს. გასულ წელს აკადემიის ი. ოჯინიკოვი წერდა: „სამწუხაროდ, პირობები, რომელშიაც მუშაობენ სამეცნიერო კოლექტივები, თვით ყველაზე მსხვილ ინსტიტუტებშიც კი, არადადამაკმაყოფილებელია“; ჩვენი აკადემიის ინსტიტუტებში ამ მხრივ, როგორც თქვენ ეს კარგად მოგეხსენებათ, კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაა.

დაბალ დონეზეა აგრეთვე კვლევის ავტომატიზაცია და მეცნიერული შედეგების დამუშავებაში გამოთვლითი ტექნიკის გამოყენება, როგორც ეს დღეს აქ აკადემიის პრეზიდენტმა აღნიშნა. ამ საკითხების დროულ მოგვარებასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ჯერ კიდევ არადადამაკმაყოფილებელია კავშირი საუწყებო ინსტიტუტებთან, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის დაწესებულებებთან. რაც შეეხება კავშირს უმაღლესი სკოლების კათედრებთან, ამ

მხრივ პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა და ეჭვი არ არის, რომ მოკლე ხანში მუშაობა გაუმჯობესდება.

ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფუნდამენტურ მეცნიერებათა პრიორიტეტული მიმართულებების განვითარებას. ამ მხრივ წელს მნიშვნელოვანი მუშაობა ჩატარდა. ქართველმა მეცნიერებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს პროგნოზების საკავშირო კომისიების მუშაობაში.

და ბოლოს ორიოდ ცნობა კიდევ:

გასულ წელს აკადემიას შემოემატა ახალი ინსტიტუტი — მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოფიზიკის ინსტიტუტი, რომლის ხელმძღვანელია აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მალხაზ ზაალიშვილი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი ნახუცრიშვილი აირჩიეს ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

საბჭოთა კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს მიხეილ ხანანაშვილს, აკადემიკოს გიორგი კრეიფანოვსკისთან ერთად, მიენიჭა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია უმაღლესი ნერვული მოქმედების პათოლოგიის პრინციპულად ახალი მოდელების შექმნისათვის.

ასეთია ზოგადად ის წვლილი, რაც ბიოლოგიის, მედიცინისა და სოფლის მეურნეობის მეცნიერ მუშაკებმა შეიტანეს აკადემიის გასული წლის მიღწევებსა და მომავალი კვლევის პერსპექტივათა განსაზღვრაში.



ბ. ნ. ჯიბლაძის მოხსენება

მინდა პრეამბულით დავიწყო. ჩემი მოხსენების ერთი ნაწილი ვიცე-პრეზიდენტ ალექსანდრე ფრანგიშვილის საკითხებსაც მოიცავს, ვინაიდან მან თვითონ მთხოვა ეს გამეკეთებინა, ცხადია, პრეზიდენტის თანხმობით.

აკადემია ისეთი რთული ორგანიზმია, შეუძლებელია მას ჰქონდეს მართოდენ მიღწევები, ან მხოლოდ ნაკლოვანებები. ორივე ცალმხრივობის გამოხატულება იქნებოდა. არც ის შეიძლება, რომ აკადემია ამ ორი დაპირისპირებული მოვლენის ცენტრში მოვათავსოთ. პირიქით, მიღწევები ყოველთვის პრევალირებული იქნება ნაკლოვანებებზე, ეს უკანასკნელი კი ასევე ყოველთვის სულ ბოლო ადგილზე მოთავსდება.

საანგარიშო წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას მრავალი წარმატება ჰქონდა. შედეგები ურიგო არ იყო. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი ისტორიკულად უპირატესი პოტენციალი მთლიანად იქნა გამოყენებული, რომ ყველაფერი გავაკეთეთ, რისი მიღწევაც შეიძლებოდა. ამიტომ საესებით ობიექტურად იქნა გაკრიტიკებული აკადემიის საქმიანობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის აპრილის პლენუმზე. ნაკლოვანებები მართლაც საგრძნობია, ისინი ცოტა როდი გვაქვს. ორივე მხრივ იმდენია მასალა, იმდენია სათქმელი, რომ ყველაფრის თავმოყრა 25-წუთიან მოხსენებაში, ძირითადი მიღწევების აღწერასაც კი შეუძლებელი ხდება. ამიტომ ჩვენ ავირჩიეთ ზოგადი ანალიზის, პრობლემებისა და პერსპექტივებზე აქცენტის გადატანის გზა. რაც შეეხება საკუთრივ ანგარიშს, ის თქვენ ხელთაა გაქვთ სპეციალური ბროშურის სახით, რომელიც 170 გვერდს შეიცავს.

უმთავრესი, ძირითადი და გადაწყვეტი ჩვენი აკადემიისათვის საანგარიშო წელს იყო XII ხუთწლედის პირველ წელს მის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულება. ეს ამოცანები მთლიანად გამოძინარეობენ პარტიის 1985 წლის აპრილის პლენუმის, საკავშირო და საქართველოს XXVII პარტიული ყრილობების ისტორიული გადაწყვეტილებებიდან. ქვეყნის გარდაქმნისათვის აღებულმა კურსმა, ახალმა აზროვნებამ, დაჩქარების სტრატეგიამ, მეცნიერების ორგანიზაციის ოპტიმალურმა თვალსაზრისმა არაერთი საკითხი ორიგინალურად დააყენეს და მოითხოვეს გადაწყვეტის სათანადო ფორმები. მე შევეხები საზოგადოებრივ მეცნიერებათა, ენისა და ლიტერატურის დარგებს, აგრეთვე, მათთან დაკავშირებულ ზოგიერთ გადაუდებელ საკითხს, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ პრეზიდენტმა ა. თავხელიძემ ბევრი რამ უკვე მოგახსენათ.

ქართულ მეცნიერებას თბილისის უნივერსიტეტის დაარსების დღიდანვე შეეძინა სახელგანთქმული სკოლები. მრავალი ათეული წელია ჩვენ კანონიერად ვამაყობთ სახელოვანი წინამორბედებით. ეს არ არის მარტოოდენ წარსულით გატაცება, რომლის განცდა საესებით ბუნებრივია. ცხადია, ვერავინ დაგვირახავს, რომ მოწინებით, პატივისცემით, კეთილად მოვიხსენიოთ ის დიდი ადამიანები, რომლებმაც ზემოხსენებული მეცნიერული სკოლები შექმნეს. მაგრამ განსაცდელში ჩავვარდებით, თუ წინ არ ვიარეთ, თუ წარსულზე უკეთესი აწყო და მომავალი არ შევქმენით. ახალი თაობის ვალაა აღზარდოს ახალი ძალის მელიქიშვილი და ჭავჭავიძე, რაზმაძე და მუსხელიშვილი, უზნაძე და ბერიტაშვილი, ნუცუბიძე და კეკელიძე, ახვლედიანი და შანიძე. თუ

მეცნიერება გაიყინა, თუ ტალანტების სერიალს არ წარმოშობს, იგი განწირულია, ვინაიდან, ავონიას მიეცემა. მაგრამ დღეს, ზოგიერთ დარგში, მარტოოდენ ტალანტებიც ბევრს ვერაფერს გააკეთებენ, თანამედროვე ურთულესი აპარატურის, ყოველმხრივ გამართული უახლესი აღჭურვილობის გარეშე.

ეს აღჭურვილობა არამარტო ფიზიკა-მათემატიკურ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ესაჭიროებათ. გამოძვლელ მანქანებს, კომპიუტერებს მოუხმობენ საზოგადოებრივი და ჰუმანიტარული მეცნიერებანი, რომლებიც აშკარად გრძნობენ, რომ მათ გარეშე ძნელი ხდება გაზრდილი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა. ამ მხრივ ჩვენ მართლაც სერიოზული ნაკლი გვაქვს, რაც არაერთხელ გვითქვამს შინ და გარეთ, მწვავედ ითქვა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ გური ივანეს ძე მარჩუკთან 8 მაისს შეხვედრის დროსაც.

მაგრამ რა ნაკლიც არ უნდა აღვნიშნოთ აკადემიის მუშაობაში, ერთი რამ სრულიად უეჭველია: გვყავდა და გვყავს არაერთი შესანიშნავი მეცნიერი, ხანდაზმულიც და ახალგაზრდაც. ისინი მსოფლიო სტანდარტების დონეზე ჰქმნიან თავიანთ სამეცნიერო პროდუქციას. მაგრამ, კარგად მოგეხსენებათ: როგორც საზოგადოებრივი, ისე ჰუმანიტარული მეცნიერების მიღწევები წიგნებსა, თეორიულ გამოკვლევებსა, მონოგრაფიებსა და ადამიანური აზრის გამოთქმის არაერთ სხვა დარგში გამოიხატება. მიჭირს თვითული მათგანის მოხსენიება, თუმცა ისიც კარგად მესმის, რომ ამ ქვეყნად კეთილი სიტყვა, როცა იგი დამსახურებულია, ყველას ესაჭიროება წახალისების, საკუთარი ძალების რწმენის, წინსვლისათვის, თორემ მარტოოდენ კრიტიკით ყველაფერი როდი გაკეთებულა. ძველად ცოტა როდი იყო უხეში, მიკერძოებული გამოხდომები. მის წინააღმდეგ პირველი ხმა დიდმა მაქსიმ გორკიმ აღიმძლავრა. ჯანსაღი, ნორმალური, ობიექტური კრიტიკის წინააღმდეგ აბა ვინ დაძრავს სიტყვას; კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე კრიტიკა ადამიანური აზროვნების ორგანული ინგრედიენტი იყო. მადლობა ღმერთს, ახლა კრიტიკა თავის ნორმალურ კალაპოტში დგება და მალე კარგ შედეგებსაც უეჭველად მოგვცემს.

თავს ვერ ვიკავებ ამ ასპექტში კეთილად არ მოვიხსენიო ბევრი ჩვენი მეცნიერი, რომლებიც შესანიშნავი გამოკვლევებით ამდიდრებენ ეროვნულ კულტურას ორიენტალისტიკის, ისტორიის, არქეოლოგიის, ხელოვნების თეორიის, ქართული ხელოვნების, ენათმეცნიერების, ფსიქოლოგია-ესთეტიკის, ეკონომიკურ მოძღვრებათა, ფილოსოფიის, ლიტერატურათმცოდნეობის დარგებში. მეცნიერთა პერსონალური ჩამოთვლა მიძნელდება, მით უფრო, რომ თითქმის ყველამ კარგად იცის, ვისაც ეს სიტყვები შეეხება. სრულიად დაიმედებული უნდა ვიყოთ, რომ ისინი კვლავ და კვლავ გაგვახარებენ მოღვაწეობის თავიანთ სფეროებში ახალ-ახალი მიღწევებით, ფუნდამენტური გამოკვლევებით. როგორც ორიოდ დღის წინ, ქართველ მეცნიერებთან შეხვედრის დროს პრეზიდენტმა გ. ი. მარჩუკმა სთქვა, ფუნდამენტური გამოკვლევები კომერციული საქმე კი არ არის, არამედ გზა და საშუალებაა მსოფლიო სტანდარტების დონეზე ასასვლელად.

ამგვარი ახალი გამოკვლევები უკვე მზადდება და მიიწვინა გავაკეთო: თუ დღემდე შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ სათანადოდ მომზადებული არ ვიყავით, ახლა ყველა პირობა გაგვაჩნია და თანამედროვე მეცნიერების დონეზე უნდა შევქმნათ ისეთი აუცილებელი, საჭირო, გადაუდებელი ფუნდამენტური გამოკვლევები, როგორიცაა „ქართული კულტურის ისტორიის“ მრავალტომეული, „ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის“ განზრახული ოთხტომეული (მას კარგი პრეცედენტი აქვს აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის ორ-

ტომიანი მონოგრაფიის სახით), „ქართული ხელოვნების ისტორიის“ მესამე ტომი და არაერთი სხვა.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ჩვენი წარმატებების კიდევ ერთი დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ლენინის ორდენით დაჯილდოვდა აკადემიკოსი ს. ჯიქია, ხოლო ოქტომბრის რევოლუციის ორდენებით აკადემიკოსები აღექსანდრე ფრანგიშვილი და გიორგი მელიქიშვილი. გულწრფელად ვულოცავთ მათ ამ უმაღლეს ჯილდოებს!

აქედანაც გარკვევით ჩანს, რომ ჩვენი დრო უფრო მეტად საჭიროებს ფუნდამენტურ გამოკვლევებს, და არ არის ინსტიტუტი, სადაც ეს არ იგრძნობოდა. მხედველობაში მაქვს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის, ქართული ლიტერატურის, ენათმეცნიერების, ხელოვნების ისტორიის, ფსიქოლოგიის, ფილოსოფიის, ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტები. სასიხარულოა, რომ ანალოგიურ სურათს ვხედავთ სოხუმის, ბათუმის, სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და ქუთაისის სამეცნიერო ცენტრში. მაგრამ სამწუხაროდ, რომ მთელი ეს მუშაობა პრესის ფურცლებზე ვერ პოულობს სათანადო გაშუქებას, კვალიფიციურ მეცნიერულ რეაგირებას.

ცოტა იწერება არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებაც. ეს კი ისეთი სამეცნიერო დარგია, რომელსაც ძალიან ფართო მასშტაბი აქვს. გაიხსენეთ როგორ გვახარებდა თვითველ ჩვენგანს ქართული არქეოლოგიის წარმატებები, ომამდე ბაგინეთისა და არმაზის გათხრები, ხოლო წალკის ტერიტორიაზე 1936—1940 წლების აღმოჩენათა საკვირველი შედეგები. თრიალეთის აღმოჩენებმა სხვაგვარი ინტერპრეტაცია მისცეს, როგორც საქართველოს, ისე მთელი სამხრეთ კავკასიის წარსულზე შეხატის, მორგანის, ვირხოვის, პრევერსკის შეხედულებებს, დავიძტიცეს, რომ ჩვენს კულტურას ახალ წელთაღრიცხვამდე სამიათასწლეულზე მეტი ხნის წინათ მკიდრო კავშირი ჰქონდა მთელ აღმოსავლეთის კულტურასთან. ომის შემდეგ უფრო საარაკო აღმოჩენებით შეივსო ჩვენი არქეოლოგიური მეცნიერება. მხედველობაში მაქვს ვანის, მცხეთის, ფიჭვნარის, ქუთაისის, სვანეთის, დმანისის, სამცხე-ჯავახეთის, შიდა ქართლის, ალაზნის ველის, გარეჯისა და ჭერემის გათხრები, აგრეთვე აფხაზეთისა, აჭარასა და სამხრეთ ოსეთში წარმოებული ანალოგიური ძიებანი. მაგრამ ჩვენ მოგველის უფრო დიდი წარმატებანი. მას შემდეგ, რაც ამასწინათ პარტიის ცკ-ში ჩატარდა ფართო თათბირი არქეოლოგიის პრობლემებზე ამხანაგ ჯუმბერ პატიაშვილის ხელმძღვანელობით, 5 მაისს კი მიღებულ იქნა ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი ვრცელი დადგენილება, უკვე დაარსებულია არქეოლოგიური ფონდიც (თუმცა, ჭერჯერობით, მხოლოდ ორი-სამი შენატანია) — ეჭვი არ არის, ეს უკეთილშობილესი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და სამეცნიერო დარგი მთელი ძალით ამოქმედდება, რასაც დღევანდელ მსოფლიო კულტურათა ჭიდილში განუზომელი რეზონანსი აქვს. ეს არის ერთი ნაწილი დასავლეთთან იდეური კონფრონტაციისა, რაც ასე საგრძნობია თანამედროვე ლიტერატურის, ხელოვნების, საერთოდ აზროვნების ყველა დარგში.

სულ ზოგადად თვალის გადავლებაც საქმარისია დღევანდელი კაცობრიობის სულიერი ჭეყენის მეტრსმეტად ჭრელი სურათის დასაანახავად.

თანამედროვე მსოფლიოში იმდენი ფილოსოფიური „იზმია“, იმდენი რელიგიური მოძღვრება და იდეალისტური თეორიაა, რომ მათი ჩამოთვლაც კი ვრცელ სიას შეადგენდა. ახლა მარტო ისლამიზმი, პანისლამიზმი, ფენომენალიზმი, ფენომენოლოგია, ნეოკანტიანიზმი, ფსიქოანალიტიკა, ნეოთომიზმი, კონვერგენციის თეორია, ნეოპოზიტივიზმი, ნეობრაგმატიზმი ან ეკზისტენციალიზმი როდია ჩვენი კრიტიკის ობიექტი. აზროვნების, მეცნიერების თითქმის ყველა დარგში გვხვდება იდეალისტური და ულტრადეალისტური განშტოებანი,

ახალმოდური რელიგიურ-მისტიკური დოქტრინები, რომელთა მცდარი ძეგლების კრიტიკა არამარტო ფილოსოფოსების, საერთოდ, იდეოლოგიური დარგის ყველა მუშაკის ერთ-ერთი საბრძოლო მოვალეობაა. შემთხვევითი არ არის, რომ ორი თვის წინათ, 13 მარტს მიღებულ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში პირდაპირ ასეა ჩაწერილი: „ვაწარმოთ შემტევი ბრძოლა ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან, სულიერ სიდატაკესა და მდარებაარისხოვან დასავლეთის კულტურასთან“. ზოგიერთს კი ჰგონია, რომ თითქოს ჩვენ ბირთვული საფრთხის დროს ხელი ავიღეთ ჩვენს იდეოლოგიაზე, ახალი პოლიტიკური აზროვნებით თანდათან მივიღვივართ იდეალიზმთან და მისტიციზმთან, როგორც ამას უცხოეთის თეორეტიკოსები ამტკიცებენ. ეს მტკიცება აბსურდულია. მათ არ იციან, რომ თანაარსებობის პრინციპის დაცვაროდი ნიშნავს იდეალიზმისა და მატერიალიზმის შერიგებას; არ იციან, რომ მთელი ორი ათას ხუთასი წლის მანძილზე კაცობრიობამ ეს ვერ შეძლო, დღეს მით უფრო უსაფუძვლოა ასეთი ოცნების იმედი იქონიონ.

დაყენებული საკითხისადმი ამგვარი მიდგომა, როგორც კარგად მოგხსენებნებათ, მთლიანად გამომდინარეობს პარტიის XXVII ყრილობის, 1985 წლის აპრილისა და ოქტომბრის, მიმდინარე წლის იანვრის პლენუმების, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისა და მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებიდან, გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის ცნობილი გამოცხადებიდან.

დავას არ უნდა იწვევდეს ის ქეშმარიტება, რომ „მეცნიერებისათვის მავნებელია როგორც სქოლასტიკური მსჯელობა, ისე ფაქტების პასიური რეგისტრაცია“, რომ საჭიროა „ბუნებათმეცნიერული და სოციალური შემეცნების პრინციპული, ნაყადი საფუძველი“ — დიალექტიკურ-მატერიალისტური მეთოდოლოგია „კვლავად შემოქმედებითად განვავითაროთ და მარჯვედ გამოვიყენოთ კვლევით მუშაობაში“. ეს ეხება მეცნიერების ყველა დარგს, მათ შორის ესთეტიკას, რომლის ფუნქცია შეუჩერებლად იზრდება და ფართოვდება. ამიტომ იყო, რომ დაახლოებით ორი წლის წინათ აკადემიის პრეზიდიუმის დადგენილებით შეიქმნა შრომის ესთეტიკური კულტურის ლაბორატორია. მისი სამეცნიერო თემატიკა აქტუალურია. ძირითადად იგი ასეა ფორმულირებული: სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის პირობებში ესთეტიკური კულტურის კვლევისა და დანერგვის მეთოდოლოგიური პრობლემები. ფილოსოფიურ-თეორიული ასპექტებით შეისწავლება შრომის ესთეტიკური კულტურა, როგორც წარმოების ინტენსიფიკაციის, შრომის ნაყოფიერების გაზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ლაბორატორიის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა სამეცნიერო კვლევა-ძიების შედეგები და რეკომენდაციები დანერგოს წარმოებაში, პრაქტიკაში. ეს საქმე ამჟამად მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში სპეციალური მეცნიერული შესწავლის ობიექტად არის გადაქცეული. დიზაინის მაგალითზეც საუბრებით ნათელი ხდება, რომ არსებობს მესამე ესთეტიკური კანონი. ამ პრობლემაზე ცალკე იმიტომ შევჩერდი, რომ იგი სრულიად ახალია და ჩვენც არსებითად პირველად ვიხილავთ აკადემიის საერთო კრებაზე. ვაკვრით კი ეს აღვნიშნეთ პრეზიდენტ მარჩუკთან შეხვედრისას ჩვენს მინიატურულ გამოსვლაში.

ეს პრობლემა კვლევა-ძიების ობიექტია აგრეთვე საკუთრივ ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიისათვის. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ რაც დრო გადის, მით უფრო ძლიერდება ინტერესი განწყობის თეორიის საფუძველზე ფსიქოლოგიურ კვლევა-ძიებათა გაღრმავებისადმი. მისასაღმებელია, რომ მძიმე საბინაო პირობების მიუხედავად (ასეთ პირობებში კი ათი ჩვენი ინსტიტუტია), უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში ამ მიმართულებით მუშაობათანდათან ინტენსიური ხდება. კონკრეტულად ეს ეხება ადამიანის პრობლემის კომპლექსურ შესწავლას, ლაპარაკია პროგრამა-პროგნოზის შესახებ — „ადა-

მიანის ფაქტორის აქტივიზაცია და პიროვნების ყოველმხრივი განვითარება“, რომელიც მოსკოვა უკვე მოიწონა, როგორც ჩვენი ინსტიტუტების და საკავშირო აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის ერთობლივი სამუშაო.

საერთოდ, ამ ბოლო ხანებში ყველგან ბევრს ლაპარაკობენ ადამიანის, ადამიანური ფაქტორის, სტრესების, ახალი ფსიქოლოგიური პრობლემების შესახებ, დაკავშირებით იმ დროულ სიტუაციებთან, რომლის მომსწრენიც თვითეული ჩვენგანი ვართ. ვერც ერთი მეცნიერება, მით უფრო საზოგადოებრივი და ჰუმანიტარული, ამ პრობლემებს ირიბად ვერ შეხედავს, გვერდს ვერ აუგლის. საბოლოო ანგარიშში ეს არის კადრების საკითხი, მაშასადამე, ყველა დარგში წარმატების უზრუნველყოფის საკითხი.

კადრებთან მუშაობა მთელი აკადემიის საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უბანია და მისი ძირითადი მონაცემები შეტანილი გვაქვს ანგარიშში. დამატებით გვინდა აღვნიშნოთ, ხანდაზმულობის პრობლემა და ახალი კადრების დაწინაურება, რომლის დადებითი გადაწყვეტა აკადემიის მთელი სისტემის გარდაქმნად უნდა მოგვეცეს. ვინაიდან ჩვენი სისტემის გარდაქმნის საკითხებზე პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ა. თავხელიძემ დაწვრილებით მოგახსენათ, ჩვენ აღარაფერს ვიტყვით ამის შესახებ. კადრებზე კი მოგახსენებთ, რომ გასულ წელს ჩატარებული და მანამდე გატარებული ღონისძიებების შედეგად 11354 კაციდან განთავისუფლდა 285, მათ შორის 130 მეცნიერი თანამშრომელი, დაწინაურდა 1843, ხოლო ჩამოქვეითდა 128 კაცი. უკანასკნელი ორი წელია, როგორც იქნა, ვასრულებთ ასპირანტურაში მიღების გეგმას, მივალწიეთ იმასაც, რომ ასპირანტებს ამზადებენ აკადემიკოსები — 21, წევრ-კორესპონდენტები — 29, მეცნიერების დოქტორები — 128. სულ 178 მაღალკვალიფიციური სპეციალისტი და მხოლოდ 57 ხელმძღვანელია მეცნიერების კანდიდატი, ისიც თავის სპეციალობაში უკვე საკმაო მეცნიერული ავტორიტეტი რომ მოიპოვა. სისტემად ვაქციეთ ასპირანტებთან შეხვედრები. ახლა, როცა აღდგენილია დოქტორანტურა და მიღებულია საკავშირო ორგანოების დადგენილება ასპირანტურის თაობაზე, მოგვიხდება მთელი რიგი ღონისძიების გატარება, მათ შორის ჩათვლების ორგანიზაცია ინფორმატიკასა და გამოთვლით ტექნიკაში, რის შესახებაც ორი კვირის წინათ პრეზიდენტმა სპეციალური დადგენილება გამოიტანა. მართალია, გასულ წელს სადოქტორო დისერტაცია 29 კაცმა და საკანდიდატო — 145 დაიცვა, მაგრამ რა დასამალია, ასპირანტურადამთავრებულები, უიშვიათესი გამოჩაყლისის გარდა, 3 წლის მანძილზე საკანდიდატო დისერტაციას ვერ იცავენ და წარდგენაც დამაკმაყოფილებელი არ არის. ყოველივე ეს პრობლემა და მის გადასაწყვეტად გვიხდება მთელი რიგი ღონისძიების გატარება, რათა ამ საქმეში მეტი წესრიგი დავაშუროთ. ამჟამად ზოგიერთი რამ უკვე გაკეთებულია, კიდევ უფრო მეტი სამუშაო კი წინ მოგველის.

ყველას კარგად მოგეხსენებათ: არც ახალი კადრების აღზრდა, არც რაიმე მეცნიერული წარმატება არ შეიძლება რეალურად ხელშესახები იყოს, თუ სათანადოდ გამართული არ არის ბეჭდური პროდუქციის გამოცემის საქმე. ამ საგანზე ზემოთ ორიოდ სიტყვა მოხსენებული მაქვს. არ მითქვამს, რომ იმ შრომათაგან, რომლებიც გასულ წელს „მეცნიერებამ“ გამოცა, ბევრია ფრიად მნიშვნელოვანი. მათ შორისაა დიმიტრი უზნაძის, აკაკი შანაძის თხზულებათა ტომები და ვუკოლ ბერიძის „სიტყვის კონა“. 13 მონაცემიდან გამომცემლობა „მეცნიერებამ“ რვა შეასრულა გადაჭარბებით, რაც ცუდი მაჩვენებელი არ არის, მაგრამ მწვევედ დგას სტამბისა და გამომცემლობის არაერთი საკითხი — თანამედროვე აღჭურვილობის შექმნა, ახალი შენობით უზრუნველყოფა და ა. შ. აკადემიკოსი ევგენი ხარაძე ენერგიულად ებრძვის სტამბა-გა-



მომცემლობის საკითხების მოსაგვარებლად და უეჭველია, ბევრი რამ უახლოეს ხანში დადებითად გადაწყდება. ერთი მომენტიც უნდა აღვნიშნო: მისასალმებელია, რომ გამოდის დღევანდლობის აქტუალური საკითხებისადმი მიძღვნილი ისეთი წიგნები, როგორცაა: „ისტორია და თანამედროვეობა“, „სკკპ XXVII ყრილობა მუშათა კლასის ინტერნაციონალური აღზრდის შესახებ“, „საქართველოს სსრ რესპუბლიკაში სურსათით ვაჭრობის ეფექტიანობა“, „დემოგრაფიული განვითარების პრობლემები“, სერია — „მეცნიერება სკოლა“, აგრეთვე სპეციალური მონოგრაფია „ალკოჰოლიზმი და პიროვნება“. ბევრი სხვა კარგი ნაშრომიც გამოვიდა, მაგრამ ბევრსაც მოველით, განსაკუთრებით საქართველოს კომპარტიის ისტორიის ახალი რედაქციით გამოშვებას.

მინდა შეგახსენოთ, რომ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ბიუროს მიერ დამტკიცებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის 1986—1990 წლების პროგრამა ჩვენი ყოველდღიური ზრუნვის საგანი და საიმედო ორიენტირია.

არ შემიძლია კეთილი სიტყვა არ ვუთხრა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებულ ჩვენი მოხსენების პროფილის დაწესებულებებს, თუმცა თავსამტვრევი პრობლემები და მოუგვარებელი საკითხები მათაც ცოტა როდი აქვთ. მაგრამ, ისინი რომ ბევრს აკეთებენ, თქვენთვის დიდი ხანია ცნობილი. ეს დაწესებულებებია: სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, მისი ფილიალი — ხალხთა მეგობრობის მუზეუმი, რომელმაც სამწუხაროდ, ცუდად დაიწყო მუშაობა, საბედისწერო შეცდომებით გააგრძელა და როგორც იქნა, ეს ერთი ხანია წელში გაიმართა, რასაც ჩვენ ყველა უნდა მივესალმოთ: კარგად მუშაობს საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრი, ურომლისოდ ჩვენ, მით უფრო თანამედროვე მოზღვაებული ინფორმაციის პირობებში, ძალიან გავვიჭირდებოდა. და არის კიდევ ერთი სიმპათიური დაწესებულება — აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, რომლის უაღრესად კვალიფიციური, ენერგიული და მონდომებული კოლექტივის წყალობით, მუშაობა გამართულად მიმდინარეობს. რომ ის არა, ვერ გამოვეცმდით ასე აჩქარებული ტემპითა და ასეთ მეცნიერულ დონეზე ჩვენი სახელგანთქმული მეცნიერების ბიობიბლიოგრაფიულ სერიას.

თქვენ ალბათ ყველამ წაიკითხეთ 1986 წლის მუშაობის ანგარიშში ის ადგილი, სადაც ნათქვამია, რომ აკადემიის პრეზიდიუმთან და სამეცნიერო განყოფილებებთან მუშაობს 72 საბჭო, კომისია, საზოგადოება, ცენტრი. იქვე ჩამოთვლილია ზოგიერთი მათგანი, რომ ისინი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდნენ, რაც სრული ჭეშმარიტებაა, მაგრამ გარკვეული ტაქტიკური თუ ჰუმანური მოსაზრებით არ არის ნათქვამი, ვინ სულ არ მუშაობდა, ან ბევრი არაფერი გაუკეთებია. მიგვაჩნია, რომ ამდენი საბჭო, ამდენი კომისია, საზოგადოება, ცენტრი არ არის საჭირო. ბევრი მათგანი ფორმალობა-ზერელობის მეტს არაფერს გვაძლევს. ეს საკითხი პრინციპული მეცნიერული თვალსაზრისით უნდა შევისწავლოთ. არა მექანიკური შემცირების, არამედ ზოგიერთი მათგანის გაერთიანების, ამოქმედების, გაუქმების ასპექტში. არ შეიძლება ყოველ საკითხზე გვექონდეს საბჭო, კომისია, საზოგადოება, მით უფრო ცენტრი.

როგორც შევეცყეთ, უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს აკადემიკოს ბორის პატონს, იმის გამო, რომ სუსტად ან სულ არ მუშაობდნენ, ხსენებული რგოლების სრული რეორგანიზაცია მოუხდენია და ხელახლა დაუწყია მხოლოდ იმათი შექმნა, რომლებიც განყოფილებებსა და პრეზიდიუმს საჭიროდ მიუჩნევიან. შეიძლება ჩვენც მოგვიხდეს უკრაინელი კოლეგების გამოცდილებათა გაზიარება. დაუფარავად ვიტყვი, ჩვენთან, გარდა იმისა, რაც ანგარიშშია ჩამოთვლილი, ენერგიულად მუშაობს საშუალო ზოგადსაგანმანათლე-

ბლო, პროფტექნიკური და უმაღლესი სკოლების კომისია, რომელსაც უკვე ათი წელი შესრულებდა, უნარიანად ხელმძღვანელობს აკადემიკოსი გიორგი ჭოლოშვილი. სკოლების რეფორმის წარმატებისათვის ეს კომისია ცოტას როდი აკეთებს და წახალისების ღირსადაც მიგვაჩნია.

კიდევ ერთი საკითხი.

ტრანსკავკასიის რკინიგზის არსებითად ორსაუკუნოვანი მშენებლობის საკითხს აქ უკვე შეეხო ჩვენი პრეზიდენტი. მინდა დავადასტურო, რომ გავცეანი რა საქართველოს მინისტრთა საბჭოს მიერ ერთი თვის წინათ, 16 აპრილს მიღებულ ვრცელ დადგენილებას საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შემდგომი გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ, სრულიად უეჭველია, მას დიდი მნიშვნელობა ექნება და ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ დასახული პროგრამის განსახორციელებლად.

ამხანაგებო!

ჩვენ ბევრი გვაქვს სამუშაო, რათა ნამდვილად ეფექტური იყოს აკადემიური და უმაღლესი სკოლის მეცნიერებათა კოორდინაცია, რათა ძირითადად დავამთავროთ კავკასიურ ენათა ეთნონიმების შესწავლა, მაღალ დონეზე გამოვეყთ დადგენილი მეცნიერული ტექსტები ჩვენი კლასიკოსებისა, დაწყებული გენიოს რუსთაველის პლეადის მწერლებითა და გალაკტიონ ტაბიძის თანამედროვეთა თხზულებებით დამთავრებული. კარს მომდგარია ქართული კულტურის სხვა ძეგლთა კორპუსების გამოცემა. ბევრი ლექსიკონი გამოვიდა, მაგრამ ბევრიც გვეჭირდება, მაგალითად, ტერმინოლოგიურნი. ველით და ვე-ლით „ეფფფისტყაოსნის“ ახლადდადგენილ ტექსტს, რომელზედაც სპეციალური კომისია მუშაობს. კარგია, რომ გრძელდება საფრანგეთში არსებული ბიზანტიის ისტორიისა და ცივილიზაციის შემსწავლარ ცენტრთან თანამშრომლობით ხელნაწერთა ინსტიტუტის მიერ ათონის ქართულთა მონასტრის აქტების პუბლიკაცია. წარმატებები აქვს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ისტორიის, სოციალურ-ეკონომიკური და ენობრივ-კულტურული, აგრეთვე ლიტერატურულ-ფილოსოფიური პრობლემების შესწავლის დარგში. ლიტერატურის ინსტიტუტმა დამთავრა ქართული პოეტური ფოლკლორის მრავალტომიანი კორპუსის გამოცემა, ახლა მზადდება 20 ტომად განზრახული ხალხური პროზის ტექსტები. მას ძალიან ბევრი აქვს გასაკეთებელი. ბოლო დროს ინსტიტუტი კარგად მუშაობს.

ყოველივე ეს მხოლოდ მცირე ნაწილია იმ დიდი მუშაობისა, რომელიც აკადემიის სისტემის საზოგადოებრივი და ჰუმანიტარული დარგის ინსტიტუტებში წარმოებს. მაგრამ რამდენი აქვთ სამუშაო გულიას სახელობის ინსტიტუტს თუნდაც რეგიონული ეკონომიკის, აფხაზური ენის, ისტორიის, ლიტერატურის, არქეოლოგიის დარგში. იგივე ითქმის ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის ინსტიტუტის მუშაობაზე. სამხრეთ ოსეთის ინსტიტუტმა, რომელმაც ბევრი გააკეთა ოსური ენის ოთხტომიანი განმარტებითი ლექსიკონის მოსამზადებლად, ეს საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანოს. რაც შეეხება ქუთაისის სამეცნიერო ცენტრს, მიუხედავად მისი ხელმძღვანელობის ენერგიულობისა და ადგილობრივი პარტიული ორგანოების დახმარებისა, ბევრი ვადაუტყრელი პრობლემა აბრკოლებს მუშაობას და საჭირო იქნება ამ საკითხის პრეზიდენტზე სპეციალური განხილვა, ეფექტური დახმარების აღმოსაჩენად.

გარდა იმისა, რაც ითქვა, ჩვენ ბევრი სხვა საზრუნავიც გვაქვს. მთელ ხალხთან ერთად საზოგადოებრივ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩაბმულნი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ებრძვიან

ნეგატიურ მოვლენებს, მაგალითად, უშრომლად ცხოვრებას, ლოთობას, ნარკო-
 მანიას, ნერგავენ სიფხიზლის ნორმებს. ამჟამად ისინი მთელი მონდომებით ემ-
 ზადებიან დიდი ოქტომბრის სახელოვანი 70 წლისთავის აღსანიშნავად. ვემზა-
 დებით მიმდინარე წელსვე ფილოსოფოსთა საკავშირო ყრილობისათვის. ოქ-
 ტომბერში აღვნიშნავთ დიდი ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავს,
 რომლის საიუბილეო კომისიას, ჩვენდა სასიხარულოდ, რესპუბლიკის ხელ-
 მძღვანელი, ცკ-ის პირველი მდივანი ამხანაგი ჯუმბერ პატიაშვილი მეთაურობს.
 ამასთან დაკავშირებით მინდა განვაცხადო, რომ თვითველი ჩვენგანი, რა მო-
 ვალებასაც არ უნდა ასრულებდეს, შთაგონებულია ერთი ძირითადი იდეით:
 ყველაფერი ვაკეთოს ქართული მეცნიერების, ხალხის, სამშობლოს მორიგ
 სახელოვან გამარჯვებათა მოსაპოვებლად!

მე დავამთავრე. საკითხები და პრობლემები იმდენია, რომ შეუძლებელი
 ხდება მათი არათუ ანალიზი, უბრალო ჩამოთვლაც კი. ამ ხარვეზს, იმედი მაქვს,
 კამათში გამოსული ორატორები ნაწილობრივ მაინც შეაჯსიბენ.

★ ★ ★

ივ. ვ. ფრანგოვილის მოხსენება

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების სამეცნიერო საქმიანობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის გამოკვლევებს. მნიშვნელოვანი კვლევები იქნა ჩატარებული თანამედროვე მათემატიკის, ფიზიკის, ასტრონომიის, კიბერნეტიკის, ქიმიის, მეტალურგიის, მექანიკის, მანქანათმშენებლობის და მართვის პროცესების პრობლემების ირგვლივ.

საანგარიშო წელს მიღებულია მნიშვნელოვანი შედეგები დრეკადობისა და ალბათობის თეორიაში, გამოთვლით მათემატიკაში, დისკრეტულ მათემატიკასა და მათემატიკურ კიბერნეტიკაში, ინფორმატიკის, გამოთვლითი ტექნიკისა და ავტომატიზაციის საკითხებში, ელემენტარული ნაწილაკების, კოსმოსური სხივების, მყარი ტანის, პლაზმის ფიზიკაში, ბიოფიზიკაში, ასტრონომიასა და ასტროფიზიკაში, მექანიკისა და მანქანათმშენებლობის დარგებში, მართვის პროცესების პრობლემებში, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის და დედამიწის შესწავლის საკითხებში.

მათემატიკისა და ფიზიკის დარგებში

მიღებულია დიდ რიცხვთა გაძლიერებული კანონები გაუსის შემთხვევითი ელემენტებისათვის. დადგენილია დრეკადობის კლასიკური და მომენტური თეორიების სტატიკის განტოლებათა სისტემის ამოხსნათა ყოფაქცევა იზოლირებული განსაკუთრებული წერტილის მიდამოში. დამუშავებულია მიახლოებითი მეთოდები რკინაბეტონის კონსტრუქციების დაბერების დიფერენციალური განტოლების ამოსახსნელად და ამ განტოლებათა ასიმპტოტური ყოფაქცევის გამოსაკვლევადა.

აგებულია სწრაფმოქმედი გამოთვლითი ალგორითმები დრეკადობის თეორიის სასაზღვრო ამოცანების რიცხვითი ამოხსნისათვის მრავლადმული არეების შემთხვევაში.

შემუშავდა ლისპის ფუნქციონალური პროგრამების ავტომატური კორექტორი. ავტომატური სინთეზისათვის განსაზღვრულია ფუნქციური ენის ბაზისი და ზედნაშენი.

აღმოჩენილია დარტყმითი ტალღების ძლიერი მიღვევა ლაზერული ნაპერწყლის პლაზმაში.

მიღებულია დაინდუქციებული ქინალური სმექტიკური თხევადი კრისტალი, რომელსაც ოთახის ტემპერატურის პირობებში ახასიათებს სინათლის მოდულაციისათვის ოპტიმალური სპონტანური პოლარიზაციის მნიშვნელობა და მოლეკულების დახრის კუთხე.

სეგნეტოელექტრული თხევადი კრისტალის საფუძველზე შექმნილია გამოსახულების სწრაფმოქმედი გარდამქმნელი, რომლის გადართვა მიკროსეკუნდებში ხორციელდება და რომელიც ძაბვით მართვადი ბისტაბილობით ხასიათდება.

აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში მიღებულია ვრცელი სპექტრული, ფოტოგრაფიული და პოლარიმეტრიული მასალა. აღმოჩენილია უარყოფითი პოლარიზაციის არსებობა ჰალეის კომეტის ნივთიერების გამოსხივებაში.

კიბერნეტიკის ინსტიტუტის მიერ მიღებულია აშშ-სა და ინგლისის პატენტი გამოგონებაზე „ფთორის მიხედვით ანიონური ხასიათის გამტარი მინა“ და „ელექტრონული სიგნალების დამყოფი“.

მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების დარგებში

მანქანათა მექანიკის ინსტიტუტში ჩატარებული თეორიული და ექსპერიმენტული გამოკვლევების საფუძველზე ჩამოყალიბდა როტორულ ძრავაში მიმდინარე მუშა ციკლის ორგანიზაციის ახალი პრინციპი, რომელიც იძლევა მუდმივმოქმედი ჩირალდნის ზონაში ღარიბი სამუშაო წარუქვის წვის პროცესის ინტენსიფიკაციის შესაძლებლობას. დადასტურდა ღარიბი წარუქვის სტაბილური წვის შესაძლებლობა როგორც დაბალი, ისე მაღალი სიჩქარეებით მუშაობის პირობებში.

ფრიალ მნიშვნელოვანი შედეგებია მიღებული ოპერატორის ბიოსისტემაზე ვიბრაციული მანქანის ზემოქმედების შესწავლის დარგში. შექმნილია შესაბამისი მათემატიკური მოდელები, რომლებიც იძლევა ბიოსისტემის ქვეყის განზოგადების შესაძლებლობას.

შექმნილია ოპერატორზე ვიბრაციის მავნე მოქმედებისაგან დასაცავი საშუალებების განგარიშების მეთოდი. რეკომენდებულია ვიბრაციისაგან დამცავი ელემენტების კონსტრუქცია მეტალიზებული რეზინისაგან. მისი გამოყენება ჩაის ხელით საკრეფ აპარატებში დადებით შედეგს იძლევა.

სახალხო მეურნეობაში ენერჯის არატრადიციული წყაროების გამოყენების თვალსაზრისით აღსანიშნავია ინსტიტუტში შექმნილი მცირე სიმძლავრის პელიოდანადგარების ორი ვარიანტი, რომლებიც ფრიალ პერსპექტიულია პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით.

კ. ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკის და სეისმომედევობის ინსტიტუტში დამუშავდა კარკასულ-პანელური შენობის საიმედოობის შეფასების ამოცანა, რასაც საფუძვლად დაედო ინსტიტუტში დამუშავებული ალბათური მეთოდი. ჩატარდა შენობა-ნაგებობათა სეისმომედევობის განგარიშების მეთოდების სრულყოფა. ინსტიტუტში ჩატარებული კვლევის საფუძველზე შეფასდა რესპუბლიკაში ანტისეისმური ღონისძიებებისა და მოსალოდნელი მიწისძვრებით გამოწვეული დანაკარგების ეკონომიკური მაჩვენებლები. ამოქმედდა ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანით აღჭურვილი სეისმობაქანი, რაც ხელს შეუწყობს ექსპერიმენტულ გამოკვლევათა ავტომატიზაციას სეისმომედევობის დარგში.

გ. წულუკიძის სახ. სამთო მექანიკის ინსტიტუტში შესწავლილია მანგანუმის მადნის შლამების ფლოტაციური მეთოდით გამდიდრების პროცესში ტალის ზეთის ნაცვლად მცენარეული ზეთების გადამუშავების ნარჩენების გამოყენების შესაძლებლობა. გამოკვლეულია ახალი რეაგენტის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები და შესწავლილია მანგანუმის მინერალებზე მისი მოქმედების მექანიზმი. ინსტიტუტში შეიქმნა მავარი მადნების მოპოვების ეფექტური ტექნოლოგია. შეიქმნა ახალი მექანიზმული საწმენდი კომპლექსი, რომელსაც გააჩნია რიგი უპირატესობა საზღვარგარეთულ ანალოგებთან შედარებით. ინსტიტუტში შემუშავდა ქვის ბლოკების დამზადების ეფექტური ტექნოლოგია აფეთქების ენერჯის საჭირო მიმართულებით წარმართვით.

შესრულდა კვლევითი სამუშაოები, რომლებმაც განაპირობეს კვანის საბადოს მადნის მოპოვების ტექნიკური ღონის მნიშვნელოვანი ამაღლება.

მართვის სისტემების ინსტიტუტში ძლიერდება მუშაობა ავტომატური მარ-

თვის მეთოდების სრულყოფისა და სახალხო მეურნეობაში მათი დანერგვის დაჩქარების დარგში.

ინსტიტუტმა დეტალურად შეისწავლა სამტრედიის ჩაის ფაბრიკაში თბური ტუმბოს დანადგარის მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, რაც საფუძვლად დაედება ჩაის ფაბრიკებში თბური ტუმბოს დანადგარების ფართოდ დანერგვას, ამ დანადგარების შემდგომ სრულყოფას და მათი მართვის ავტომატიზაციის სისტემების შექმნას.

ინსტიტუტში შეიქმნა ერთარხიან ოპტიკურ ბოჭკოში მიმდინარე პოლარიზაციის ეფექტების გამოყენებაზე დამყარებული მოწყობილობა, რომელიც ტექნოლოგიური პროცესებისათვის საჭირო დიდი ძალის ელექტროდენების ენერგეტიკული პარამეტრების გარდაქმნის შესაძლებლობას იძლევა. ინსტიტუტმა აკადემიის სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიუროსთან ერთად დაამუშავა და მცირე სერიით გამოუშვა საპილოტაჟო ინფორმაციის ინდიკაციის სისტემა, რომელიც გამოიყენება მიქოიანის სახელობის საავიაციო ბიუროში.

ქ ი მ ი ი ს ა და ქ ი მ ი უ რ ი ტ ე ქ ნ ო ლ ო გ ი ი ს დ ა რ გ ე ბ შ ი

შემუშავებულია ფოლადებსა და თუჯებში შენადნობებისა და ლითონების გახსნის კინეტიკის შესწავლის ახალი მეთოდი.

შემუშავდა ახალი ფხვნილგულა მავთული, რომლის დადუღება სახნისზე ზრდის სახნისის მჭრელი პირების ცვეთამედევობას და შესაბამისად იძლევა მაღალ ეკონომიკურ ეფექტს.

შეიქმნა მანგანუმ-პალადიუმის და პლატინის კატალიზატორები, რომლებიც დაინერგა თბომავლების გამონაბოლქვი აირების ნეიტრალიზაციის სისტემაში და სატვირთო ავტომანქანების გამონაბოლქვი აირების გასაწმენდად იმპორტული კატალიზატორის ნაცვლად.

შესწავლილია მანგანუმის კონცენტრატის სველი დაფქვის ოპტიმალური პირობები, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებს მანგანუმის დიოქსიდის წარმოებაში ხსნარების მომზადების ტექნოლოგიას.

შემუშავდა გრანულირებული ხელატური ცეოლითების მიღების ტექნოლოგია და მიღებული პროდუქტი გამოიყენება სხვადასხვა დაავადებისადმი მცენარეთა გამძლეობის გასაზრდელად.

ნაჩვენებია, რომ S-ამინოკაპროლაქტამის მეფე პიდროლიზი იძლევა ალზონს, რომელიც საკვების დანამატად წარმატებით გამოიყენება მეცხოველეობასა და მეფრინველეობაში.

საქართველოს ნავთობების ფისოვანი ნერთების ფიტოქიმიური ქანგვის პროდუქტების შესწავლით დადგენილია მათი წყალში ხსნადი ბიოლოგიურად აქტიური ნერთების — მცენარეთა ზრდის რეგულატორების არსებობა.

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში დაინერგა ციხვში ინერტული აირებით თხევადი ლითონის შიბერული ჩამკეტიდან ინექციური დამუშავების მაღალეფექტური ტექნოლოგია. აღნიშნული ტექნოლოგიის დანერგვით რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მიღებულა 1,0 მლნ მანეთზე მეტი ეკონომიკური ეფექტი.

ი. ქუთათელაძის სახ. ფარმაცოქიმიის ინსტიტუტში აღმოჩენილია ფენოლურ ნერთთა შემცველი ოთხი ახალი მცენარე, რომლებმაც ფარმაცოლო-

გიურ ექსპერიმენტში ციტოსტატიკური ლეიკოპენის დროს სისხლწარმოქმნის მასტიმულირებელი თვისებები გამოამჟღავნეს.

დედამიწის შემსწავლელ მეცნიერების დარგში

საანგარიშო წელს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მიწისძვრების პროგნოზს, დედამიწის ქერქისა და სასარგებლო ნამარხების შესწავლას, კავკასიის საულელტეხილო რკინიგზის მშენებლობის პრობლემებს. ჩატარდა საქართველოსა და მისი მოსაზღვრე ტერიტორიის გეოფიზიკური, გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური შესწავლისათვის ფუნდამენტური სამუშაოები.

პირველად იქნა შესწავლილი კონტინენტური, ზღვისმიერი და შერეული აეროზოლების ოპტიკურ-მეტეოროლოგიური მოდელების მდგრადობა და მგრძობიარობა ატმოსფეროს დაბალ ფენებში ტენიანობის ველის ცვალებადობასთან დაკავშირებით.

დამუშავდა საინჟინრო-გეოლოგიური პირობების ცვლილების პროგნოზირების თეორიული საფუძვლები და მეთოდები გეოლოგიური გარემოს რაციონალური გამოყენებისა და დაცვის მიზნით.

გეოლოგიურ-გეოფიზიკური კომპლექსური მონაცემების საფუძველზე შემუშავდა მოსალოდნელი მიწისძვრების ზონების გამოყოფის მეთოდიკა.

თეორიული გამოკვლევების საფუძველზე გაუმჯობესდა სეტყვის ღრუბლის რიცხვითი მოდელი, რომელიც ითვალისწინებს სეტყვის ღრუბლის ბუნებრივ განვითარებას და მასზე აქტიური ზემოქმედების გავლენას.

ჩატარებულია სამუშაოები საქართველოს ტერიტორიაზე სეისმოგენური სტრუქტურების ფორმირებაში სიღრმული და დიდი რღვევების როლის გასარკვევად.

ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის სექტორის მიერ დამუშავდა გეოთერმული რესურსებისა და კავკასიის გეოთერმული ენერჯის პროგნოზის შეფასების მეთოდიკა.

კავკასიის საულელტეხილო რკინიგზის ტრასის საინჟინრო-გეოლოგიურ პროექტს საფუძვლად დაედო ა. ჯანელიძის სახ. გეოლოგიურ ინსტიტუტში ჩატარებული გამოკვლევების შედეგები სადგურ ქსნიდან სადგურ ტარსკოემდე ლითოლოგიურ-სტრატეგრაფიული და სტრუქტურულ-ტექტონიკური პირობების შესახებ.

შედგა XII ხუთწლედში რესპუბლიკის შრომითი რესურსების განლაგებისა და გამოყენების ამსახველი რუკა და ჩატარდა კვლევა მდ. არაგვის წყლით ბაზალეთის ტბის შევსების მიზანშეწონილობის შესახებ.

შავი ზღვის სანაპირო ზოლის კვლევები მჭიდროდაა დაკავშირებული ხმელეთის ჰიდროლოგიის შესწავლასთან. ხდება მთიანი ტერიტორიების ეკოლოგიასთან დაკავშირებული გამოკვლევების ინტენსიფიკაცია და თერმული და მინერალური წყლების შესწავლა ტექტონიკურ აგებულებასთან მჭიდრო კავშირში.

სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალურმა საკონსტრუქტორ ბიურომ საანგარიშო წელს დაამზადა ხელსაწყოთა და მოწყობილობების 85 საცდელი ნიმუში, 10 საპროექტო მაკეტი და 2 ექსპერიმენტული ნიმუში. ამასთან ერთად საკონსტრუქტორ ბიუროს სპეციალისტებმა საანგარიშო პერიოდში აწარმოეს დამკვეთებისათვის გადაცემული ხელსაწყოების საცდელი ექსპლოატაცია. 1986 წელს დანერგილი სამუშაოების ეკონომიკურმა ეფექტმა შეადგინა 768 ათასი მანეთი. საკონსტრუქტორ ბიურომ დააბატენტა მის მიერ შექმნილი კლავიშური გადამრთვე-

ლი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

თეორიული და ექსპერიმენტული კვლევების
ავტომატიზაციის პრობლემები გამოთვლითი
ტექნიკის გამოყენებით

სამეცნიერო კვლევების ავტომატიზაცია გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად შემცირდეს კვლევა-ძიების ჩატარებისათვის საჭირო დრო და მოეწყოს ახალი გამოკვლევები, რომელთა ჩატარება ავტომატიზაციის გარეშე შეუძლებელია. ამასთან ერთად იზრდება ექსპერიმენტული დანადგარების გამოყენების ეფექტურობა და მკვლევარი თავისუფლდება არაინტელექტუალური სამუშაოების შესრულებისაგან.

1986 წ. ჩვენმა სპეციალისტებმა გამოთვლითი ტექნიკის დარგში ჩატარეს აკადემიის ყველა ინსტიტუტის და რესპუბლიკის 100 მეტი წარმოებისა და ორგანიზაციის პასპორტიზაცია მათი გამოთვლითი ტექნიკის აღჭურვილობის და გამოყენების ეფექტურობის დასადგენად. პასპორტიზაციის მიხედვით ანალიზმა აჩვენა, რომ არსებული მდგომარეობა აკადემიის ინსტიტუტებში გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებისა და აღჭურვილობის თვალსაზრისით ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

კვლევითი სამუშაოების ავტომატიზაციის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის აკადემიამ უახლოეს მომავალში უნდა შეიძინოს შემდეგი სახეობის გამოთვლითი ტექნიკა:

- პერსონალური კომპიუტერები 700 ცალი 18 მლნ მან. ღირებულების.
- მინი მანქანები და საინფორმაციო-გამოთვლითი კომპლექსები 57 ცალი 8 მლნ მანეთის ღირებულების.
- დიდი მანქანები 4 ცალი 6 მლნ მანეთის ღირებულების.
- მოწყობილობები გამოთვლითი ქსელების შესაქმნელად 3 მლნ მან. ღირებულების.
- მიკროპროცესორული მოწყობილობანი და დანადგარებში ჩასმული მიკროკომპიუტერები 200 ცალი 2 მლნ მან. ღირებულების.

აკადემიის ორგანიზაციებში მეცნიერული კვლევების ავტომატიზაციის საფუძვლიანი გაუმჯობესების მიზნით საჭიროა 1988 წლიდან 1990 წლამდე მნიშვნელოვნად გაიზარდოს მანქანების პარკი და შესაბამისად გაიზარდოს დაფინანსება თანამედროვე გამოთვლითი მანქანების შესაძენად.

რამდენიმე სიტყვა სამეცნიერო ექსპერიმენტული
დანადგარების ავტომატიზაციის შესახებ

როგორც აკადემიის ინსტიტუტებში ჩატარებული შემოწმების ანალიზმა აჩვენა ექსპერიმენტულ დანადგართა რიცხვი, რომლებიც მოითხოვენ ავტომატიზაციას, აღემატება 700. ამათგან 182 მოითხოვს სასწრაფო ან გადაუდებელ ავტომატიზაციას. დღესდღეობით კი ავტომატიზებულია მხოლოდ 81 ექსპერიმენტული დანადგარი ე. ი. მიახლოებით 12 %.

თუ ინსტიტუტების საერთო მოთხოვნილება გამოთვლით ტექნიკაში 1990 წლამდე ითვალისწინებს ექსპერიმენტული დანადგარების ავტომატიზაციისათვის 25 ცალი მინი მანქანას, 200 ცალი მიკრო და პერსონალურ კომპიუტერს და 400 ცალი მიკროპროცესორულ სისტემას საერთო ღირებულებით 10 მლნ მანეთი — აქედან გამოიმდინარე, უპირველეს და გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს დასაწყისისათვის რვა მინი მანქანა, 50 მიკრო და პერსონალური

კომპიუტერი და 100 ცალი მიკროპროცესული სისტემა 3 მლნ მანეთის საერთო ღირებულებით.

დანახარჯი დამატებითი დანადგარების შესაქმნელად ობიექტთან დამაკავშირებელი მოწყობილობის (VCO) ჩათვლით და ქსელის აპარატურის შესაქმნელად შეადგენს 1,5 მლნ მანეთს, რომელთაგან 400 ათასი მანეთი საჭიროა 1987 ან უკიდურეს 1988 წელს.

ექსპერიმენტთა უმეტესი ნაწილი (95%), რომელთა ავტომატიზაცია აუცილებელია, ავტომატიზაციის თვალსაზრისით შეიძლება მიეკუთვნოს მარტივ ექსპერიმენტებს, რადგან შეიცავს მცირე რაოდენობის (2—5) გადამწოდ და საზომ მოწყობილობას. მათი ავტომატიზაცია პირველ რიგში დაკავშირებულია მიკროგამომთვლელი მანქანების და ობიექტთან დამაკავშირებელი მოწყობილობის გამოყენებასთან.

არის რამდენიმე სახის საშუალო სირთულის ექსპერიმენტი, რომლებიც მოითხოვს ასობით გადამწოდს და დიდი რაოდენობის ინფორმაციის გადამუშავებას. მათი ავტომატიზაციისათვის პირველ რიგში საჭიროა გამოზომ-გამოთვლითი კომპლექსები: ИВК-2, ИВК-4, ИВК-6 ИВК-10, რომლებსაც აქვთ კამაკის მოდულები და გარე დისკური მეხსიერების მოწყობილობანი.

ამასთან ერთად არის რამდენიმე შედარებით რთული ექსპერიმენტი, რომელთა ავტომატიზაცია მოითხოვს მიკრო, მინი და დიდი გამოთვლითი მანქანების გაერთიანებას.

აკადემიაში არის ინსტიტუტები, სადაც საჭიროა 30-ზე მეტი ექსპერიმენტის ავტომატიზაცია. ასეთ ინსტიტუტებში მიზანშეწონილია შეიქმნას ექსპერიმენტების ავტომატიზაციის ქვეგანყოფილება.

მიზანშეწონილია ინსტიტუტებში შეიქმნას ლოკალური მანქანური ქსელები სამეცნიერო კვლევების და ექსპერიმენტული დანადგარების ავტომატიზაციის ეფექტურობის გასაზრდელად.

მართვის სისტემების ინსტიტუტმა, რომელსაც დავალებული აქვს მოთავეობა აკადემიის ინსტიტუტებში სამეცნიერო ექსპერიმენტების ავტომატიზაციის სისტემების შექმნა-დანერგვის ორგანიზაციაში, საჭიროა რაც შეიძლება მალე დაამუშაოს და შექმნას ტიპობრივი მრავალმანქანური კომპლექსები კამოთვლითი ქსელების ბაზაზე.

კიბერნეტიკის ინსტიტუტმა, რომელსაც დავალებული აქვს მოთავეობა თეორიული გამოკვლევების ავტომატიზაციის საკითხებში, საჭიროა დააჩქაროს მანქანური მოდელირების მეთოდების და პროგრამების შექმნა-დანერგვა.

აკადემიის სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალურმა საკონსტრუქტორო ბიურომ, რომელიც არის მოთავე ორგანიზაცია სამეცნიერო ხელსაწყოების შექმნასა და წარმოებაში, საჭიროა მკვეთრად გაააქტიუროს თავისი მუშაობა აკადემიის ინსტიტუტების ხელსაწყოებით აღსაჭურვად და ინტერფერული აპარატურის და მიკროპროცესული სისტემების შექმნისათვის წარმოებაში. ამასთან ერთად საჭიროა მოძველებული ხელსაწყოების პარკის განახლებისათვის ისეთი ხელსაწყოების შექმნა, რომლებიც აკმაყოფილებენ მსოფლიო დონის სტანდარტებს.

ყველა ამასთან ერთად საჭიროა კადრების მომზადებისა და გადამზადების დაწყება მეცნიერული კვლევითი სამუშაოების ავტომატიზაციის საკითხებში.

მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი კ ვ ლ ე ვ ე ბ ი ს შ ე დ ე გ ე ბ ი ს გ ა მ ო ყ ე ხ ე ბ ა
ს ა ხ ა ლ ხ ო მ ე უ რ ნ ე ო ბ ა შ ი

ფუნდამენტურა კვლევების შედეგების დროულად და ეფექტურად და-
ნერგვის სახალხო მეურნეობაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების საკიობებში. საანგარიშო წელს აკადემიის ინსტიტუტების წარმოებებთან კავშირის საფუძველზე დაინერგა 80-ზე მეტი სამუშაო, რის შედეგად სახალხო მეურნეობამ მიიღო 35 მლნ მანეთის ეკონომიკური ეფექტი. აქ წამყვან როლს ასრულებენ ინსტიტუტები, რომლებიც ეკუთვნიან ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკური მეცნიერების დარგებს. მათ შორის: სსრ კავშირის 50 წლისთავის სახ. მეტალურგიის ინსტიტუტი, რომელიც ყოველ დახარჯულ მანეთზე 3,75 მან. უკუგებას აძლევს სახელმწიფოს; გ. წულუკიძის სახ. სამთო მექანიკის ინსტიტუტი — 3,95 მან. უკუგებას ყოველ დახარჯულ მანეთზე; კ. ზავრიევის სახ. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი — 4,8 მან.

საერთოდ ტექნიკური დარგის ინსტიტუტები, ფუნდამენტური კვლევების შედეგების სახალხო მეურნეობაში დანერგვით ყოველ დახარჯულ მანეთზე უნდა იძლეოდეს საგრძნობ უკუგებას. ცნობილია, რომ ყველაზე მაღალ უკუგებას იძლევა კვლევები, რომლებიც ითვალისწინებენ ახალი ტექნოლოგიის შექმნასა და დანერგვას, შემდეგ მოყვება კვლევები, გამიზნული პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციისათვის და ა. შ. ამიტომ ძირითადი ყურადღება კვლევების ჩატარების დროს უნდა ექცეოდეს ახალი ტექნოლოგიის შექმნა-დამუშავებას და მათ ავტომატიზაციას.

★ ★ ★

მ. ა. სხენიაშვილის საანგარიშო მოხსენება

საანგარიშო 1986 წელი მიეკუთვნა ისტორიას როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის წელი, XII ხუთწლედის პირველი წელი, მსოფლიოში მშვიდობის შემდგომი განმტკიცების წელი. პარტიის ყრილობამ ძირითად ამოცანად, სტრატეგიულ მიმართულებად დასახა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ჩვენი ხალხის აღმასვლის დაჩქარება. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის ტემპების მკვეთრი ამაღლების გზით. ეს ცნებები აბსტრაქტული როდია. ჩვენ ვართ უშუალო მონაწილენი ამ დიდი ამოცანების განხორციელების საქმისა. ამ გზაზე მნიშვნელოვანი ეტაპია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმი, და ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდიენის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება, რომელშიც დაისახა სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკული შესრულების ნოვატორული ამოცანები.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სწავლულები, მეცნიერული კოლექტივები გასულ წელს კვლავ განაგრძობდნენ ბუნების და საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა ღრმა და ყოველმხრივ კვლევას, ჩვენი რესპუბლიკის ბუნებრივ სიმდიდრეთა, ქართველი ხალხის სულიერი მემკვიდრეობის შესწავლას.

გასულ წელსაც ქართული მეცნიერება ტრადიციისამებრ ვითარდებოდა, მტკიცდებოდა და ღრმავდებოდა ჩვენი ქვეყნის მსხვილ სამეცნიერო ცენტრებთან მჭიდრო და შემოქმედებით კავშირში, შეჰქონდა ღირსეული წვლილი საბჭოთა მეცნიერების შემდგომ განვითარებაში.

გასულ წელს გრძელდებოდა მეცნიერების კავშირის განმტკიცება მატერიალური წარმოების სფეროსთან, ამ კავშირის ტრადიციულ ფორმებთან ერთად ფართოვდებოდა პარტნიორობა წარმოებასთან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-6 (1982 წ. მაისი) პლენუმის მითითებათა შესაბამისად.

მოპოვებული წარმატებები კომუნისტური პარტიის, სახელმწიფოს და საბჭოთა ხალხის ყოველდღიური მზრუნველობის შედეგია მეცნიერებაზე, მეცნიერების შემდგომ აღმავლობაზე და განვითარებაზე, შედეგია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და მისი ბიუროს, რესპუბლიკის მთავრობის მიზანსწრაფული ყურადღებისა და დახმარებისა, საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტიული კომიტეტების მხარდაჭერისა და ხელშეწყობისა.

ამის კიდევ ერთი დამადასტურებელი ფაქტია ის, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიიღო ვრცელი დადგენილება არქეოლოგიური კვლევების შემდგომი განვითარების შესახებ, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ — კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების შემდგომი გაფართოების შესახებ, რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დავალების შესაბამისად აკადემიის პრეზიდიუმმა შეადგინა დადგენილების პროექტი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის 1986 წლის ოქტომბრისა და 1987

წლის მარტის საერთო კრების სესიები მიზნად ისახავს მეცნიერების გაბეჭდვით შემობრუნებას საზოგადოებრივი წარმოების საქართველოსაკენ, ფუნდამენტური მეცნიერების უპირატეს განვითარებას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები გარდაქმნის გზაზე. განისაზღვრა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმს წარედგინა 83 პერსპექტიული ფუნდამენტური პრობლემა, რომელთა დამუშავებაში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებს შეუძლიათ იყვნენ წამყვანი ან თანაშემსრულებელი. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებებთან შექმნილი ფუნდამენტური მეცნიერების განვითარების პროგნოზირების საქესპერტო საბჭოების მუშაობაში მონაწილეობას იღებს რესპუბლიკის 98 ცნობილი მეცნიერი, ამავე განყოფილებებთან ჩამოყალიბებულ საკოორდინაციო საბჭოებში შევიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 28 წამყვანი მეცნიერი, მათ შორის სამეცნიერო განყოფილებათა აკადემიკოს-მდივნები. მკიდრო კავშირი მყარდებოდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებსა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის შესაბამის ინსტიტუტებს შორის. საქართველოს სსრ რესპუბლიკის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო საქმიანობის კოორდინაციის მიმართულებით გადაიდგა რეალური ნაბიჯები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან და სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან ფუნდამენტურ გამოკვლევათა კოორდინაციის მიზნით.

1986 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმით სრულდებოდა 68 მიმართულება და 209 პრობლემაში გაერთიანებული 873 თემა. დამთავრდა 121 თემის დამუშავება. საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986 წლის სახელმწიფო გეგმით დამთავრდა 43 უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს 50 ეტაპი. საანგარიშო წელს სრულდებოდა რესპუბლიკის სასურსათო პროგრამით გათვალისწინებული 64 სამუშაო. აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებები ჩაებნენ XII ხუთწლედისათვის გათვალისწინებული 17 საკავშირო სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამის შესრულებაში. დიდი აკადემიის წვლილი რესპუბლიკური კომპლექსური პროგრამით — „საქართველო; მეცნიერება, ტექნიკა, ზარისხი-90“ გათვალისწინებულ სამუშაოთა რეალიზაციაში. აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებები მონაწილეობენ საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების მეცნიერული უზრუნველყოფის კომპლექსურ პროგრამაში „საქაგროსამრეწველო კომპლექსი-90“, აგრეთვე რიგი საკავშირო, უწყებრივი და რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების შესრულებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაამტკიცა საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების 1986—1990 წლების პროგრამა — სახელმძღვანელო დოკუმენტი აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგის ინსტიტუტებისათვის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა შეიმუშავა სკკპ XXVII ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების ღონისძიებათა გეგმა, აგრეთვე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავის აღსანიშნავი ღონისძიებები.

1986 წელს დაიწყო აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებების განვლი-



ლი 3—4 წლის სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობის ფასდება. გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილებას შეეცვალა სახელი და ეწოდა გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილება.

1986 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში შეიქმნა ახალი სამეცნიერო დაწესებულება — მოლეკულური ბიოლოგიისა და ბიოლოგიური ფიზიკის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიასთან იუნესკოს ხაზით დააარსდა თბილისის სეისმომედეგი მშენებლობის საერთაშორისო ცენტრი საბჭოთა კავშირში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებმა წარმატებით შეასრულეს 1986 წლის სოციალისტური ვალდებულებები. სოციალისტურ შეჯიბრებაში მოპოვებული თვალსაჩინო წარმატებებისათვის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოსა და საქართველოს ალკე ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოვდა სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახ. მეტალურგიის ინსტიტუტი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, დიპლომით და პირველი ფულადი პრემიით დაჯილდოვდნენ გ. წულუკიძის სახ. სამთო მექანიკის, მცენარეთა ბიოქიმიის, ეკონომიკისა და სამართლის, აგრეთვე ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახ. სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო. დიპლომით და პრემიით დაჯილდოვდნენ პ. მელაქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის, ზოოლოგიის, ი. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის, კ. ზაერეივის სახ. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის, ფიზიკის, გეოფიზიკისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტები.

საანგარიშო წელს საგრძნობლად გაფართოვდა საქმიანი ურთიერთობანი სამეცნიერო ინსტიტუტებსა და საწარმოებს შორის. აკადემიის 22 დაწესებულება დაკავშირებული იყო რესპუბლიკის და ჩვენი ქვეყნის მრავალ საწარმოსთან, სადაც დაინერგა 85 სამუშაო. ამის შედეგად 1986 წელს სახალხო მეურნეობამ მიიღო 35,0 მლნ მანეთის ეკონომიკური ეფექტი.

ცალკეული ინსტიტუტების მიერ შესრულებული სამუშაოების დანერგვით მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა ერთ დახარჯულ მანეთზე 3—4 მანეთის უკუგება მისცა სახელმწიფოს, მათ შორის უნდა აღინიშნოს: მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი, ზოოლოგიის ინსტიტუტი, კ. ზაერეივის სახ. სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი, გ. წულუკიძის სახ. სამთო მექანიკის ინსტიტუტი, სსრ კავშირის 50-ე წლისთავის სახ. მეტალურგიის ინსტიტუტი.

ამვე დროს კაბერნეტიკის, გეოფიზიკის, მართვის სისტემების, არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტებმა დანერგვის შედეგად მიიღეს უკუგება 6 კაპიკიდან 70 კაპიკამდე, ხოლო გეოლოგიის, გეოგრაფიის, ბოტანიკის, ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტებს გასულ წელს ეკონომიკური უკუგება არ მიუღიათ, თუმცა დანერგვის და ეფექტიანი მუშაობის პირობები აქვთ.

საანგარიშო წელს აკადემიის 15 სამეცნიერო დაწესებულებას 43 სამუშაოს შესრულებაზე ჰქონდა დადებული პარტნიორული ხელშეკრულება რეს-

პუბლიკის 28 საწარმოსთან. აკადემიის II სამეცნიერო დაწესებულება მუშაოს ასრულებდა გლდანის რაიონის 12 საწარმოსთან. პარტნიორობის წესით შესრულებული სამუშაოების შედეგების სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში გამოყენებით მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა საანგარიშო წელს 5 მლნ მანეთი შეადგინა.

1986 წელს ნაყოფიერად გრძელდებოდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-ტექნიკური კავშირი საზღვარგარეთის ქვეყნებთან. საზღვარგარეთ მივიღებულ იქნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 168 მეცნიერ-სპეციალისტი და ამავე დროს აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებმა მიიღეს 236 უცხოელი მეცნიერ-სპეციალისტი. ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 198 საზღვარგარეთელმა მეცნიერმა.

გრძელდებოდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო თანამშრომლობა გერმანიის, ბულგარეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, კუბის, ავსტრიის, ფინეთის, საფრანგეთის და სხვა სამეცნიერო ცენტრებთან. უნდა ითქვას, რომ მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებათა მიერ საერთაშორისო ურთიერთობის ყველა ფორმა გამოიყენებოდა საინფორმაციო-პროპაგანდისტული მიზნებისათვის.

გარდა აღნიშნულისა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებმა 1986 წელს ჩატარეს II საერთაშორისო, 18 საკავშირო და 35 რესპუბლიკური ღონისძიება, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 4500-მდე კაცმა, მათ შორის სხვა ქალაქებიდან ჩამოვიდა 3000-ზე მეტი სპეციალისტი.

1986 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებმა სსრ კავშირის გამოგონებათა და აღმოჩენათა საქმეების სახელმწიფო კომიტეტში წარადგინეს 161 განაცხადი სავარაუდო გამოგონებაზე, მიღებულია 94 საავტორო მოწმობა და 62 დადებითი გადაწყვეტილება. დასაპატენტებლად რეკომენდაცია მიეცა 11 გამოგონებას, ხოლო ლიცენზიის გაყიდვისათვის — 13-ს.

დასავლეთ გერმანიის ფირმა „კრუპპოლიზიოს“ მიეყიდა ლიცენზია საბუშაოზე „თხევად ფოლადში აირებისა და ფხვნილების შებერვის ხერხი და მოწყობილობა მის განსახორციელებლად“, რომელიც მეტალურგიის ინსტიტუტმა და რუსთავის მეტალურგიულმა ქარხანამ ერთად შეასრულეს. ლიცენზიის ღირებულებაა 1,0 მლნ დასავლეთგერმანული მარკა.

1986 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-სარედაქციო და საგამომცემლო საქმიანობაში ასახვა პიკმა სკკპ XXVII და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობების გადაწყვეტილებებიდან და სკკპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების დადგენილებებიდან გამომდინარე პრობლემატიკამ.

საანგარიშო წელს გამომცემლობა „მეცნიერებამ“ საგამომცემლო გეგმა დასახელებათა რაოდენობით 114,4%-ით შეასრულა, მათ შორის წიგნების რაოდენობით — 92,8%-ით, ჟურნალებისა — 105,3%-ით; რეალიზაციის გეგმა შესრულებულია 100,8%-ით, გამოცემული ლიტერატურის შორის აღნიშნულია სკკპ XXVII ყრილობისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის; აპრილის (1985 წ.) პლენუმისადმი, სასურსათო და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემებისადმი მიძღვნილი ნაშრომები.

მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა განსახორ-



ციელზელად. გამოსაცემად მომზადებულია ქართველ მეცნიერთა მოხსენებები, წიგნები, სამეცნიერო კოლექტივების შრომათა კრებულები. საიუბილეო თარიღს მიეძღვნება აკადემიის ჟურნალების — „მომამბის“, „მაცნეს“, „მეცნიერება და ტექნიკის“ — სპეციალური ნომრები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საქავშირო ცენტრალური საბჭოს 1985 წ. 22 ივნისის № 462 ცნობილი დადგენილების შესაბამისად 1986 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 44 სამეცნიერო დაწესებულებაში ჩატარდა ატესტაცია. ატესტაციის შედეგად აკადემიის სისტემაში გამსხვილდა, გაძლიერდა ქვედანაყოფები, შეიქმნა შემოქმედებითი მუშაობის უკეთესი პირობები და ქვედანაყოფების ხელმძღვანელობის განმტკიცების საშუალებები. თუ ატესტაციამდე აკადემიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში და დაწესებულებებში იყო 610 განყოფილება, ატესტაციის შემდეგ მათი რაოდენობა 390 გახდა, სულ კი შემავალი ქვედანაყოფების ჩათვლით გამსხვილების შედეგად საერთო რაოდენობა 11%-ით შემცირდა. ახლა აკადემიის არც ერთ ინსტიტუტში მცირერიცხოვანი ქვედანაყოფი არ დარჩა. მაგრამ, გულახდილად უნდა ითქვას, რომ ატესტაცია აკადემიაში ჩატარდა, ბევრ შემთხვევაში, ფორმალურად და სასურველი შედეგი არ იქნა მიღწეული. ამის გამო ჩვენი მუშაობა სამართლიანად გააკრიტიკეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მე-6 (1987 წ. აპრილი) პლენუმზე.

XI ხუთწლეულში მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, მეცნიერული კადრების მომზადებაში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვდა მეცნიერებათა აკადემიის 43 თანამშრომელი, მათ შორის ლენინის ორდენით — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ს. ჯიქია, ოქტომბრის რევოლუციის ორდენით — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსება ა. ფრანგიშვილი და გ. მელიქიშვილი. შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა 4, ხალხთა მეგობრობის ორდენით — 2, „საბატო ნიშნის“ ორდენით — 10, მე-3 ხარისხის შრომის დიდების ორდენით — 4 კაცი. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბატო სიგელით დაჯილდოვდა 35 კაცი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა დანახარჯების საერთო მოცულობამ საბიუჯეტო დაწესებულებებში საანგარიშო პერიოდში აკადემიის საფინანსო-საგეგმო სამმართველოს მონაცემებით შეადგინა 49735,0 ათასი მან., რაც 789 ათ. მანეთით ნაკლებია დაგეგმილ თანხაზე. გეგმის შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია სახელშეკრულებო სამუშაოების გეგმის შეუსრულებლობით.

რესპუბლიკის მეცნიერების და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტ-ს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების დაგეგმვის, დაფინანსების და მეცნიერების ორგანიზაციის განყოფილების მონაცემების შესაბამისად აკადემიის თანამშრომელთა საშუალო წლიური რიცხოვნობა 27 ერთეულით აღემატება გეგმურს (11418 ნაცვლად 11391) და ეს სხვაობა არ იფარება 1987 წლისათვის დაგეგმილი რაოდენობით. გასულ წელს აუთვისებელი დარჩა საკმაოდ დიდი ოდენობის ხელფასის ფონდი და 1851 ათ. მან. შექმნაზე მე-12 მუხლით, დაგეგმილი სახელშეკრულებო თანხების მოცულობის შევსებას დააკლდა 915 ათ. მანეთი.

უნდა ითქვას, რომ საკმაო ხანია შესუსტდა ქმედითი, კომპეტენტური კონტროლი საგეგმო-საფინანსო სამმართველოზე. პრეზიდიუმის აპარატის ეს მეტად მნიშვნელოვანი ქვედანაყოფი აღმოჩნდა კრიტიკის ზონის გარეშე. იმედია, რომ სამეცნიერო განყოფილებების უფლებების გაფართოებასთან დაკავ-

შორებით და, რაც მთავარია, საჯაროობის ვითარებაში საგვემო-საფინანსო სექცი-
 მიანობაში წესრიგი დამყარდება. ეს აუცილებელია კიდევ იმიტომაც, რომ
 მეცნიერებათა აკადემიაში დაფინანსების დაგეგმვა დიდი ხანია წარმოებს და-
 გმობილი მეთოდით — ე. წ. „მიღწეული დონიდან“, რაც მოგვხსენებათ, მეც-
 ნიერებაში, შემოქმედებითი მოღვაწეობის სფეროში განვითარებას, კარგად მუ-
 შაობას სტიმულს არ უქმნის.

1986 წელს დაგეგმილი იყო დოკუმენტური რევიზიების ჩატარება 38 ობი-
 ექტზე, ფაქტიურად ჩატარებულია 31 ობიექტზე. რევიზიის მიერ გამოვლენ-
 ილ იქნა უკანონო ხარჯები და ზანაკლისები 23 ობიექტზე 85,1 ათასი მანეთის
 ოდენობით.

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელ-
 მწიფო გეგმით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას 1986 წლისათვის
 დაუმტკიცდა კაპიტალური დაბანდების გეგმა 7140,0 ათასი მანეთის მოცუ-
 ლობით, მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე — 5150,0 ათასი
 მანეთი. კაბდაბანდებათა ათვისების გეგმა შესრულდა (100,3%), მაგრამ მო-
 წყობილობის გადაპარბებით შექმნის ხარჯზე, სამშენებლო-სამონტაჟო სა-
 მუშაოების გეგმა კი ტრადიციულად ჩაიშალა და შესრულება შეადგენს მხო-
 ლოდ 85%-ს. ეს შედეგიც მიღწეულია იმით, რომ ექსპლუატაციაში შევიდა
 ი. ბერიტაშვილის სახ. ფიზიოლოგიის ინსტიტუტის შენობა, რომლის აგებას
 აქტიურად ხელს უწყობდა რესპუბლიკის ყველა ხელმძღვანელი ორგანო და
 მაღალი რანგის ხელმძღვანელები. ისე კი 13 ობიექტზე 15-დან, მათ შორის
 საქართველოს ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის რეკონსტრუქციის,
 ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის მზა სამკურნალო საშუალებათა საამქროს მშე-
 ნებლობის, სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქ-
 ტორო ბიუროს საცდელი წარმოების მშენებლობის, ფიზიკის ინსტიტუტის
 ბირთვული ცენტრის კვლევითი რეაქტორის რეკონსტრუქციისა და ა. შ., გეგ-
 მა არ შესრულდა.

საანგარიშო პერიოდში შედგა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადე-
 მიის საერთო კრების ორი სესია. 24 აპრილს გამართული აკადემიის წლიური
 საერთო კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კვ ცენტრალური
 კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ჯ. ი. პატიაშვილი, სკკვ ცენტრალური
 კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ამხანაგი ნ. ვ. არზამასცევი, სხვა ხელ-
 მძღვანელი ამხანაგები.

კრებამ განიხილა მოხსენებები „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარ-
 ტიის XXVII ყრილობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII
 ყრილობის შედეგები და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ამოცა-
 ნები“, აგრეთვე რესპუბლიკის აკადემიის 1985 წლის საქმიანობის შესახებ.
 კრებაზე ვრცელი და ღრმამინაარსიანი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომ-
 პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ჯუმბერ პა-
 ტიაშვილმა, რომელმაც ჩამოაყალიბა რესპუბლიკის მეცნიერების საქმიანობის
 პერსპექტიული გეგმა და ამოცანები.

15 ოქტომბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო
 კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კვ ცენტრალური კომი-
 ტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ჯ. პატიაშვილი და საქართველოს კვ ცენ-
 ტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი გ. ენუქიძე. საერთო კრებამ დააკმა-
 ყოფილა აკადემიკოს ე. ხარაძის თხოვნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკა-
 დემიის პრეზიდენტის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ და დატოვა
 იგი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის წევრად. ქარ-
 თული საბჭოთა მეცნიერების განვითარებაში და საქართველოს სსრ მეცნიე-



რებათა აკადემიის პრეზიდენტის პოსტზე ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის საერთო კრებამ აკადემიკოს ე. ხარაძეს გამოუცხადა მადლობა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად საერთო კრებამ ერთხმად აირჩია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ალბერტ თავხელიძე.

შედეგ აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის 20 სხდომა, რომელზეც განხილულ იქნა 290 საკვანძო საკითხი, მათ შორის სკკპ XXVII ყრილობის და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის დადგენილებათა შექმნე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მუშაობის გარდაქმნის ღონისძიებათა შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ღონისძიებათა გეგმა სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი „ქვეყანაში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების გარდაქმნის ძირითადი მიმართულებანი“, თანამედროვე გამოთვლითი ტექნიკის, რობოტტექნიკის, მოქნილი ავტომატიზებული სისტემების გამოყენების შესახებ, მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების სამეცნიერო საქმიანობის საკოორდინაციო საბჭოს, კერძოდ პრეზიდენტთა საბჭოს მომავალი მუშაობის ორგანიზაციული პრინციპებისა და სამუშაო გეგმების შესახებ და მრავალი სხვა.

ახლა ნება მიბოძეთ შევასრულო პრეზიდენტის დავალება და მოკლედ მოგახსენოთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის განყოფილების დებულების და ინსტიტუტის წესდების ძირითადი პრინციპები. როგორც ცნობილია, საკავშირო აკადემიის საერთო კრებამ მარტის თვეში განიხილა და დაამტკიცა განყოფილების ახალი დებულება და ინსტიტუტის ახალი წესდება. სიახლის ძირითადი იდეა მიზნად ისახავს მკვეთრად ამაღლოს განყოფილებათა და ინსტიტუტების როლი და პასუხისმგებლობა მეცნიერებათა შესაბამისი დარგის განვითარებაში და ამასთან ანიჭებს მათ სათანადო უფლებებს და დამოუკიდებლობას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წესდების 49-ე მუხლი ასე განსაზღვრავს განყოფილების დანიშნულებას: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის განყოფილება სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო ცენტრია, რომელიც აკადემიაში მეცნიერების ერთი თუ რამდენიმე დარგის მეცნიერებს აერთიანებს.

განყოფილება პასუხისმგებელია საქართველოს სს რესპუბლიკაში მეცნიერების შესაბამისი დარგის განვითარებისათვის და განყოფილების სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაობის მდგომარეობისათვის.

განყოფილება ანგარიშს აგებს თავის საქმიანობისათვის საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებისა და პრეზიდენტის წინაშე.

ახალი დებულების შესაბამისად აღნიშნულს ემატება შემდეგი: განყოფილება პასუხს აგებს... მსოფლიო მიღწევათა ღონის ან უფრო წარმატებული სამეცნიერო შედეგების მიღებისათვის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი განვითარების წინადადებების დამუშავებისათვის, აგრეთვე საერთაშორისო მეცნიერული თანამშრომლობის ეფექტურობისათვის.

მთელი თავისი საქმიანობით განყოფილება აქტიურად უწყობს ხელს სკკპ და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის განხორციელებას.

განყოფილების უმნიშვნელოვანესი ამოცანებია: ფუნდამენტურ კვლევა-

თა ძირითადი მიმართულებებისა და მათი განვითარების რეკომენდაციების და-
 მუშავება; განყოფილების სამეცნიერო დაწესებულებებში მეცნიერულ-ტექნი-
 კური პროგრესისათვის, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და სულიერ-
 ი განვითარებისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის კვლევათა დაგეგ-
 მვა, ორგანიზაცია და წარმართვა; კონტროლის გაწევა კვლევათა გეგმებისა და
 პრაქტიკაში დასანერგად რეკომენდებულ სამეცნიერო კვლევათა შედეგების
 რეალიზაციისათვის.

განყოფილება ხელმძღვანელობს სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანო-
 ბის უზრუნველყოფას კადრებით და რესურსებით, ეწევა საქართველოს სსრ
 მეცნიერებათა აკადემიაში არჩევნების მომზადებასთან დაკავშირებულ მუ-
 შაობას.

განიხილავს განყოფილების სამეცნიერო დაწესებულებათა წინადადებებს
 დაფინანსების გეგმებთან დაკავშირებით და გამოყოფილი ლიმიტების ფარ-
 გლებში ანაწილებს სამეცნიერო-კვლევით მუშაობაზე დანახარჯების საერთო
 მოცულობას, მათ შორის ხელფასის ფონდს, კონტროლს უწევს მათ გამოყენე-
 ბას; ამტკიცებს განყოფილებისათვის დადგენილი ლიმიტის ფარგლებში სამეც-
 ნიერო დაწესებულებების თანამშრომელთა საერთო რიცხოზობობას, განიხი-
 ლავს სამეცნიერო დაწესებულებათა წინადადებებს კაპიტალური მშენებლო-
 ბის საკითხებზე.

პროფკავშირის გაერთიანებულ კომიტეტთან ერთად აწყობს სოციალის-
 ტურ შეჯიბრებას განყოფილებაში შემავალ სამეცნიერო დაწესებულებათა კო-
 ლექტივებს შორის, ხელს უწყობს განყოფილების სამეცნიერო დაწესებულე-
 ბათა შრომითი კოლექტივების სოციალურ განვითარებას, თანამშრომლების
 შრომისა და ყოფის პირობების გაუმჯობესებას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის განყოფილების უმაღლესი
 ორგანო განყოფილების საერთო კრებაა, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს
 გადაწყვეტილება, თუ სხდომას ესწრება განყოფილების წევრთა უბრალო უმ-
 რავლესობა. გადაწყვეტილებანი მიიღება განყოფილების წევრთა სიითი შემად-
 გენლობის ხმების უბრალო უმრავლესობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა
 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წესდებისა და დებულების თანა-
 ხმად საჭიროა ხმათა 2/3 მაინც.

განყოფილების მუშაობას საერთო კრების სესიებს შორის ხელმძღვანე-
 ლობს განყოფილების ბიურო, რომელსაც სათავეში განყოფილების აკადემი-
 კოს-მდივანი უდგას. აკადემიკოს-მდივანს აკადემიის ნამდვილ წევრთაგან ირ-
 ჩევს განყოფილების საერთო კრება ფარული კენჭისყრით ხუთი წლის ვადით
 და ამტკიცებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება.
 ერთდროულად განყოფილების საერთო კრება ირჩევს განყოფილების წევრ-
 თაგან განყოფილების აკადემიკოს-მდივნის მოადგილეებს და ბიუროს წევ-
 რებს, რომლებსაც შემდეგ ამტკიცებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკა-
 დემიის პრეზიდიუმი, ნიშნავს განყოფილების სწავლულ მდივანს.

არჩევნებისას დაცული უნდა იყოს სისტემატური განახლებისა და ხელ-
 მძღვანელობის მონაცვლეობის პრინციპი.

განყოფილების განკარგულებაშია აპარატი.

განყოფილება სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით. აქვს ბლან-
 კი საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და თავისი სახელ-
 წოდების აღნიშვნით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წესდების მე-30 ნუხლის თა-
 ნახმად მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტი არის საქართველოს სსრ მეცნიე-
 რებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითადი რგოლი და



შედის აკადემიის განყოფილების შემადგენლობაში ან არსებობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან. ახალი წესდების თანახმად ინსტიტუტის უმნიშვნელოვანესი ამოცანებია: ძალების თავმოყრა ფუნდამენტურ კვლევათა პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით; რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და საზოგადოების როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ასევე სულიერი განვითარების ხელშემწყობი პირველხარისხოვანი მიუშენელობის კვლევების ჩატარება; მეცნიერული კვლევის შედეგების გამოსაყენებლად რეკომენდაციების დამუშავება და ამ შედეგების ათვისებაში მონაწილეობა; მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა შესწავლა და განზოგადება, მათი სრული გამოყენებისათვის ხელშეწყობა; სათანადო მეცნიერებისა და ტექნიკის შესაბამისი დარგების მიხედვით პროგნოზების დამუშავება; უმაღლესი კვალიფიკაციის მეცნიერული კადრების მომზადება; მეცნიერულ კვლევათა ორგანიზაციის ფორმების სრულყოფა.

ინსტიტუტი პასუხს აგებს ჩატარებული კვლევების მაღალი ხარისხისათვის და სამამულო და მსოფლიო მიღწევათა დონის ან უფრო წარმატებული სამეცნიერო შედეგების მიღებისათვის, სამეცნიერო კოლექტივის შემოქმედებითი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოსაყენებლად პირობების შექმნისათვის.

ინსტიტუტისათვის მიკუთვნებულ უფლებებს ერთგამგებლობის საფუძველზე ახორციელებს დირექტორი, მართვაში შრომითი კოლექტივის ფართო მონაწილეობით.

ინსტიტუტის მართვა ხორციელდება ფართო საჯაროობის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარების გზით, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, დისკუსიების ჩატარების და მეცნიერული იდეებისა და შედეგების შეჯიბრებითობის გამოყენებით.

ინსტიტუტში მოქმედებს პროფკავშირული ორგანიზაცია, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, იქმნება სახალხო კონტროლის ჯგუფები და პოსტები.

წესდებაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ინსტიტუტის დირექტორის ფუნქციები, სამეცნიერო საბჭოს დანიშნულება და როლი, ინსტიტუტის სტრუქტურა, სამეცნიერო-კვლევითი ქვედანაყოფების და მათი გამგეების, კვლევითი ჯგუფების და მათი ხელმძღვანელების სტატუსი, ინსტიტუტის ადმინისტრაციულ-სამეურნეო ნაწილის, ქონებისა და სახსრების საკითხები.

ინსტიტუტი სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, აქვს კუთხის შტამპი და ბეჭედი საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბის გამოსახულებითა და თავისი სახელწოდების აღნიშვნით.

ამრიგად, სამეცნიერო განყოფილების დებულება და ინსტიტუტის წესდება სავსებით ასახავენ სკკპ XXVII ყრილობის მიერ წამოყენებულ მოთხოვნებს მეცნიერების და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპების მკვეთრი დაჩქარების შესახებ, სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაში გარდატეხის და გარდაქმნის უზრუნველყოფის შესახებ მართვაში დემოკრატიული პრინციპების ფართო გამოყენებით.

მაგრამ ეს ყველაფერი, რაც თქვენ დღეს მოგხსენდათ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დიდი გარდაქმნის გზის დასაწყისია. ბევრის გაკეთება გემართება იმისათვის, რომ აკადემიის მუშაობაში ახლო წარსულის ნეგატიური მოვლენები დავძლიოთ, იმისათვის რომ შევქმნათ ქართული მეცნიერების ინტელექტუალური პოტენციალის შესატყვისი თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური და კვლევითი ბაზა, სრულად გამოვიყენოთ ჩვენი შემოქმედებითი საშუალებები, ჩვენი სწავლულების და მეცნიერული ახალგაზრდობის ნიჭი და ტალანტი, ღირსეული წვლილი შევიტანოთ ჩვენი ნათელი მომავლის მშენებლობაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წლიური საერთო კრების სესიამ, მოხსენებებსა და გამოკვლევებში წამოჭრილი პრობლემებისა და აკადემიის პრეზიდიუმის 8 მაისის გადაართოებულ სხდომაზე ჩამოყალიბებული ძირითადი დებულებების გათვალისწინებით, შეიმუშავა რესპუბლიკაში მიმდინარე სამეცნიერო გამოკვლევათა შემდგომი გაშლისა და გაღრმავების კონკრეტული ღონისძიებანი.

მიღებულ ღონისძიებებში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი პრიორიტეტულ მიმართულებათა მიხედვით ფუნდამენტური სამუშაოების განვითარებას ქვეყნის წამყვან სამეცნიერო ცენტრებთან მჭიდრო კოოპერაციის საფუძველზე, გამოყენებითი გამოკვლევების გაფართოებას მრეწველობის იმ დარგებთან უშუალო კავშირში, რომლებიც განსახლებრავენ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს.

გათვალისწინებულია საზოგადოებრივად მუშაობის გაღრმავება, მათი კვლევის იმ აქტუალურ პრობლემებთან დაახლოება, რომლებსაც გარდაქმნისა და დაჩქარების თანამედროვე ეტაპი აყენებს.

განზრახულია სამეცნიერო გამოკვლევათა კოორდინაციის არსებითი გაუმჯობესება რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებს, უმაღლეს სასწავლებლებს, დარგობრივ სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო დაწესებულებებს შორის, აკადემიის პრეზიდიუმსა და სამეცნიერო განყოფილებებთან არსებული საბჭოებისა და კომისიების მუშაობის სრულყოფა, ინსტიტუტებში დროებითი, მათ შორის ახალგაზრდული კოლექტივების, აგრეთვე დროებითი სამეცნიერო-ტექნიკური ლაბორატორიების შექმნა.

კრებამ დასახა ღონისძიებანი, რათა გამოინახოს ახალგაზრდა მეცნიერთა პროფესიონალური და სამეცნიერო-ორგანიზატორული ზრდის, აქტუალური სამეცნიერო პრობლემების დასამუშავებლად მათი ფართო მოზიდვის ეფექტური გზები.

გათვალისწინებულია ღონისძიებები, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს აკადემიური მეცნიერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაძლიერებას, სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა კომპლექსური თანამედროვე დანადგარებით აღჭურვილობის არსებითად გაუმჯობესებას, რაც უზრუნველყოფს გამოკვლევათა მაღალ დონეს და მიმდინარე ექსპერიმენტების ფართო ავტომატიზაციას.

საერთო კრებამ ძირითადად მოიწონა აკადემიის სამეცნიერო განყოფილების დებულებისა და ინსტიტუტის წესდების პროექტები, რომლებიც ითვალისწინებენ მათი როლისა და პასუხისმგებლობის მნიშვნელოვან ამაღლებას, მათთვის უფრო მეტი დამოუკიდებლობისა და ინიციატივის მინიჭებას კონკრეტული სამეცნიერო-საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტისას, რაც უფრო მეტ დინამიკურობას შესძენს აკადემიაში მიმდინარე გარდაქმნის პროცესს. ამასვე შეუწყობს ხელს დასახული ღონისძიებანი სამეცნიერო კოლექტივებში საჯაროობისა და დემოკრატიზმის ატმოსფეროს, კრიტიკისა და თვითკრიტიკის, მაღალი დისციპლინის, ორგანიზებულობისა და მომთხოვნელობის ვითარების შესაქმნელად.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრების მიერ შემუშავებული ყველა ღონისძიება მიზნად ისახავს მეცნიერული კვლევის შემდგომ ინტენსიფიკაციას, სოციალურ-ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში მეცნიერების როლის ამაღლებას, სკკპ XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

ОБЩЕЕ СОБРАНИЕ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

14 мая состоялась сессия годовичного общего собрания Академии наук Грузинской ССР.

Вступительным словом заседание открыл президент Академии наук республики, член-корреспондент АН СССР, академик АН ГССР А. Н. Тавхелидзе.

С докладами о работе отделений Академии наук за отчетный период и перспективах развития научных исследований выступили вице-президенты Академии наук Грузии, академики АН ГССР С. В. Дурмишидзе, Г. Н. Джибладзе, И. В. Прангишвили.

С отчетом о научно-организационной работе академии за 1986 год выступил академик-секретарь Академии наук республики, академик АН ГССР Э. А. Сехниашвили.

На собрании выступили академики АН ГССР: академик-секретарь отделения биологии Л. К. Габуния, академик-секретарь отделения общественных наук А. М. Апакидзе, заведующий отделом Тбилисского математического института им. А. М. Размадзе Б. В. Хведелидзе, директор Института экспериментальной морфологии им. А. Н. Натишвили Н. А. Джавахишвили, ректор Грузинского политехнического института им. В. И. Ленина Т. Н. Лоладзе, директор Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили Г. А. Меликишвили, руководитель Научно-исследовательской проблемной лаборатории фотосинтеза Тбилисского государственного университета Г. А. Санадзе, директор Научно-исследовательского института психиатрии им. М. М. Асатиани А. Д. Зурабашвили, председатель Комиссии по изучению производительных сил и природных ресурсов А. А. Дзидзигури, член президиума АН ГССР, академик Е. К. Харадзе; члены-корреспонденты АН ГССР: ректор Тбилисского государственного университета Н. С. Амаглобели, заведующий отделом Геологического института им. А. И. Джанелидзе И. П. Гамкрелидзе, директор Института грузинской литературы им. Шота Руставели Г. Ш. Цицишвили, заместитель директора Института металлургии им. 50-летия СССР Г. Г. Гвелесиани, руководитель Кутанского комплексного научного центра Р. Ш. Адамия, директор Юго-Осетинского научно-исследовательского института, доктор ист. наук Б. В. Техов, директор Института вычислительной математики им. Н. И. Мухелишвили, доктор физ.-мат. наук Н. Н. Вахания, руководитель центра археологических исследований, доктор ист. наук О. Д. Лордкипанидзе.

На собрании выступил секретарь ЦК КП Грузии Г. Н. Енукидзе.



Сессия годовичного общего собрания Академии наук Грузинской ССР с учетом поднятых в докладах и выступлениях проблем и сформулированных на состоявшемся 8 мая расширенном заседании прези-

диума АН ГССР основных положений выработало конкретные мероприятия по дальнейшему развертыванию и углублению проводимых в республике научных исследований.

В намеченных мероприятиях особое внимание уделено развитию фундаментальных работ по приоритетным направлениям в тесной кооперации с ведущими научными центрами страны, расширению прикладных исследований в контакте с отраслями промышленности, определяющими научно-технический прогресс.

Намечено дальнейшее углубление работы обществоведов, максимальное приближение их исследований к актуальным проблемам, выдвигаемым на современном этапе перестройки и ускорения.

Предусмотрено существенное улучшение координации исследований между академическими институтами, высшими учебными заведениями, отраслевыми научно-исследовательскими и проектно-конструкторскими учреждениями Грузии, упорядочение и совершенствование работы существующих при президиуме АН ГССР и научных отделениях советов и комиссий, создание в институтах временных коллективов, в том числе молодежных, а также временных научно-технических лабораторий.

Собрание наметило меры по изысканию эффективных путей профессионального и научно-организаторского роста молодых ученых, их широкому привлечению к разработке актуальных научных проблем, существенному улучшению оснащенности научно-исследовательских учреждений комплексными современными установками, обеспечивающими высокий уровень выполняемых исследований и широкую автоматизацию проводимых экспериментов, а также укреплению всей материально-технической базы академической науки.

Общее собрание в основном одобрило проекты нового положения отделения и устава института, предусматривающие значительное повышение их роли и ответственности, предоставление им большей самостоятельности и инициативы в решении конкретных научно-организационных вопросов, что придает осуществляемой в Академии наук ГССР перестройке большую динамичность. Этому же будут способствовать меры, намеченные по созданию в научных коллективах атмосферы гласности и демократизма, критики и самокритики, обстановки высокой дисциплины, организованности и требовательности.

Выработанные общим собранием Академии наук Грузинской ССР мероприятия направлены на дальнейшую интенсификацию научных исследований, повышение роли науки в ускорении социально-экономического и научно-технического прогресса, осуществление решений XXVII съезда КПСС, последующих Пленумов ЦК КПСС и XXVII съезда Компартии Грузии.



6/60/21



ՅՆՆՈ 1 ՅՆԵ. 90 ՅՅՅ.
ЦЕНА 1 РУБ. 90 КОП.